

გენდერული
თანასწორობის
პროფილი

საქართველო
2023



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development
and Cooperation SDC



© 2023 გაეროს ქალთა ორგანიზაცია

ანგარიში მოამზადეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის კონსულტანტებმა გვანცა ჯიბლაძემ და ეკატერინე სხილაძემ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის თანამშრომლების ტექნიკური დახმარებით, მათ შორის, საქართველოს, ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული ოფისებიდან და სათავო ოფისიდან. განათლების, ჯანდაცვის, ქალთა მიმართ ძალადობისა და საზიანო პრაქტიკების საკითხებზე თავების მომზადებაში მონაწილეობდნენ გაეროს ბავშვთა ფონდისა (UNICEF) და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს წარმომადგენლობების თანამშრომლები.

მთარგმნელი: თეა ხოფერია

დიზაინერი: სოფო მესხიშვილი

პუბლიკაცია მომზადებულია გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „ქალთა ლიდერობა დემოკრატიისთვის საქართველოში“ (WILD) ფარგლებში, რომელიც ხორციელდება შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მხარდაჭერით.

„ქვეყნის გენდერული თანასწორობის პროფილში“ გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ ანგარიშის ავტორებს და სავალდებულოდ არ გამოხატავს გაეროს ქალთა ორგანიზაციის, გაეროს ბავშვთა ფონდის, გაეროს მოსახლეობის ფონდის ან შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციას.

გენდერული
თანასწორობის
პროფილი

საქართველო 2023



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development
and Cooperation SDC



სარჩევი

დიაგრამების სარჩევი

ცხრილების სარჩევი

შემოკლებები და აკრონიმები

ABL	გამყოფი ხაზი (Administrative Boundary Line)
სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო	სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო
BPfA	პეკინის სამოქმედო პლატფორმა
CEDAW	გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ
CGEP	ქვეყნის გენდერული თანასწორობის პროფილი
CPR	კონტრაქტების გავრცელების დონე
CRRC	კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი
DV	ოჯახში ძალადობა
EUAA	ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტო
GBV	გენდერული ნიშნით ძალადობა
GEC	გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო
GEWE	გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება
GIA	გენდერული ზეგავლენის შეფასება
GID	ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები
ICMPD	მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი
ICT	საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგია
IPV	ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა
ISET-PI	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა – პოლიტიკის ინსტიტუტი
ლგბტიქ+	ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ინტერსექსუალი, ქვიარი, და სხვა
MICS	მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა
MMR	დედათა სიკვდილიანობის სიხშირე
NAEC	შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
NCDC	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
NDC	ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი
NDI	ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი
NEET	დასაქმების, განათლების ან ტრენინგს მიღმა მყოფი
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
p.p.	პროცენტული პუნქტი
PhD	დოქტორი, სამეცნიერო ხარისხი

PIRLS	ნიგნიერების საერთაშორისო კვლევა
PISA	მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა
PPP	მსყიდველობითი უნარის პარიტეტი
PTSD	პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობა
SDG	მდგრადი განვითარების მიზანი
SERAT	სექსუალური განათლების მიმოხილვისა და შეფასების ინსტრუმენტი
SRB	დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა
STEM	მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია და მათემატიკა
TIAR	ხელოვნური აბორტის ჯამობრივი კოეფიციენტი
TIMSS	მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევა
TUS	დროის გამოყენების კვლევა
UN ქალი	გაეროს ქალთა ორგანიზაცია
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
UNESCO	გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია
UNFPA	გაეროს მოსახლეობის ფონდი
UNHCR	გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი
UNICEF	გაეროს ბავშვთა ფონდი
VET	პროფესიული განათლება და ტრენინგი
WISG	სსო „ქალთა ინიციატივების მხარდაჭერის ჯგუფი“
WPS	ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება
აივ	ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი
იგპ	იძულებით გადაადგილებული პირები
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
სრჯ	სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა
სტამბოლის კონვენცია	ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ
ჯანმო	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია
ჯანდაცვის სამინისტრო	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
შსო	შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია

რეზიუმე

გენდერული თანასწორობა, რაც ადამიანის უფლებების განუყოფელი ნაწილი და მყარი სოციალური და ეკონომიკური განვითარების კატალიზატორია, საერთაშორისო ვალდებულებების საკვანძო საკითხიცაა. ამ ვალდებულებების განხორციელების გზაზე, „საქართველოს გენდერული თანასწორობის პროფილის“ მიზანია ქვეყანაში გენდერული თანასწორობის მხრივ 2023 წელს არსებული მდგომარეობის აღწერა. პროფილი გაეროს ქალთა ორგანიზაციამ შემდეგი საერთაშორისო შეთანხმებებისა და დოკუმენტების შესაბამისად შექმნა: „გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (CEDAW), „პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა“ (BpfA), „2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის და მდგრადი განვითარების მიზნები“ (SDGs), სხვა საერთაშორისო ჩარჩო ხელშეკრულებები.

„საქართველოს გენდერული თანასწორობის პროფილში“ მოცემულია სხვადასხვა სფეროში გენდერული თანასწორობის კუთხით ქვეყანაში ამჟამად არსებული მდგომარეობა. დოკუმენტი ეყრდნობა რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს და გამყარებულია არსებული პოლიტიკის ანალიზით. ანგარიშში წარმოდგენილ კრიტიკულ თემებში შედის: სიღარიბის შემცირება და სოციალური დაცვა, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, ჯანდაცვა, განათლება, ქალთა მიმართ ძალადობა, ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება, ქალები პოლიტიკაში, და ქალთა წარმომადგენლობა ჰუმანიტარულ ქმედებებსა და კატასტროფების რისკების შემცირების საკითხებში.

ამას გარდა, გაანალიზებულია საზოგადოების იმ ჯგუფების მდგომარეობა, რომლებიც შეიძლება გენდერული იდენტობით გამყარებულ ინტერსექციურ დისკრიმინაციას აწყდებოდეს. ანგარიში იზიარებს პრინციპს „არავინ დარჩეს ყურადღების მიღმა“ და ეფუძნება ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებულ მიდგომას. ყოველ თემატურ სექციაში განხილულია მიღწეული პროგრესი, გამოვლენილია ახალი ტენდენციები, აღწერილია არსებული გამოწვევები და ხაზგასმულია ძირითადი პრიორიტეტები საქართველოს მისწრაფებაში, მიაღწიოს გენდერულ თანასწორობასა და ქალთა გაძლიერებას. ანგარიშს მოჰყვება დანართი, სადაც წარმოდგენილია მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ყველა ინდიკატორი, რომელიც დაკავშირებულია გენდერულ თანასწორობასთან, და ასახავს მიღწეული წინსვლას (იხ. დანართი D).

„საქართველოს გენდერული თანასწორობის პროფილის“ შექმნისთვის გამოყენებული იყო შერეული მეთოდები. რაოდენობრივი ანალიზი განხორციელდა ოფიციალურ სტატისტიკასა და ადმინისტრაციულ მონაცემებზე დაყრდნობით, რამაც საკვანძო საკითხების რაოდენობრივ ჭრილში დანახვის საშუალება მოგვცა. კვლევის თვისებრივ ნაწილში შედიოდა დაინტერესებულ მხარეებთან საკონსულტაციო შეხვედრები, რომლებმაც მოგვცა სიღრმისეული და დეტალური ინფორმაცია საქართველოში გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების ასპექტებზე. ამ მიდგომის მიზანი იყო გენდერის თემის სირთულეებისა და ნიუანსების ჰოლისტიკური ასახვა, რაც უზრუნველყოფდა საიმედო და სიღრმისეული გენდერული თანასწორობის პროფილის შექმნას.

ძირითადი მიგნებები

ქალები, სიღარიბე და სოციალური დაცვა

- მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანებში საქართველოში **სიღარიბის დონის** კლება აღინიშნება, ქალები, განსაკუთრებით კი – სოფლად მაცხოვრებლები, მომატებული მოწყვლადობისა და რესურსებზე შეზღუდული წვდომის პრობლემის წინაშე დგანან. ეს კი ზრდის მათი სიღარიბეში მოხვედრის ან/და სიღარიბეში დარჩენის ალბათობას.
- ქალები არიან **სოციალური დაცვის პროგრამების** ძირითადი ბენეფიციარები. ცხოვრების სხვადასხვა ეტაპისა და შრომის ბაზარზე მათი განსხვავებული როლების შედეგად ისინი ცხოვრების მანძილზე უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი სოციალური დაცვის სისტემებზე.
- თვალშისაცემია **მინის მფლობელთა** შორის გენდერული დისბალანსი. მინის მფლობელთა 82 პროცენტი კაცია და მხოლოდ 18 პროცენტი – ქალი. ამ მიგნებას სააშკარაოზე გამოაქვს ჯერ კიდევ არსებული გენდერული უთანასწორობები, რომლებიც გავლენას ახდენს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე და მათ მიერ რესურსებზე წვდომაზე.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება

- კაცების დასაქმების მაჩვენებელი სტაბილურად მაღალია ქალების **დასაქმების მაჩვენებლებთან შედარებით**, რაც შრომის ბაზარზე არსებულ განგრძობით გენდერულ უთანასწორობაზე მიუთითებს. 2022 წელს, საქართველოში დასაქმებულთა შორის გენდერულმა განსხვავებამ ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია და სამუშაო ასაკის ყველა ჯგუფისთვის 16.2 პროცენტი შეადგინა. მეტიც, ქალებისა და კაცების **თვიურ ანაზღაურებაში** დაფიქსირებულმა შესწორებულმა სახელფასო სხვაობამ – ბოლო სამი წლის მანძილზე ყველაზე მაღალ მაჩვენებელს, 23 პროცენტს მიაღწია.
- **ანაზღაურებელი საოჯახო და ზრუნვის** შრომა **არაპროპორციულადაა განაწილებული** ქალებს და კაცებს შორის. ქალები ამ საქმიანობაზე ხუთჯერ მეტ დროს ხარჯავენ, ვიდრე კაცები. საოჯახო პასუხისმგებლობის არათანაბარი გადანაწილება, ზრუნვის მომსახურებების სიმწირე და საზოგადოებაში დამკვიდრებული სოციალური ნორმები მნიშვნელოვან წინააღმდეგობას უქმნის ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას.
- ქალების **ეკონომიკური აქტიურობა კაცებთან შედარებით მნიშვნელოვნად** დაბალია (41.5 პროცენტი და 64 პროცენტი, შესაბამისად). კიდევ უფრო შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ 25-34 წლის ქალების თითქმის ნახევარი (46.4 პროცენტი) არ არის ეკონომიკურად აქტიური. ეს შესაძლოა აიხსნას აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფის ყველაზე აქტიური რეპროდუქციული პერიოდითა და ზრუნვის შრომის მეტი ვალდებულებებით.
- ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილი **საწარმოების მფლობელებისა** და მაღალი რანგის მენეჯერების როლში. ახლად დაფუძნებული საწარმოების მფლობელთა მხოლოდ 24.7 პროცენტი არის ქალი.

ქალები და განათლება

- საქართველოში **ხარისხიანი სკოლამდელი განათლების** მისაწვდომობა კვლავ გამომწვევად რჩება. ეს განსაკუთრებით ეხება გოგოებს, შშმ ბავშვებს, სოფლის მოსახლეობასა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს.
- **ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვები და შშმ ბავშვები** ხარისხიანი განათლების მიღების საკითხში აწყდებიან დამატებით და განსხვავებულ პრობლემებს, რომელთა შორისაც არის კვალიფიციურ მასწავლებელთა და მისაწვდომი საგანმანათლებლო რესურსების სიმცირე. მეტიც, ეთნიკური აზერბაიჯანელი გოგოების 39 პროცენტი ტოვებს სკოლას ცხრა წლიანი სავალდებულო საბაზისო განათლების მიღების შემდეგ, რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს ბავშვთა ქორწინებიდან და ბავშვთა შრომასთან დაკავშირებულ გამომწვევებს.
- საჭიროა ამჟამინდელი **სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალების** დეტალური გადახედვა და ადაპტირება გენდერული მგრძობელობის კუთხით. აუცილებელია მათში არსებული გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრა და ყველა ინდივიდის და თემის მრავალფეროვნების სათანადო ასახვა და აღიარება.
- მონაცემების თანახმად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებაში არსებობს **სქესის მიხედვით ჰორიზონტალური სეგრეგაცია**. ქალები ძირითადად სწავლობენ ისეთ მიმართულებებზე, სადაც ტრადიციულად მეტი ქალია დასაქმებული, მაგალითად – განათლება, ჯანდაცვა, ხელოვნება, და ა.შ., ხოლო ნაკლებად არიან წარმოდგენილი STEM და სხვა საგნებში, სადაც კაცები დომინირებენ და სადაც, ძირითადად, უფრო მაღალი ანაზღაურებაა.
- მიუხედავად რაოდენობრივი სიმცირისა, გოგოებს, რომლებიც **ICT სფეროებს ეუფლებიან**, უკეთესი აკადემიური მოსწრება აქვთ, ვიდრე ბიჭებს, მაგრამ სამუშაო ბაზარზე ისინი ბიჭებზე ნაკლებ თავდაჯერებულობას ავლენენ.
- **ადამიანის სექსუალობის შესახებ ყოვლისშემძველი განათლების** ინტეგრირება საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში ჯერ კიდევ შეზღუდულია, ვინაიდან სასწავლო გეგმაში არ შედის ისეთი კრიტიკული საკითხები, როგორიცაა ემოციები, სხეულის ავტონომია, სექსუალური იდენტობა, გენდერული ძალადობა, ჯანსაღი ურთიერთობები და სხვა.

ქალი და ჯანმრთელობა

- **დედათა სიკვდილიანობა** წარმოადგენს საქართველოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის წინ მდგარ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამომწვევას. ცხოვრების მანძილზე დედათა სიკვდილიანობის მაღალი რისკის გამო საქართველო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში იმ რამდენიმე ქვეყანას შორის არის, სადაც ეს მაჩვენებელი რეგიონულ საშუალო მაჩვენებელს აღემატება.
- ქალებისთვის **სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის (სრჯ) მომსახურებები**, ოჯახის დაგეგმვის ჩათვლით, არ არის სრულად **ინტეგრირებული** პირველადი ჯანდაცვის რგოლში – სახელმწიფოს მიერ გაწეული ბენეფიტების პაკეტში, ან კერძო სადაზღვევო სქემებში. სოფლად მცხოვრები ქალები, ახალგაზრდები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები და შშმ ქალები მნიშვნელოვან ბარიერებს აწყდებიან ხარისხიანი და ფინანსურად ხელმისაწვდომი ძირითადი სრჯ მომსახურებების მისაღებად.

- შემცირებულია **რეგისტრირებული აბორტების** რაოდენობა. თუმცა, საქართველოში კვლავ გამოწვევად რჩება უსაფრთხო აბორტის გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით – სექსუალური ძალადობის მსხვერპლი პირებისთვის.
- მცირედ მომატებულია **ქუძუს და საშვილოსნოს კიბოს სკრინინგის პროგრამის მოცვა**, თუმცა, ის კვლავ საკმაოდ დაბალია იმისთვის, რომ შეამციროს კიბოთი დაავადებისა და გარდაცვალების მაჩვენებელი. შემთხვევების თითქმის 40 პროცენტის დიაგნოსტიკა მოგვიანებით სტადიებზე ხდება.
- **ლგბტი+ პირები** საქართველოში სირთულეებს აწყდებიან სამედიცინო მომსახურებების მიღებისას. ამ მიმართულებით პრობლემას ქმნის ტრანს აფირმატიული ინტერვენციების, ტრანს სპეციფიკური სახელმძღვანელო წესების და სპეციალიზებული პროგრამების არარსებობა.

*† ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობა და საზიანო პრაქტიკები

- ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ზომები მიიღო **ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კანონებისა და რეგულაციების** გასამკაცრებლად.
- 15-69 წლის ასაკობრივ კატეგორიაში ყოველ მეორე ქალს (50.1 პროცენტს) ცხოვრების განმავლობაში **განუცდია ძალადობა**, ხოლო 18.2 პროცენტის თანახმად, მათ ამგვარი გამოცდილება ბოლო 12 თვის განმავლობაში ჰქონდათ; ყოველ მეოთხე ქალს (26.5 პროცენტს) გამოუცდია ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა. ამ კატეგორიის ძალადობათა შორის ყველაზე მეტად ფსიქოლოგიური ძალადობაა გავრცელებული.
- საქართველოში მაცხოვრებელ ქალებში თითქმის ყოველ მეოთხეს (24.5 პროცენტს) ცხოვრების რაღაც მომენტში ჰქონია **სექსუალური შევიწროების** გამოცდილება. მეტიც, საჯარო სამსახურში დასაქმებული ყოველი ხუთი ქალიდან ორი (41 პროცენტი) სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების შემთხვევების შესახებ საუბრობდა.
- მაშინ, როდესაც გენდერული ნორმების აღქმები მეტწილად კვლავ ტრადიციულია, 2017 წლიდან მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილება შეიმჩნევა საზოგადოების დამოკიდებულებაში **ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის მიმართ**. კერძოდ, თუ 2017 წელს ქალების 22.0 პროცენტი და კაცების 31.1 პროცენტი თვლიდა, რომ ქმრის მიერ ცოლისთვის დარტყმას ან ცოლის ცემას შეიძლება ჰქონდეს გამამართლებელი მიზეზი, 2022 წელს შესაბამისი მაჩვენებლები ძალიან შემცირებულია (და ასე მხოლოდ ქალების – 1.8 პროცენტი, ხოლო კაცების – 3.8 პროცენტი ფიქრობს).
- კვლავ შემაშფოთებელია **ბავშვთა ქორწინების** საკითხი, განსაკუთრებით გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფებში. სახელმწიფო ინსტიტუტები ვერ ახერხებენ მულტისექტორული და კოორდინირებული მიდგომების გატარებას ბავშვთა ქორწინების ეფექტიანი პრევენციისა და ამგვარ შემთხვევებზე სწრაფი რეაგირებისთვის.

ქალები ხელისუფლებაში და გადაწყვეტილების მიმღებთა შორის

- **გენდერული კვოტების შემოღებამ** დადებითი გავლენა მოახდინა პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობაზე. ამ კვოტების შედეგად გაიზარდა როგორც კანდიდატ ქალთა, ასევე არჩეულ ქალთა რაოდენობა. 2023 წელს პარლამენტის წევრთა შორის ქალები 19 პროცენტს შეადგენდნენ, რაც 2019 წელს დაფიქსირებული 14 პროცენტზე შესამჩნევად მეტია. თუმცა, პროგრესის მიუხედავად, 2023 წლის მაჩვენებელი მაინც ჩამოუვარდება პარლამენტებში ქალების საშუალო წილს როგორც გლობალურად 27 პროცენტს, ასევე რეგიონში 31 პროცენტს.
- ბოლო პერიოდში გენდერული კვოტისადმი საზოგადოების მხარდაჭერა გაიზარდა. მიუხედავად ამისა, პოლიტიკაში ჩართულ ქალებს უწევთ ბრძოლა დამკვიდრებულ **სტერეოტიპებთან** და პოლიტიკურ პარტიებში არსებულ გამოწვევებთან, ისევე, როგორც საზოგადოების მხრიდან მათ მიმართ **ძალადობის** შემთხვევებთან.
- **მინისტრებს** შორის მხოლოდ 16.7 პროცენტი არის ქალი და მინისტრის მოადგილეთა შორის – 23.5 პროცენტი, რაც ცოტა ნაკლებია, ვიდრე 2021 წლის შესაბამისი მაჩვენებლები.
- ქალები შეადგენენ მთელი **საჯარო მოხელეების** 31 პროცენტს, ხოლო I და II რანგის მენეჯერულ პოზიციებზე მათი წილი 43 პროცენტია. თუმცა, გენდერული სხვაობა მნიშვნელოვნად იზრდება უმაღლესი რანგის მენეჯერებში, სადაც საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელთა შორის ქალები მხოლოდ 9 პროცენტია და საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელთა მოადგილეებში – 15 პროცენტი.

ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება

- მიუხედავად 2011 წლიდან საქართველოს აქტიური ჩართულობისა „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების“ (WPS) ეროვნული სამოქმედო გეგმების მიღებასა და განხორციელებაში, ქალები კვლავ **დისპროპორციულად ნაკლებად არიან წარმოდგენილი უსაფრთხოების სექტორში**, განსაკუთრებით – ხელმძღვანელ თანამდებობებზე. მაგალითად, საქართველოს თავდაცვის ძალებში ქალების წარმომადგენლობა კვლავ კრიტიკულად დაბალია (7 პროცენტი).
- შეიმჩნევა **ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში ქალების წარმომადგენლობის** შემცირება. 2022 წელს, საქართველოს მხრიდან ამ მოლაპარაკებებში ჩართულ პირთა შორის მხოლოდ 20 პროცენტი იყო ქალი.
- შეზღუდულია ქალთა ჩართულობა **სახალხო დიპლომატიის ინიციატივებში**. 2021-2022 წლებში ქალთა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები ან ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები, ამგვარი ინიციატივების მხოლოდ 16 პროცენტის განხორციელებაში იყვნენ ჩართული.
- **იძულებით გადაადგილებული პირები, განსაკუთრებით კი – ქალები**, საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე მონყვლად ჯგუფად რჩება. მათ უწევთ ბრძოლა ისეთი საკითხებისთვის, როგორიცაა საცხოვრებელი, დასაქმება, ჯანდაცვა და ოჯახში ძალადობა, რაც მიზნობრივი ინტერვენციებისა და მხარდაჭერის მექანიზმების გადაუდებელ საჭიროებაზე მიუთითებს.

ქალები, კლიმატის ცვლილება და ბუნებრივი კატასტროფები

- საქართველოს მოსახლეობას, განსაკუთრებით კი ქალებსა და 65 წელზე უფროსი ასაკის პირებს, აქვთ **ცნობიერების მაღალი დონე** კლიმატის ცვლილების შესახებ და მათ ეს საკითხი ერთ-ერთ მნიშვნელოვან გლობალურ გამოწვევად მიაჩნიათ.
- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ქალები **წარმოდგენილი არიან კლიმატის ცვლილების შესახებ გადანყვეტილების მიმღებ პოზიციებზე**, საჭიროა სიღრმისეული კვლევების ჩატარება მათი სრულფასოვანი მონაწილეობის და ამ მიმართულებით არსებული გამოწვევების უფრო ზუსტი შეფასებისთვის.
- **კლიმატის ცვლილებისა და ბუნებრივი კატასტროფების რისკების** არსებულ რეგულაციებსა და ინიციატივებში ქალებისა და გოგოების კონკრეტული საჭიროებები სათანადოდ არ არის გათვალისწინებული.
- მცირეა კლიმატის ცვლილებებისა და ბუნებრივი კატასტროფების რისკებში გენდერული ფაქტორის შესახებ **მონაცემები**, ანალიზი და ანგარიშგება, რაც ართულებს კლიმატის ცვლილებისა და ბუნებრივი კატასტროფების რისკების შემცირებისთვის საჭირო პროგრესული და ინკლუზიური პოლიტიკების, გეგმებისა და ინტერვენციების შემუშავებასა და განხორციელებას.

ძირითადი რეკომენდაციები

- სიღარიბის კუთხით გენდერული უთანასწორობების აღმოსაფხვრელად, მნიშვნელოვანია, არსებული სოციალური დაცვის სისტემები გაძლიერდეს და უფრო მეტად ინკლუზიური გახდეს. აუცილებელია საკმარისი ფინანსური რესურსების გამოყოფა და მიზნობრივი ინტერვენციები სხვადასხვა ჯგუფის განსხვავებული საჭიროებების გადასაჭრელად.
- მნიშვნელოვანია აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომის აღიარება, დაფასება და გადანაწილება, რაც ამჟამად დისპროპორციულად ქალების აწევს მხრებზე. აღნიშნული შესაძლოა მიღწეულ იქნას გადანაწილების ხელშემწყობი პოლიტიკის გაუმჯობესებით და ბავშვზე ზრუნვის ფინანსურად და ფიზიკურად მისაწვდომი მომსახურებების შექმნით.
- დასაქმებაში გენდერული განსხვავებების შემცირება მიზნობრივი პოლიტიკებისა და ინიციატივების განხორციელებით, რომელთა შორისაც არის ქალებისა და კაცებისთვის შრომის ბაზარზე თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობა და დამქირავებლების წახალისება, შემოიღონ სამუშაოზე აყვანის გენდერულად მგრძობიარე პროცედურები და შექმნან შიდა ორგანიზაციული პოლიტიკა თანასწორობის საკითხების გათვალისწინებით.
- ხარისხიანი ადრეული განათლებისა და ზრუნვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით, 2 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის და სოფლად მცხოვრები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი და შშმ ბავშვებისთვის.
- სახელმძღვანელოებში არსებულ გენდერულ ნორმებსა და სტერეოტიპებზე რეაგირება სახელმძღვანელოების ძირეული გადახედვითა და შესაბამისი ცვლილებების შეტანით.
- განათლების სფეროში ასაკთან შესაბამისი, ადამიანის სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების ინტეგრირება.

- გენდერული თანაფარდობის გაზრდა აკადემიურ და კვლევით დაწესებულებებში ადგილზე გენდერული თანასწორობის გეგმების შემუშავების გზით.
- დედათა სიკვდილიანობისა და ავადობის შემცირებისკენ მიმართული ღონისძიებების თანმიმდევრული გატარება, მათ შორის სერვისის ხარისხის განუხრელი ზრდისათვის ანტენატალური მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება. ქალების და მთლიანად საზოგადოების ცნობიერების ამაღლება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე, მათ შორის, ორსულობასთან და მშობიარობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
- პირველადი ჯანდაცვის რგოლში ოჯახის დაგეგმვის მომსახურებების ინტეგრირება და ამ მომსახურებებსა და კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდების შესახებ ინფორმაციაზე წვდომის გაუმჯობესება, განსაკუთრებით – სოფლად.
- პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და რესურსების გადანაწილებისას ფსიქიკური ჯანმრთელობის პრიორიტეტად მიჩნევა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგიის განხორციელების გაძლიერება გენდერული განსხვავებების გათვალისწინებით, ყველასთვის ხელმისაწვდომი და ხარისხიანი მომსახურების უზრუნველსაყოფად.
- საქართველოს კანონმდებლობის სტამბოლის კონვენციასთან სრულიად შესაბამისობაში მოყვანა, სექსუალური ძალადობის განმარტებაში თანხმობის კომპონენტის დამატებით და უფასო იურიდიული დახმარების განვების შესახებ რეგულაციების დახვეწით, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლი პირების გათვალისწინება მსგავს მომსახურებაში.
- სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოებისთვის მკაფიო სახელმძღვანელო პრინციპებისა და სატრენინგო პროგრამების შემუშავება, სადაც განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლ პირებზე, განსაკუთრებით, შშმ ქალებსა და ლგბტიქ+ პირებზე, ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე მგრძობელობის ასამაღლებლად და განმეორებითი ვიქტიმიზაციის თავიდან ასარიდებლად.
- საჯარო სამსახურებში, განათლების სისტემასა და აკადემიურ წრეებში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა და სექსუალური შევიწროების პრევენციაზე ცნობიერების ამაღლება.
- ძალადობაგანცდილ პირთა გაძლიერება გრძელვადიანი დახმარების, მათი გაძლიერების პროგრამებისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხელშემწყობი ღონისძიებებით.
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნობრივი ღონისძიებების განხორციელება საქართველოში არსებული დაცვის მექანიზმებისა და რეგულაციების შესახებ, განსაკუთრებით, სოფლად მცხოვრები, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული, შშმ პირების, ეთნიკური უმცირესობების, ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა ინფორმირებისთვის.
- ბავშვთა ქორწინების აღკვეთა მულტისექტორული მიდგომის გააქტიურებით და საკანონმდებლო ცვლილებების გატარებით, სადაც გათვალისწინებული იქნება ამ საზიანო პრაქტიკის ნებისმიერი შესაძლო ასპექტი.

- პოლიტიკური პარტიების მიერ, ქალთა გაძლიერების პრინციპებზე შიდაპარტიული რეგულაციების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, მათ შორის, სექსუალური შევიწროების, ძალადობის და ქალთა დანინაურების ხელშემშლელი პრაქტიკების წინააღმდეგ ბრძოლისთვის. ამასთან, მექანიზმების შექმნა ქალთა დანინაურების და წინსვლის ხელშესაწყობად.
- საჯარო სამსახურში და განსაკუთრებით – უსაფრთხოების სექტორში – გადანყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად გასატარებელი ზომების გაძლიერება.
- კონფლიქტების მოგვარებასა და სამშვიდობო მოლაპარაკებებში ქალთა მოსაზრებებისა და გამოცდილების გასათვალისწინებლად გასატარებელი ზომების გაძლიერება.
- გენდერული საკითხების გათვალისწინება კლიმატის ცვლილებისა და ბუნებრივი კატასტროფების შემცირებისკენ მიმართულ კანონმდებლობაში, პოლიტიკებში, სტრატეგიებსა და გეგმებში; და მათი აღსრულების უზრუნველყოფა, როგორც რეგიონულ, ისე ადგილობრივ დონეზე.

1

შესავალი



გენდერული თანასწორობა ადამიანის ფუნდამენტური უფლება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი მამოძრავებელი ძალაა. გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების საკითხებში საქართველოს მიერ საერთაშორისო დონეზე აღებული ვალდებულებების შესაბამისად, გაეროს ქალთა ორგანიზაციამ „საქართველოს გენდერული თანასწორობის პროფილი“ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ყოვლისმომცველი და სიღრმისეული შესწავლის საფუძველზე შეიმუშავა. დოკუმენტი თვისებრივ და რაოდენობრივ მონაცემებს ეყრდნობა და მასში საქართველოში გენდერული თანასწორობის კუთხით მიღწეული პროგრესის, ტენდენციების, გამოწვევებისა და პრიორიტეტების ანალიზია წარმოდგენილი.

„საქართველოს გენდერული თანასწორობის პროფილი“ მიღწეული პროგრესისა და არსებული გამოწვევების გამოვლენით, სრულფასოვან ინფორმაციას აწვდის პოლიტიკის შემქმნელებს, განვითარების საკითხებზე მომუშავე პარტნიორებსა და დაინტერესებულ მხარეებს. იგი მოიცავს მიზნობრივი ინტერვენციების, პოლიტიკის რეფორმირებისა და ინსტიტუციური გაუმჯობესების გეგმას ქვეყანაში გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების კუთხით არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

დოკუმენტი დაყოფილია თემატურ სექციებად, რომლებშიც დეტალურადაა გაანალიზებული საქართველოში გენდერული თანასწორობის საკითხები. სექციებში წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს სტატისტიკური მონაცემების, თვისებრივი ინფორმაციისა და პოლიტიკის შეფასებას, რაც ნათელ სურათს ქმნის გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული სიტუაციისა და წინსვლისთვის საჭირო გზების შესახებ. პროფილის მომზადების მეთოდოლოგია და საკონსულტაციო შეხვედრებში მონაწილე დაინტერესებული მხარეების ჩამონათვალი მოცემულია დანართში A.

დოკუმენტის შექმნის პროცესში გამოყენებული იქნა კორპორატიული სახელმძღვანელო პრინციპები და „პეკინის დეკლარაციითა და სამოქმედო პლატფორმით“ (BpfA) განსაზღვრული ძირითადი კრიტერიუმები. პროფილში განხილულია ისეთი სფეროები, როგორიცაა: სიღარიბის აღმოფხვრა და სოციალური დაცვა, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, ჯანდაცვა, განათლება, ქალთა მიმართ ძალადობა, ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება, ქალების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, კლიმატის ცვლილება და ბუნებრივი კატასტროფები. დოკუმენტში ასევე განხილულია სხვადასხვა ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობა, მათ შორის, სოფლად მცხოვრები ქალების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ლგბტი+ პირების, იძულებით გადაადგილებული (იგპ) და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული პირების. შესაბამისად, დოკუმენტი შექმნილია „არავინ დარჩეს ყურადღების მიღმა“ პრინციპით და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომით, რითაც უზრუნველყოფილია ინტერსექციურობა და ინკლუზიურობა. პროფილში წარმოდგენილი ანალიზს თან ერთვის გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების მიმართულეობით საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების სია (დანართი B), ანგარიშში გაანალიზებული სტატისტიკური მონაცემების დეტალური ცხრილები (დანართი C) და მდგრადი განვითარების გენდერული ინდიკატორების ანალიზი, წლების მიხედვით (დანართი D).

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ „საქართველოს გენდერული თანასწორობის პროფილი“ ძალიან მნიშვნელოვანი წყაროა ქვეყანაში გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების საკითხების გასაანალიზებლად. მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის მოწოდებით, პროფილი ხელს შეუწყობს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას და გააძლიერებს თანამშრომლობას ქვეყანაში არსებულ დაინტერესებულ მხარეებს, განვითარების სფეროში მომუშავე საერთაშორისო პარტნიორებსა და გაეროს სააგენტოებს შორის. საქართველოს მიერ გენდერული თანასწორობის მიღწევის გზაზე დოკუმენტი შესაძლოა განხილულ იქნას, როგორც სტრატეგიული გზამკვლევი ქვეყანაში ინკლუზიური და თანასწორი გარემოს შესაქმნელად.

2

კანონმდებლობა, ინსტიტუციური მექანიზმები და თანამშრომლობა გენდერული თანასწორობის საკითხებზე საქართველოში



საქართველოს კანონმდებლობა ზედმინევით ასახავს ადამიანის უფლებების დაცვისათვის მნიშვნელოვან პრინციპებსა და სტანდარტებს. გენდერული თანასწორობის საკითხებზე საკანონმდებლო ჩარჩო მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს: „საქართველოს შრომის კოდექსი“,¹ „კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“,² „კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ“,³ „კანონი ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ“,⁴ „კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“⁵ და „ბავშვის უფლებათა კოდექსი“⁶ (რომელშიც შედის გოგობის დაცვის საკითხიც). საქართველოს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა საკითხთა ფართო წრეს ფარავს, მათ შორის, სქესს, გენდერს, ეთნიკურ წარმომავლობას, აღმსარებლობას, სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსს, შეზღუდულ შესაძლებლობას, პოლიტიკურ შეხედულებებს, სექსუალურ ორიენტაციას, გენდერულ იდენტობას და გამოხატვის თავისუფლებას. 2019 წელს საქართველომ მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები სექსუალური შევიწროების დეფინიციისთვის. შედეგად, სექსუალური შევიწროებისგან თავისუფალი სამუშაო გარემოსა და საჯარო სივრცის უზრუნველყოფის მიზნით, ცვლილებები შევიდა „შრომის კოდექსსა“ და „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“.

საქართველოს აღებული აქვს საერთაშორისო ვალდებულებები ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის მისაღწევად. კერძოდ, ქვეყანა მიერთებულია ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და პროცესებს, როგორცაა „კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (CEDAW, რატიფიცირებული 1994 წელს),⁷ „პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა“ (BpfA, მიღებული 1995 წელს),⁸ „სტამბოლის კონვენცია“ (რატიფიცირებული 2017 წელს)⁹ და „თაობათა თანასწორობის ფორუმი“ (გაიხსნა 2021 წელს). მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს გაეროს უშიშროების საბჭოს N1325 (2000) რეზოლუციის - „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“ - ისევე, როგორც მისი შემდგომი რეზოლუციებისა და გაეროს „მდგრადი განვითარების 2030 დღის წესრიგის“ და „მდგრადი განვითარების მიზნების“ (SDGs, მიღებული 2015 წელს) შესრულებაში. გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების (GEWE) ამოცანების შესასრულებლად საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების დეტალური ჩამონათვალი მოცემულია დანართში B. ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ბაზა და საერთაშორისო ვალდებულებები მოითხოვს მათ ეფექტიან განხორციელებას პრაქტიკაში, რაც საქართველოში ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის საკითხების ასახვას ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგში.

საქართველოში გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად **ინსტიტუციური მექანიზმები** შექმნილია ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე, მათ შორის, საქართველოს მთავრობაში, პარლამენტსა და ადგილობრივ თვითმმართველობებში.¹⁰ ამას გარდა, რამდენიმე სახელმწიფო უწყებამ შექმნა შიდა სტრუქტურული ერთეული ან/და გამოყო გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის აპარატმა პიონერის როლი შეასრულა და 2013 წელს გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის შექმნით პირველი სახელმწიფო დაწესებულება გახდა, რომელმაც ამგვარი ნაბიჯი გადადგა.¹¹

„გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის უწყებათშორისი კომისია“¹² საკვანძო ინსტიტუციური მექანიზმია, რომელიც ქვეყანაში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შექმნის კოორდინირებას და საქართველოს მთავრობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ მათ განხორციელებას უზრუნველყოფს. კომისიის თავმჯდომარე არის პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებების საკითხებში, ხოლო თანათავმჯდომარე – იუსტიციის მინისტრის მოადგილე. კომისია უწყებათშორისია

და მის შემადგენლობაში შედიან სხვადასხვა სამთავრობო უწყებების წარმომადგენელი პირები მინისტრის მოადგილეების დონეზე.¹³ კომისიას რამდენიმე ძირითადი ამოცანა აქვს, მათ შორისაა – სამთავრობო უწყებებში გენდერული საკითხების განხორციელების ხელშეწყობა და გენდერულ თანასწორობაზე, ქალთა მიმართ ძალადობასა და ოჯახში ძალადობაზე საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების განხორციელების მხარდაჭერა. ამას გარდა, ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით, მას გააჩნია პოლიტიკის განხორციელებაზე, მონიტორინგზე, შეფასებასა და სექსის მიხედვით დიფერენცირებული მონაცემების მოგროვებაზე კოორდინაციის მქონე ერთეულის ფუნქცია. კომისია ასევე საკვანძო როლს თამაშობს საერთაშორისო ანგარიშვალდებულებების მიმართულებით და წარმოადგენს საქართველოს მთავრობათაშორის პროცესებში.¹⁴

საქართველოს არ აქვს ცალკე მდგომი სამოქმედო გეგმა გენდერულ თანასწორობაზე, თუმცა, შესაბამისი საკითხები ინტეგრირებულია თემატურ სამოქმედო გეგმებში. მათ შორის აღსანიშნავია:

- ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022–2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა ეროვნული სამოქმედო გეგმა¹⁵
- ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების საქართველოს 2022–2024 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა¹⁶

2020 წლის შემდეგ ჯერ კიდევ არ მიღებულა „ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის“ განახლებული რედაქცია, რამაც გამოიწვია ჩავარდნა გენდერული თანასწორობის საკითხების მიმართ კომპლექსურ პოლიტიკურ მიდგომებში. მიუხედავად იმისა, რომ „ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2022-2030 წლებისთვის)“ შექმნითა და დამტკიცებით, რომელშიც გენდერული საკითხებიც არის გათვალისწინებული, საქართველოს მთავრობამ დაადასტურა ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით აღებული ვალდებულებები, შესაბამისი „ეროვნული სამოქმედო გეგმის“ არქონა აფერხებს სტრატეგიით განსაზღვრული პროცესის განხორციელებას.¹⁷ „ადამიანის უფლებათა სტრატეგია“ შეიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან და პროგრესულ ელემენტს, მაგრამ მასში არ არის ასახული ლგბტი+ პირების უფლებები. ამ საკითხის უგულებელყოფა ასუსტებს თანასწორობის საკითხების შესახებ სახელმწიფოს ერთიან ხედვას.¹⁸

უწყებათაშორისი კომისიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სექსის მიხედვით დიფერენცირებული მონაცემების მოგროვების მეთოდოლოგიის მიღება.¹⁹ თუმცა, პრაქტიკაში ამ ამოცანის განხორციელება სირთულეებთან არის დაკავშირებული. ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის (CEDAW) შემაჯამებელი დასკვნების თანახმად, რომელიც მიღებულია საქართველოს მიერ წარდგენილი მეექვსე პერიოდული ანგარიშის საფუძველზე, კომპლექსური შეფასების მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ბარიერია ის ფაქტი, რომ არ ხდება დეტალურ მონაცემთა მოგროვება. შედეგად, კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს, სისტემატურად მოაგროვოს მონაცემები სხვადასხვა საკითხზე, რომელთა შორისაც, სხვა საკითხებთან ერთად, იქნება მონაცემები დროებითი სპეციალური ზომების ზეგავლენისა და საზიანო პრაქტიკების პრევენციის შესახებ.²⁰

გენდერული მენისტრიმინგი სახელმწიფოს მართვის პროცესებში საქართველოში ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა; გენდერული ბიუჯეტირების და გენდერული ზეგავლენის შეფასების (GIA) მეთოდოლოგიის დანერგვა და პილოტირება ძირითადად საერთაშორისო განვითარების პარტნიორების დახმარებით ხდება. 2022 წელს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო

საკანონმდებლო ცვლილებები „ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში“ და „გენდერული ზეგავლენის შეფასება“ კანონშემოქმედებითი პროცესის ციკლის ნაწილად განისაზღვრა. აღნიშნული მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ეროვნულ საკანონმდებლო ბაზაში გენდერის საკითხების ინტეგრირების და „პეკინის სამოქმედო პლატფორმის“ ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების კუთხით. თუმცა, საჭიროა აღინიშნოს, რომ ცვლილება არ ითვალისწინებს ამ მეთოდოლოგიის სავალდებულოდ გამოყენების აუცილებლობას. საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან მეტად დაახლოებისთვის, ასევე, საკანონმდებლო პროცესებში გენდერული ზეგავლენის შეფასების თანმიმდევრული გამოყენების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია მისი გამოყენების დავალდებულება, როგორც კანონშემოქმედებით, ისე სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ეტაპზე.

საქართველოს მთავრობის მიერ 2023 წლის დასაწყისში წარდგენილ „საჯარო მმართველობის 2023–2026 წლების - რეფორმის სტრატეგიასა“ და „2023-2024 წლების სამოქმედო გეგმაში“²¹ ასახულია გენდერული თანასწორობის კუთხით „პეკინის სამოქმედო პლატფორმის“ (BpfA) ფარგლებში საქართველოს მიერ აღებული რამდენიმე მნიშვნელოვანი ვალდებულება საჯარო სამსახურში ქალების ლიდერობასა და პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში გენდერული ანალიზის ჩართვის შესახებ.

2022 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, მსოფლიო ბანკთან და გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, ჩაატარა „საქართველოს სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) და გენდერულად მგრძობიარე საჯარო ფინანსების მართვის (GRPFM) შეფასება“.

„საჯარო ფინანსების მართვის 2023-2026 წლების სტრატეგია“,²² რომელიც საქართველოს მთავრობამ 2023 წელს შეიმუშავა და მიიღო, გენდერული ბიუჯეტირების ზოგიერთ საკვანძო პრინციპს მოიცავს, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საქართველოში გენდერული საკითხების გათვალისწინებით დაფინანსების ინსტიტუციონალიზაციასა და SDG ინდიკატორის 5.c.1 მიღწევისკენ წინსვლას. აღნიშნული მოვლენა ღირებული წარმატებაა საქართველოს სახელმწიფო მართვის სისტემებში გენდერული საკითხების ინტეგრირების მიმართულებით. ამასთან, აუცილებელია პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა აღებული ვალდებულებების ეფექტიანი განხორციელებისთვის.²³

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს²⁴ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს ქვეყანაში გენდერული თანასწორობის მიღწევის ხელშეწყობა წარმოადგენს. საბჭო გადამწყვეტ როლს თამაშობს სახელმწიფოს მიერ გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განსაზღვრაში, საკანონმდებლო ჩარჩოების შექმნასა და შემუშავებაში. ასევე, ახდენს სახელმწიფო დონეზე გენდერული თანასწორობის საკითხების განხორციელებაზე ზედამხედველობას. საბჭოს თავმჯდომარე არის პარლამენტის სპიკერი ან საბჭოს სპეციალურად გამოყოფილი წევრი და მასში შედიან პარლამენტის წევრები (ცხრილი 2.1). „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ მუშაობაში შეიძლება ასევე ჩაერთონ მთავრობის კაბინეტის წევრები, სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელები, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები და განვითარებაზე მომუშავე სხვა პარტნიორი ორგანიზაციები.²⁵

ცხრილი 2.1: საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობა, 2023 წლის ოქტომბრის მონაცემები

პოლიტიკური პარტია	ქალი	კაცი
ქართული ოცნება	11	4
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	1	1
გირჩი	0	1
ევროპული სოციალისტები	0	1
მოქალაქეები	1	0
რეფორმების ჯგუფი	2	0
საქართველოსთვის	1	0
ლელო საქართველოსთვის	1	0
ევრო-ოპტიმისტები	1	0
ძალა ერთობაშია	1	0
სულ	19	7

წყარო: საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდი.

„გენდერული თანასწორობის საბჭოს“ მანდატი, რომელიც განსაზღვრულია პარლამენტის „საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტისა“ და „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ კანონქვემდებარე აქტებით, გულისხმობს კანონმდებლობის ანალიზს გენდერული უთანასწორობის საკითხებზე რეაგირებისთვის. ამას გარდა, „გენდერული თანასწორობის საბჭო“ უფლებამოსილია, გენდერული თანასწორობის ჭრილში შეაფასოს კანონპროექტები, დაგეგმოს აქტივობები გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად, შექმნას გენდერული თანასწორობის ინიციატივების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები. საბჭო ასევე თვალყურს ადევნებს აღმასრულებელი შტოს გენდერულ საკითხებთან დაკავშირებულ ქმედებებს და აწყობს „გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის უწყებათაშორისი კომისიის“ მიერ მომზადებული ანგარიშების მოსმენებს.²⁶

„საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის“ (დამტკიცებულია პარლამენტის მიერ 2022 წელს)²⁷ და „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფციის“ (დამტკიცებულია პარლამენტის მიერ 2023 წელს)²⁸ შექმნა ძალიან პროგრესული წინგადადგმული ნაბიჯია, რამაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოში გენდერული თანასწორობის მისაღწევად მნიშვნელოვანი ვალდებულებების აღებას. თუმცა, ამ ორ დოკუმენტში გენდერი განსაზღვრულია მხოლოდ ჰეტერონორმატიულ ჭრილში, როგორც თანასწორობა ქალსა და კაცს შორის, და სრულიად გამოტოვებულია გენდერული იდენტობის ასპექტები. აღნიშნული ხაზს უსვამს გენდერული თანასწორობის მიმართ უფრო ინკლუზიური და ყოვლისმომცველი მიდგომის საჭიროებას, როდესაც უზრუნველყოფილი იქნება ყველა ადამიანის უფლებებისა და საჭიროებების პატივისცემა და დაცვა.²⁹

ადგილობრივი თვითმმართველობები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ საქართველოში გენდერული თანასწორობის მიღწევის პროცესში. ეს მნიშვნელობა ხაზგასმულია საქართველოს „კანონში გენდერულ თანასწორობის შესახებ“, რომელიც ავალდებულებს მუნიციპალურ ორგანოებს, შეიმუშაონ და განახორციელონ ადგილობრივ დონეზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის ზომები.³⁰

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, მუნიციპალიტეტებს მინიჭებული აქვთ უფლებამოსილება, განახორციელონ ინიციატივები გენდერული თანასწორობის წასახალისებლად, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისთვის, ასევე – ამგვარი ძალადობის მსხვერპლი პირების დაცვისა და მხარდაჭერისთვის.³¹ გენდერულ საკითხებზე რეაგირების სისტემატური მიდგომების ხელშესაწყობად, საქართველოს მუნიციპალიტეტები ვალდებული არიან, შექმნან გენდერული თანასწორობის მუნიციპალური საბჭოები საკრებულოს დონეზე. ამ ქმედებების ეფექტიანობის გასაძლიერებლად, მუნიციპალიტეტის მერი ასახელებს პირს, რომლის ვალდებულებაშიც შედის ადგილობრივ დონეზე გენდერული საკითხების ზედამხედველობა, რაც უზრუნველყოფს უფრო ინკლუზიური და თანასწორი საზოგადოების შესაქმნელად გენდერული თანასწორობის წახალისებასა და გენდერული საკითხების გათვალისწინებაზე ფოკუსირებას.³²

2022 წლისთვის გენდერული თანასწორობის მუნიციპალური საბჭოები შექმნილი იყო საქართველოს 64-ვე მუნიციპალიტეტში. აღნიშნული საბჭოების საქმიანობა მუნიციპალიტეტში გენდერული საკითხების შესწავლას, ღონისძიებების კოორდინაციას და შესაბამისი ქმედებების გატარებას უკავშირდება, მათ შორის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმების შემუშავების და განხორციელების მიმართულებით. 2022 წლის ბოლოსთვის გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმა მიღებული ჰქონდა 40 მუნიციპალიტეტს და 21 მუნიციპალიტეტი მიერთებული იყო „ევროპულ ქარტიას ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და კაცთა თანასწორობის შესახებ“. საბჭოების საქმიანობას საერთო კოორდინირებას „საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია“ უწევს, რომელიც საქართველოს 64-ვე მუნიციპალიტეტს აერთიანებს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტთა უმრავლესობაში შემუშავებულია გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა, მნიშვნელოვანი რაოდენობის მუნიციპალიტეტებში არ ჩატარებულა ამ გეგმების განხორციელების მონიტორინგი. მეტიც, გადაწყვეტილებების მიმღებ პირთა შორის გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების საკითხების არასაკმარისი ცოდნა და ამ საკითხებისადმი დაბალი მგრძობელობა, რასაც შეზღუდული ფინანსური და ადამიანური რესურსებიც ემატება, აფერხებს გენდერული თანასწორობის საბჭოების ეფექტიან ფუნქციონირებას და უარყოფითად მოქმედებს ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და გენდერულ საკითხებზე ყურადღების გამახვილების პროცესებზე.³³

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში 2013 წლიდან ფუნქციონირებს სპეციალური დეპარტამენტი გენდერული თანასწორობის საკითხებზე. დეპარტამენტის ამოცანებში შედის გენდერულ თანასწორობაზე ეროვნული და საერთაშორისო აქტების შესრულების მონიტორინგი, სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა, გენდერის, გენდერული იდენტობის და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე უფლებადარღვევებზე რეაგირება, გენდერული თანასწორობის დარღვევის შესახებ საჩივრების განხილვა და მათზე რეაგირება და შესაბამისი ანგარიშების, რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება.³⁴ სწორედ, დეპარტამენტის ძალისხმევით მოახდინა სახალხო დამცველის აპარატმა თავის საქმიანობაში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების მონიტორინგის ინსტიტუციონალიზაცია, რაც სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმმა, მათ შორის „ქალთა სტატუსის კომისიამ“ (CSW) მნიშვნელოვან მიღწევად აღიარა. ამასთან, დეპარტამენტი ატარებს კვლევით და ცნობიერების ამაღლების აქტივობებს ქვეყანაში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის. 2016 წელს სახალხო დამცველის აპარატში „ფემიციდის მონიტორინგის მექანიზმი“ შეიქმნა. ეს მექანიზმი სახალხო დამცველის აპარატს საშუალებას აძლევს, ყოველწლიურად გააანალიზოს გენდერის საფუძველზე მომხდარი მკვლელობების, მკვლელობის მცდელობებისა და ქალთა თვითმკვლელობების შემთხვევები. მისი უპირველესი ამოცანაა მსხვერპლის დაცვის მექანიზმებში არსებული პრობლემების გამოვლენა და რეკომენდაციების მიცემა შესაბამისი უწყებებისთვის.

საქართველოში ძალიან მრავალფეროვანი და დინამიური **სამოქალაქო საზოგადოება არსებობს**. მათ შორის არიან ქალთა და ფემინისტური სამოქალაქო ორგანიზაციები, რომლებიც, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არაერთ მნიშვნელოვანი ინიციატივას და ადვოკატირების ღონისძიებას ჩაუდგნენ სათავეში. მათ ასევე ჰქონდათ ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე სახელმწიფო სტრუქტურებთან, ხელისუფლების როგორც აღმასრულებელ, ასევე საკანონმდებლო შტოებთან დიალოგისა და ჩართულობის კარგად განვითარებული მექანიზმები.³⁵ სამწუხაროდ, 2023 წლის თებერვლისა და მარტის მოვლენებმა, რომლებიც უკავშირდებოდა სახელისუფლებო პარტიის „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი ზოგიერთი პოლიტიკური აქტორის მხრიდან „უცხოური გავლენის აგენტების“ შესახებ ე.წ. „უცხოური აგენტების შესახებ“³⁶ კანონის შემოღების წარუმატებელ მცდელობას, უაღრესად უარყოფითი გავლენა იქონია მონაწილეობის პროცესებზე, რამაც შედეგად მოიტანა ქალთა მოძრაობებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და ეროვნულ საკანონმდებლო ორგანოში მოქმედ „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ შორის გაუცხოება და კომუნიკაციის მოშლა.³⁷

3

ქალები, სიღარიბე და სოციალური დაცვა



ძირითადი მიგნებები:

- ▶ ქალები, განსაკუთრებით კი სოფლად მცხოვრები და მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები, უფრო მეტად დგანან სიღარიბეში აღმოჩენის, ან სიღარიბიდან თავის ვერ დაღწევის საფრთხის წინაშე, რადგან ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ფინანსურ რესურსებზე.
- ▶ საქართველოში სასოფლო მეურნეობების მიწის ფართობის მფლობელებს შორის მნიშვნელოვანი გენდერული უთანასწორობა შეინიშნება. კერძოდ, სასოფლო მეურნეობების მიწის 82 პროცენტს კაცი მეურნეები ფლობენ და მხოლოდ 18 პროცენტის მფლობელები არიან ქალი მეურნეები.
- ▶ ქალებში, განსაკუთრებით კი, დაოჯახებული და ბავშვიანი ქალების შემთხვევაში, ბევრად მაღალია დროითი სიღარიბის მაჩვენებელი კაცებთან შედარებით. ამასთან, მათში უფრო მაღალია ტენდენცია, მუდმივად ჰქონდეთ სიჩქარის განცდა და ნაკლებია ალბათობა, შეინარჩუნონ მუშაობა-დასვენების ბალანსი.
- ▶ სოციალური დაცვის პროგრამების ბენეფიციართა შორის უმეტესობა ქალია. გამოწვევები, რომლებსაც ქალები აწყდებიან შრომის ბაზარზე და ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე, მათ უფრო მოწყვლადს და სოციალური დაცვის სისტემაზე დამოკიდებულს ხდის. სოციალური დაცვის არსებული პროგრამები სრულად ვერ ფარავს ყველა სამიზნე ჯგუფის, მათ შორის, სოფლად მცხოვრები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, იძულებით გადაადგილებული, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი პირების და მართახელა მშობლების საჭიროებებს.
- ▶ დედობის შვებულების კომპენსაცია, ბოლო პერიოდში დაფიქსირებული ზრდის მიუხედავად, მნიშვნელოვნად ჩამორჩება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებს. ამასთან, მთავარ გამოწვევად რჩება არაგადაცემადი მამობის შვებულების არარსებობა და ფორმალური დასაქმების მიღმა მყოფი ქალებისთვის შეღავათების სქემის ხელმისაწვდომობა.
- ▶ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებში ქართველ ემიგრანტთა უმრავლესობა (62 პროცენტი) ქალია. ამის გამო, ქართული დიასპორა კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ქალების დიასპორათა შორის სიდიდით მეორეა. მიგრანტთა შორის ქართული დიასპორის ფემინიზაციის მთავარი მიზეზი შესაძლოა ეკონომიკური ფაქტორებით აიხსნას, ამასთან მნიშვნელოვანია მზარდი მოთხოვნა ოჯახში დასაქმებულებსა და ხანდაზმულთა ზრუნვის შრომაზე, რამაც ქალებისთვის დასაქმების შესაძლებლობების ზრდას შეუწყო ხელი.

3.1 სიღარიბე და უთანასწორობა


საქართველოში ბოლო წლებში მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები მოხდა. თუმცა, გენდერული უთანასწორობის ტენდენცია კვლავ შენარჩუნებულია. ქალები, განსაკუთრებით კი სოფლად მცხოვრები და მარგინალიზებული ჯგუფების წარმომადგენლები, უფრო მონყვლადები არიან და მათ ნაკლებად მიუწვდებათ ხელი რესურსებზე, რის გამოც, მეტად ემუქრებათ გაღარიბების ან/და სიღარიბეში დარჩენის საფრთხე. საქართველოში ქალთა სიღარიბის მაღალ გავრცელებას სხვადასხვა ხელშემწყობი ფაქტორი აქვს. მათ შორისაა, შრომის ბაზარზე გენდერული დისკრიმინაცია, ხარისხიან განათლებასა და ჯანდაცვაზე შეზღუდული წვდომა, საზოგადოებაში დამკვიდრებული ტრადიციული სოციალური ნორმები, რომლებიც გენდერული როლების არათანაბარ განაწილებას კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში სიღარიბის შემცირების ტენდენცია შეინიშნება. თუმცა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მონაცემები გვაჩვენებს, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ ეკონომიკური სირთულეების წინაშე დგას.

კომპანია
1-2

SDG ინდიკატორი 1.2.1: 2022 წელს საქართველოში თითქმის ყოველი მეექვსე პირი (15.6 პროცენტი) სიღარიბის ეროვნულ ზღვარს ქვემოთ იყო (დიაგრამა 3.1) და ყოველი მეხუთე პირი (19.9 პროცენტი) მედიანური მოხმარების მაჩვენებლის 60 პროცენტს ქვემოთ ცხოვრობდა.¹

დიაგრამა 3.1: SDG ინდიკატორი 1.2.1. სიღარიბის ეროვნულ ზღვარს (აბსოლუტური სიღარიბის ზღვარი) ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის წილი, სქესის მიხედვით (პროცენტი)



წყარო: საქსტატი, 2022c.
შენიშვნა: იხ. ცხრილი C.1.


მაშინ, როდესაც ქალებსა და კაცებს შორის სიღარიბის დონის მიხედვით განსხვავება უმნიშვნელოა, შესამჩნევი სხვაობაა ქალაქისა და სოფლის მაცხოვრებელთა მაჩვენებლებში – სოფლის მოსახლეობის სიღარიბის დონე მეტია, ვიდრე ქალაქის მოსახლეობის (ცხრილი C.1).² „საქართველოში კეთილდღეობის მონიტორინგის კვლევის“ მონაცემები ადასტურებს კავშირს ქალთა განათლების დონესა და სიღარიბეს შორის. კერძოდ, სიღარიბის დონე იკლებს ოჯახში ქალების განათლების დონის მატებასთან ერთად. მაგალითად, იმ შინამეურნეობებში, სადაც ქალებს უმაღლესი განათლება აქვთ, სხვა შინამეურნეობებთან შედარებით სიღარიბის დაახლოებით ორჯერ ნაკლები დონე ვლინდება.³

სიღარიბის გენდერული კუთხით განხილვისას უმნიშვნელოვანესია **აუცილებელ მომსახურებებზე წვდომის** საკითხის გათვალისწინება. „საქსტატის“ მონაცემები მიუთითებს, რომ კომპიუტერის ან ინტერნეტის ხელმისაწვდომობა განსხვავებულია შინამეურნეობის ხელმძღვანელის სქესის მიხედვით. ამ მონაცემების თანახმად, შინამეურნეობებში, სადაც შინამეურნეობის ხელმძღვანელი კაცია, მეტია ალბათობა, ჰქონდეთ წვდომა ინტერნეტზე (90 პროცენტს) და კომპიუტერზე (62 პროცენტს), ვიდრე შინამეურნეობებში, სადაც ქალია: ინტერნეტზე წვდომა - 86 პროცენტი, კომპიუტერზე წვდომა - 57 პროცენტი (ცხრილი C.2).⁴



SDG ინდიკატორი 5.b.1: 2022 წელს მობილურ ტელეფონს მცირედ მეტი კაცი ფლობდა, ვიდრე ქალი (88.8 პროცენტი vs. 87.4 პროცენტი). ამ კუთხით მნიშვნელოვანი განსხვავებებია სოფლის და ქალაქის მოსახლეობას შორის (82.0 პროცენტი vs. 92.0 პროცენტი, შესაბამისად, 2022 წელს) (დიაგრამა 3.2).⁵

დიაგრამა 3.2: SDG ინდიკატორი 5.b.1. მობილური ტელეფონის მფლობელთა თანაფარდობა, სქესისა და დასახლების ტიპის მიხედვით (პროცენტი)




წყარო: საქსტატი, 2022e.

მეტიც, შესამჩნევია გენდერული განსხვავებაა საქართველოში იმ მეურნეობების საკუთრებაში არსებული მიწის ფართობის კუთხით, რომლებსაც ქალები და კაცები უძღვებიან. მონაცემები გვაჩვენებს, რომ მიწის უდიდესი ნაწილი (82%) იმ მეურნეობებს ეკუთვნის, რომლებსაც კაცები ხელმძღვანელობენ.⁶ ეს ტენდენცია წინა ათწლეულის განმავლობაშიც შენარჩუნებული იყო. ამას გარდა, ქალები მნიშვნელოვან სირთულეებს აწყდებიან უძრავი ქონების ან სხვა მნიშვნელოვანი ქონების, მაგალითად, ავტომობილის ფლობასა და მის გასხვისებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებისას. ქონების ფლობასა და გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით არსებული ეს სხვაობები განსაკუთრებით თვალშისაცემია სოფლად.⁷ საინტერესოა, რომ ქონების ფლობის საკითხზე საზოგადოების დამოკიდებულებაში ჯერ კიდევ არსებობს განსხვავებები სქესის მიხედვით. 2019 წელს საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი (49 პროცენტი) თვლიდა, რომ ოჯახის მფლობელობაში არსებული ბინა თანაბრად უნდა ერგოს მემკვიდრეობით როგორც ვაჟს, ასევე გოგოს. ამის საპირისპიროდ, მოსახლეობის 45 პროცენტი თვლიდა, რომ ბინა მემკვიდრეობით მხოლოდ ვაჟს უნდა ერგოს და მხოლოდ 1 პროცენტი ამბობდა, რომ ერთადერთი მემკვიდრე უნდა იყოს გოგო შვილი.⁸

სიღარიბის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გენდერული ასპექტი არის დროითი სიღარიბე გულისხმობს დროის სიმცირეს ადეკვატური დასვენებისა და გართობისთვის, რაც გახანგრძლივებული სამუშაო საათებიდან გამომდინარეობს, მიუხედავად იმისა, ეს სამუშაო ანაზღაურებადია თუ აუნაზღაურებელი. მრავალწევრიან შინამეურნეობებში მაცხოვრებელი 25-62 წლის პირების მიერ დროის გამოყენების ანალიზი, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციამ ჩაატარა, გვაჩვენებს, რომ ქალებში დროითი სიღარიბის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება კაცებისას (დიაგრამა 3.3). მონაცემების თანახმად, ქალები უფრო მეტად გრძნობენ, რომ მუდმივად ეჩქარებათ (ქალი - 32.6 პროცენტი, კაცი - 25.1 პროცენტი),⁹ და, დროითი სიღარიბის სხვადასხვა საზომის მიხედვით, დროითი სიღარიბის ალბათობა ქალებში 22-24.6 პროცენტით მეტია, ვიდრე კაცებში.¹⁰ ქალებში დროითი სიღარიბის ალბათობას ზრდის ისეთი ფაქტორები, როგორცაა ქორწინება, 10 წლამდე ასაკის ბავშვის ყოლა და განათლების უფრო მაღალი დონე.

დიაგრამა 3.3: დროითი სიღარიბის მაჩვენებლები ქალებსა და კაცებში (პროცენტი)



წყარო: გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2022b.

3.1.1 მონყვლადი ჯგუფები და სიღარიბე


საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები მნიშვნელოვან სირთულეების უქმნის მოსახლეობას, განსაკუთრებით ისეთ მონყვლად ჯგუფებს, როგორცაა: სოფლად მცხოვრები მოსახლეობა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, იძულებით გადაადგილებული, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და ლგბტიქ+ პირები. როგორც სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული კვლევით დადასტურდა, ეს გამონკვევები ძალიან მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალებზე. კვლევის მიგნებებმა აჩვენა, რომ ამ ჯგუფებში შემავალი ქალების მნიშვნელოვანი რაოდენობა იძულებულია, შეათავსოს ორივე - ანაზღაურებადი სამუშაო და აუნაზღაურებელი საოჯახო შრომა, დასვენების დღეებშიც კი. ამ რეალობას პასუხისმგებლობების არათანასწორ გადანაწილებამდე მივყავართ. მეტიც, შემაშფოთებელია მონაცემები, რომელიც მიუთითებს რეგიონებში ქალების შეზღუდულ მობილობაზე, რაც ხელს უშლის მათ მიერ განათლების ხელმისაწვდომობას და ზრდის ბარიერებს მათი ეკონომიკური გაძლიერებისთვის.¹¹ გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული ანალიზი აჩვენებს, რომ შინამეურნეობები, სადაც შშმ პირები ცხოვრობენ, განსაკუთრებით განიცდიან სიღარიბეს. მაგალითად, 2020 წელს შინამეურნეობების 25.8 პროცენტი, სადაც შშმ პირის ოფიციალური სტატუსის მქონე თუნდაც ერთი წევრი ჰყავდათ, სიღარიბის ეროვნულ დადგენილ ზღვარს ქვემოთ ცხოვრობდა, რაც ქვეყნის მასშტაბით დადგენილ სიღარიბის დონეს (21.3 პროცენტი 2020 წელს)

აღემატება.¹² რაც შეეხება საქართველოში ლგბტიქ+ პოპულაციას, სტანდარტიზებული მონაცემები შეზღუდულია. თუმცა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2021 წელს ჩატარებულმა ანალიზმა გამოავლინა მნიშვნელოვანი გამოწვევები და მწირი სახელმწიფო დახმარება საქართველოში ლგბტიქ+ თემის წარმომადგენლებისთვის სიღარიბესთან გასამკლავებლად. კვლევები მიუთითებს, რომ ლგბტიქ+ პირების დასაქმების შესაძლებლობები შეზღუდულია, რასაც მივყავართ მათ დაბალ ხელფასებამდე, რაც ხშირად არ არის საკმარისი ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ამას გარდა, ლგბტიქ+ პირებს შორის დიდია უსახლკარო პირთა წილი, რაც შეიძლება მათ იდენტობასთან დაკავშირებული დისკრიმინაციული გარემოს ან/და მათ მიმართ ოჯახის წევრების მხრიდან ძალადობით იყოს გამოწვეული.¹³

3.2 სოციალური დაცვა


საქართველოში მოსახლეობის ნახევარზე ნაკლები სარგებლობს მინიმუმ ერთი ტიპის სოციალური დახმარებით. ქალების წილი სოციალური პროგრამების ბენეფიციართა შორის მეტია, ვიდრე კაცების. (დიაგრამა 3.4).

ამონაბეჭდი 1-3



SDG ინდიკატორი 1.3.1: საქსტატის 2022 წლის მონაცემების მიხედვით, მოსახლეობის 14.5 პროცენტი (535,343 პირი) იღებდა საარსებო შემწეობას; 4.8 პროცენტი (178,426 პირი) – სოციალური დახმარების პაკეტს; და 21.9 პროცენტი (808,326 პირი) – ასაკობრივ პენსიას (ცხრილი C.3).¹⁴

დიაგრამა 3.4: SDG ინდიკატორი 1.3.1. სოციალური დაცვის პროგრამებით/სისტემებით დაფარული მოსახლეობის წილი, სქესის მიხედვით, 2022 წელს (პროცენტი)



წყარო: ავტორის გაანგარიშებები საქსტატზე დაყრდნობით, n.d.-a.
შენიშვნა: იხ. ცხრილი C.3.

2020 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებულმა ანალიზმა ის გამოწვევები გამოავლინა, რომლებსაც ქალები შრომის ბაზარზე აწყდებიან და რაც, ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე, სოციალური დაცვის სისტემებზე მათ დამოკიდებულებას ზრდის. სოციალური დაცვის სისტემაზე დამოკიდებულებამ კი შეიძლება, კიდევ უფრო გააღრმავოს არსებული გენდერული უთანასწორობები. აღნიშნულ კვლევაში გამოკვეთილია საკვანძო მიგნებები სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით: ბავშვებში - საქართველოში მცხოვრები გოგონები დგანან ისეთი გამოწვევის წინაშე, როგორცაა ბავშვთა ქორწინება, ვაჟისთვის უპირატესობის მინიჭება, და, ამავე დროს, სიღარიბის უფრო მაღალი რისკი. სამუშაო ასაკის ქალებს ერთდროულად აწვებათ საოჯახო ვალდებულებები და შრომა, რის შედეგადაც ისინი ნაკლებად მონაწილეობენ ფორმალურ შრომის ბაზარზე და, აქედან გამომდინარე, ნაკლებად იღებენ დახმარებებს სოციალური დაცვის სისტემიდან. უფროსი ასაკის ქალების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ზოგადად ნაკლებად ღარიბები არიან საყოველთაო საპენსიო სისტემის დახმარებით, მარჩენალდაკარგულის შემწეობის ნაკლებობა არაპროპორციულად მეტად ახდენს გავლენას ასაკოვან ქალებზე.¹⁵

სოციალური დაცვის სისტემის ფარგლებში ბენეფიციართა ყველაზე დიდი კატეგორია არის ასაკობრივი პენსიის მიმღები პირები და ისინი მთელი მოსახლეობის დაახლოებით 22 პროცენტს შეადგენენ. ქალების სიცოცხლის მეტი ხანგრძლივობისა და უფრო დაბალი საპენსიო ასაკის გამო, პენსიის მიმღები ქალები პენსიის მიმღებ კაცებს 2.5-ჯერ აღემატებიან. ამის საპირისპიროდ, ისეთ კატეგორიებში, როგორცაა შშმ პირის პენსია, ვეტერანები და სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები პირები, სადაც კაცების რაოდენობა სჭარბობს, ისინი, ქალებთან შედარებით, ორჯერ მეტი ალბათობით იღებენ სოციალურ შემწეობებს.¹⁶ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ჯერ კიდევ ნაკლები წინსვლაა მიღწეული საქართველოში შშმ პირის სტატუსის მინიჭების უფრო სამართლიან სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით. ამჟამად არსებული მოდელი ძირითადად სამედიცინო ფაქტორებს ეყრდნობა და ინდივიდის შეფასებისას არ ითვალისწინებს უმნიშვნელოვანეს ფსიქოლოგიურ და სოციალურ ასპექტებს. შედეგად, სოციალური პაკეტის ფარგლებში გაცემული თანხა არ არის პერსონალიზებული იმისთვის, რომ უპასუხოს შშმ პირების კონკრეტულ საჭიროებებს, რითაც ამ პირების მხარდაჭერა არაეფექტური ხდება.¹⁷

მნიშვნელოვანი სირთულეებია დედობის, მამობის და მშობლის შვებულების კომპენსაციის საკითხებთან დაკავშირებით. 2021 წლიდან, საქართველოს შრომის კოდექსის ქვეშ მოქცეული პირების უმეტესობას შეუძლია გამოიყენოს ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულება 126 კალენდარული დღის ოდენობით (ანაზღაურებადი სახელმწიფო გასაცემლით), რომელსაც დედა იყენებს. ასევე, ბავშვის მოვლის გამო შვებულება (ანაზღაურებადი სახელმწიფო გასაცემლით) 57 დღე, რომელიც შეიძლება გამოიყენოს დედამაც და მამამაც. მშობლებს, ასევე, შეუძლიათ ბავშვის მოვლის გამო აუნაზღაურებელი შვებულებით სარგებლობა დამატებითი 547 დღის განმავლობაში, რაც საერთო ჯამში 730 დღეს შეადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო მოხელეებთან მიმართებით, რომლებიც მომუშავე ქალთა 3 პროცენტს შეადგენენ, მოქმედებს არა საქართველოს შრომის კოდექსი, არამედ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“.¹⁸ თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ გაცემული კომპენსაცია მხოლოდ ფორმალურად დასაქმებულ ქალებს ფარავს. 2023 წლამდე არასაჯარო სექტორში დასაქმებული ქალების შემთხვევაში, დედობის შვებულების კომპენსაცია შეადგენდა თვეში 1,000 ლარს ექვსი თვის განმავლობაში, 2023 წლის შემდეგ კი შემწეობა მაქსიმუმ 2,000 ლარამდე გაიზარდა. აღნიშნული მატების მიუხედავად, შვებულების კომპენსაცია ჯერ კიდევ ჩამოუვარდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 183-ე კონვენციის დედობის დაცვის შესახებ¹⁹ დადგენილ მინიმალურ სტანდარტს, რაც გულისხმობს ხელფასის ორი მესამედის ანაზღაურებას, მინიმუმ 14 კვირის

მანძილზე. 2021 წელს შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად მოხდა დედობის ანაზღაურებადი შვებულებისთვის გამოყოფილი 183 დღის გადანაწილება შემდეგნაირად: 126 დღე გამოყოფილია ექსკლუზიურად დედისთვის, (თუმცა, 37-ე მუხლის პარაგრაფი 4-ის თანახმად, მამებს აქვთ უფლება, აიღონ დღეები, იმ შემთხვევაში, თუ დედას არ გამოუყენებია), ხოლო დარჩენილი 57 ანაზღაურებადი დღე განკუთვნილია მშობლის შვებულებისთვის, რომლის გამოყენებაც ნებისმიერ მშობელს შეუძლია. მიუხედავად ამისა, კვლავ არსებობს სირთულეები, რომელთა შორისაც არის არაგადაცემადი და ანაზღაურებადი მამობის შვებულების და ფორმალური დასაქმების მიღმა მყოფი პირებისთვის დედობის შვებულების სქემის არარსებობა. სოციალური დაზღვევის სქემის განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ფორმალურად დასაქმებული პირების ეფექტიანად დაფარვა, ხოლო გადასახადებით დაფინანსებული სახსრების მეშვეობით, დედათა საყოველთაო შემწეობის დაწესება ფორმალური დასაქმების მიღმა მყოფი ქალებისთვის.

ამჟამად, საქართველოში არ არსებობს რამე პირდაპირი სოციალური შემწეობა **ოჯახში ძალადობის მსხვერპლი** პირებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ამგვარ პირებს უზრუნველყოფს დროებითი თავშესაფრითა და სამედიცინო, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარებით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაქმების პერსპექტივა ძალიან შეზღუდულია. „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“ (სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს) მიერ ჩატარებულმა კვლევამ ნათელი მოჰფინა შრომის ბაზარზე ჩასართავად ამ ადამიანების წინაშე მდგარ გამოწვევებს. უმთავრესი სირთულე არის სრულ განაკვეთზე სამუშაოს შენარჩუნება, ვინაიდან ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბევრი ადამიანი მათზე დამოკიდებული პირების ერთადერთი მომვლელია. დამატებით, დაბალი შემოსავლები ხშირად შეუძლებელს ხდის მათთვის, დაიკმაყოფილონ ყველაზე არსებითი საჭიროებები და ადეკვატურად უზრუნველყონ თავიანთი შვილები. მეტიც, მაშინ, როდესაც თავშესაფარში გაჩერება მაქსიმუმ 12 თვით არის შესაძლებელი, გრძელვადიანი სტაბილური საცხოვრისის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი პრობლემაა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის. აღნიშნულმა გარემოებებმა შეიძლება ამ პირებს იმ ძალადობრივ გარემოში დაბრუნება აიძულოს, საიდანაც თავი დააღწიეს.²⁰

მართოხელა დედები კიდევ ერთი კატეგორიაა, ვისაც ასევე ესაჭიროება სოციალური დაცვის მექანიზმები. 2022 წელს „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში“ ცვლილებები შევიდა მართოხელა მშობლების სტატუსის გასაფართოებლად. ცვლილებები მოიცავს დედებისთვის დამატებით შესაძლებლობებს, მეტად მიუწვდებოდეთ ხელი სახელმწიფო სერვისებზე და ფარავს ისეთ სიტუაციებს, როდესაც მცირეწლოვანის მეორე მშობელი (დედა ან მამა) გარდაცვლილი ან დაკარგულია ან ჩამორთმეული აქვს მშობლის ყველა უფლება და ვალდებულება.

მთლიანობაში, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშში წარმოდგენილი მიგნებები ხაზს უსვამს, რომ გენდერული უთანასწორობის წინააღმდეგ ეფექტიანი ზომების მისაღებად საჭიროა სოციალური დაცვის სისტემებში, გენდერული ასპექტი აისახოს.

გენდერსა და სოციალურ დაცვას შორის ურთიერთობა მრავალნაზნაგოვანია და მასზე ცხოვრების სხვადასხვა ეტაპები ახდენს გავლენას, როდესაც რისკები სხვადასხვა ბავშვობის, ზრდასრული ასაკისა და ასაკოვანი პირებისთვის. ამკარაა, რომ საქართველოში ქალები მეტ სარგებელს იღებენ სოციალური დაცვის სისტემიდან, გარდა სამუშაო ასაკის პერიოდისა. თუმცა, მათ მიერ მიღებული რეალური შეღავათები შეიძლება, არ იყოს შესაბამისი სისტემაში არსებული გამოწვევებისა და საზოგადოებაში არსებული გენდერული მიკერძოებების

გამო. ამ ხარვეზის რეალურად გამოსასწორებლად, აუცილებელია პოლისტიკურ და გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული მიდგომების დამკვიდრება, არა მხოლოდ სოციალური დაცვის სისტემის გასაუმჯობესებლად, არამედ, უფრო ფართო სტრუქტურული უთანასწორობის აღმოსაფხვრელადაც, რაც სათავეს სოციალური ნორმებიდან და პრაქტიკებიდან იღებს. შესაბამისად, საქართველოსთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის „სოციალური დაცვის (მინიმალური სტანდარტები) კონვენციის“ 1952 (No. 102) მიღება და განხორციელება და სიცოცხლის სრული ციკლის მომცველი მიდგომის გამოყენება, რომელიც მოსახლეობის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა გარემოებებში წარმოქმნილ განსხვავებულ საჭიროებებსა და რისკებს ითვალისწინებს.²¹

3.3 მიგრაცია

მიგრაციის პოლიტიკასა და დოკუმენტებში გენდერული თანასწორობის საკითხების გაუთვალისწინებლობა და გენდერულ საკითხებზე დაფუძნებული მიდგომების ნაკლებობა მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს მიგრაციის ტენდენციების რეალური სურათისა და აქედან გამომდინარე, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებზე მათი შედეგების დასაანახად. მიუხედავად იმისა, რომ 2021-2030 წლებისთვის „მიგრაციის სტრატეგიაში“ ზედაპირულად არის ნახსენები მიგრანტი ქალებისა და გოგოების, ისევე, როგორც სხვა მონყვლადი ჯგუფების განსაკუთრებულ საჭიროებებზე რეაგირების აუცილებლობა, დოკუმენტში გენდერული თანასწორობის საკითხები ყოვლისმომცველად არ არის ასახული. შედეგად, არასაკმარისად არის ცნობილი მიგრაციის კონკრეტული ზეგავლენა სხვადასხვა ჯგუფზე, რაც აფერხებს მიგრანტების განსხვავებულ საჭიროებებზე რეაგირებისა და მათი დაცვის ეფექტიანი და ინკლუზიური პოლიტიკების შექმნას.²²

საქართველოში მიგრაციის დინამიკამ მოიმატა ბოლო წლების განმავლობაში, გარდა 2020 წლისა, როდესაც მიგრაციის კლება დაფიქსირდა – კოვიდ 19-ის პანდემიის შეზღუდვების გამო. 2022 წელს საქართველოში იმიგრირებულ პირთა რაოდენობამ 179,778 შეადგინა, ხოლო საქართველოდან ემიგრირებული იყო 125,269 ადამიანი. მიუხედავად მერყევი მაჩვენებლებისა, 2022 წელს მიგრაციის სალდო დადებითი იყო. გენდერული კუთხით საკითხის გაანალიზებისას, ეროვნებით ქართველ იმიგრანტებში ქალებისა და კაცების გადანაწილება შედარებით უცვლელი იყო და მერყეობდა 39-დან 43 პროცენტამდე ქალებში და 57-დან 61 პროცენტამდე კაცებში. აღსანიშნავია, რომ საქართველოდან ემიგრირებულთა უმრავლესობა იყო კაცი და მათი წილი იყო 57-დან 62 პროცენტამდე (ცხრილი C.4).²³

თუმცა, „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ თანახმად, ამ ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში ქართველ ემიგრანტთა უმრავლესობა ქალია (62 პროცენტი), რის შედეგადაც, ქართული დიასპორა ქალთა წილით მეორე ადგილს იკავებს კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების დიასპორათა შორის. ყველაზე დიდი გენდერული განსხვავებები იტალიასა და თურქეთშია, სადაც ქალები იტალიური დიასპორის 80 პროცენტს და თურქული დიასპორის 84 პროცენტს შეადგენენ. შემდეგ ადგილზეა საბერძნეთისა და ისრაელის დიასპორები (61 პროცენტი და 58 პროცენტი, შესაბამისად). მიგრანტთა შორის ქართული დიასპორის ფემინიზაციას უმთავრესად ეკონომიკური ფაქტორი განაპირობებს. ამასთან, მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია მზარდი მოთხოვნა ოჯახში დასაქმებულებსა და ხანდაზმულთა ზრუნვის შრომაზე, რამაც ქალებისთვის დასაქმების შესაძლებლობების ზრდას შეუწყო ხელი.²⁴ ამას კიდევ უფრო მეტად ადასტურებს თვისებრივი კვლევები, საიდანაც ჩანს, რომ საბერძნეთში, ესპანეთსა და თურქეთში დიდია მოთხოვნა ქართველ

ემიგრანტ ქალებზე დიასახლისის, მომვლელის, ძიძისა და დამლაგებლის პოზიციებზე.²⁵ უნდა აღინიშნოს, რომ „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ ნევრ ქვეყნებში მაცხოვრებელ ქართველ ემიგრანტთა შორის ქალებს განათლების უფრო მაღალი დონის საფეხურები აქვთ დამთავრებული, ვიდრე კაცებს.²⁶

უვიზო მიმოსვლის შემოღებამ ევროკავშირისა და შენგენის ზონის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეთა მიერ თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის მატება განაპირობა (გარდა 2020 წლისა). ყველაზე მეტად თავშესაფარს საფრანგეთსა და გერმანიაში ითხოვდნენ. 2016-დან 2020 წლამდე მონაცემები გვაჩვენებს, რომ თავშესაფრის მაძიებელთა 68 პროცენტი იყო კაცი, ხოლო საქართველოს იმ მოქალაქეთა უმრავლესობა, ვინც საერთაშორისო თავშესაფარი მიიღო, იყო ქალი (60 პროცენტი).²⁷ უკრაინაში რუსეთის შეჭრა მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა საქართველოს მოქალაქეთათვის ევროკავშირში თავშესაფრის ძიების გასააქტიურებლად. 2022 წლის პირველ კვარტალში, თავშესაფარზე განცხადებათა 42 პროცენტი ქალი აპლიკანტების მიერ იყო შეტანილი, რაც წინა წლებთან შედარებით ოდნავ გაზრდილი მაჩვენებელია. საქართველოდან გამსვლელთა ერთ-ერთ მთავარ ჯგუფს კვალიფიციური პროფესიონალები წარმოადგენდნენ. ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად მათზე ქვეყანაში მათი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვამ იქონია გავლენა.²⁸

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია არსებული სოციალური დაცვის სისტემა გაძლიერდეს და უფრო მეტად ინკლუზიური გახდეს, რათა აღმოიფხვრას სიღარიბის თვალსაზრისით არსებული გენდერული უთანასწორობა. აუცილებელია საკმარისი ფინანსური რესურსების გამოყოფა და მიზნობრივი ინტერვენციები სხვადასხვა ჯგუფის განსხვავებული საჭიროებების გადასაჭრელად.
- მნიშვნელოვანია აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომის აღიარება, დაფასება და გადანაწილება, რაც ამჟამად დისპროპორციულად ქალების მიერ სრულდება. აღნიშნული შესაძლოა მიღწეულ იქნას გადანაწილების ხელშემწყობი პოლიტიკის, ბავშვზე ზრუნვის ფინანსურად და ფიზიკურად მისაწვდომი მომსახურებების შექმნით და გაფართოებით.
- მნიშვნელოვანია გენდერული საკითხების ინტეგრირება მიგრაციის შესახებ პოლიტიკებსა და დოკუმენტებში იმისთვის, რომ სრულად დავინახოთ მიგრაციის ტენდენციები და მათი ზეგავლენა სხვადასხვა სქესის ადამიანებზე. ამისთვის უნდა მოხდეს როგორც კაცი, ასევე ქალი მიგრანტების კონკრეტული გამოწვევების და საჭიროებების გათვალისწინება პოლიტიკის შექმნის, განხორციელებისა და შეფასების ყველა საფეხურზე.
- გენდერული თანასწორობა და ინკლუზიურობა უნდა იყოს საკვანძო საკითხი ყველა სახის პოლიტიკის შექმნის პროცესში და მოხდეს ქალებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების წინაშე მდგარ სოციალურ უთანასწორობებზე რეაგირება. აღნიშნული მიგვიყვანს უფრო სამართლიან და თანასწორ საზოგადოებამდე, სადაც ყველა ინდივიდს თანასწორი წვდომა აქვს რესურსებზე, შესაძლებლობებსა და სოციალური დაცვის მექანიზმებზე.
- ჩატარდეს მონაცემთა მოგროვება და ანალიზი, რომელიც კონკრეტულად შეისწავლის საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფზე პოლიტიკების ზეგავლენას, რაც მხარდამჭერი იქნება მიზნობრივი და მტკიცებულებებზე დამყარებული პოლიტიკების შექმნაში. უნდა ჩატარდეს რეგულარული შეფასება და კვლევა ხარვეზების გამოსავლენად და პოლიტიკების ეფექტიანობის შესაფასებლად, რათა უზრუნველყოფილი იყოს გენდერული თანასწორობა და ქალების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების წინაშე მდგარი გამოწვევების შემცირება.

4

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება




ძირითადი დასკვნები:

- ▶ ქალთა ეკონომიკური აქტიურობის დონე საკმაოდ ჩამორჩება (41.5 პროცენტი) კაცების ეკონომიკური აქტიურობის დონეს (64 პროცენტი). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 25-34 წლის ასაკობრივ ჯგუფში ქალების თითქმის ნახევარი (46.4 პროცენტი) ეკონომიკურად არააქტიურია.
- ▶ კაცებში კვლავ ფიქსირდება დასაქმების უფრო მაღალი დონე, ვიდრე ქალებში, რაც შრომის ბაზარზე ამჟამად არსებულ გენდერულ უთანასწორობაზე მიუთითებს. 2022 წლის მონაცემებით, საქართველოში დასაქმების კუთხით არსებულმა გენდერულმა სხვაობამ უმაღლეს ნიშნულს მიაღწია ბოლო წლების განმავლობაში და 16,2 პროცენტი შეადგინა ყველა ასაკობრივ ჯგუფში.
- ▶ არაფორმალურად დასაქმებული ქალები, მათ შორის, ოჯახში დასაქმებულები, არაერთი ისეთი გამონკვევის წინაშე დგანან, როგორცაა: არასახარბიელო სამუშაო გარემო, შეზღუდული სამართლებრივი დაცვა, დაბალი ცოდნა მათი სამოქალაქო და შრომითი უფლებების შესახებ, ძალადობა, ექსპლუატაცია და არასამართლიანი ანაზღაურება.
- ▶ შეზღუდული მობილობა და ტრანსპორტირების ბარიერები მნიშვნელოვნად აფერხებს ქალებისთვის განათლების, დასაქმებისა და საბაზისო მომსახურებების ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით, სოფლის ტიპის დასახლებებში. ეს სირთულეები პირდაპირ გავლენას ახდენს მათ ეკონომიკურ დამოუკიდებლობასა და მთლიანობაში მათ გაძლიერებაზე.
- ▶ საწარმოების მფლობელებსა და უმაღლესი რანგის მენეჯერებში ქალები დისპროპორციულად ნაკლებად არიან წარმოდგენილი. 2022 წელს, ახლად შექმნილ საწარმოებში აღნიშნულ პოზიციებზე მხოლოდ 24.7 პროცენტი იყო ქალი.
- ▶ შესწორებული ყოველთვიური გენდერული სახელფასო სხვაობა 23 პროცენტს შეადგენს და ეს ბოლო სამი წლის მანძილზე ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.
- ▶ საქართველოში ქალები ხუთჯერ მეტ დროს ხარჯავენ აუნაზღაურებელ საშინაო შრომასა და ზრუნვის საქმიანობაზე, ვიდრე კაცები. ქალების ეკონომიკური საქმიანობისთვის ხელისშემშლელ მთავარ ფაქტორებს ქვეყანაში აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომის არათანაბარი განაწილება ქალებსა და კაცებს შორის და არსებულ სოციალურ ნორმებთან ერთად ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ზრუნვის მომსახურებების სიმცირე წარმოადგენს.

4.1 ეკონომიკური საქმიანობა და დასაქმება

საქართველოში ქალებისა და კაცების დასაქმების მაჩვენებლებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა. 2022 წელს დასაქმების კუთხით გენდერულმა სხვაობამ ბოლო წლებისთვის ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია და 16.2 პროცენტული პუნქტი (p.p.) შეადგინა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, დასაქმებული იყო კაცების 51.7 პროცენტი და ქალების 35.4 პროცენტი (ცხრილი C.5). აღსანიშნავია, რომ დასაქმების კუთხით არსებული სხვაობა კიდევ უფრო დიდია 25-34 წლის ასაკობრივ ჯგუფში, რაც საქართველოში ქალებისთვის ყველაზე აქტიურ რეპროდუქციულ პერიოდს ემთხვევა (იმის გათვალისწინებით, რომ პირველი მშობიარობის საშუალო ასაკი 26.4 წელია¹) და რომელსაც ასევე ახასიათებს ბავშვზე ზრუნვისა და საოჯახო შრომის ვალდებულებების მნიშვნელოვანი ზრდა. აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში ქალებისა და კაცების დასაქმების დონეებს შორის უთანასწორობა კიდევ უფრო მკვეთრად იზრდება და 20.2 პროცენტულ ერთეულს აღწევს (დიაგრამა 4.1 და ცხრილი C.6).

დიაგრამა 4.1: დასაქმების მაჩვენებელი, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, 2022 წელს (პროცენტი)




წყარო: საქსტატი, 2022d.

შენიშვნა: იხ. ცხრილი C.6.

2022 წელს სამუშაო ძალაში ქალთა მონაწილეობის (ეკონომიკური აქტივობის) მაჩვენებელი მხოლოდ 41.5 პროცენტი იყო და საკმაოდ დიდი განსხვავებით - 22.5 პროცენტული ერთეულით ჩამოუვარდებოდა სამუშაო ძალაში კაცთა მონაწილეობის მაჩვენებელს (64 პროცენტს) (ცხრილი C.7). აღნიშნული მონაცემები ხაზს უსვამს, რომ ქალების 58.5 პროცენტი ეკონომიკურად არააქტიურთა კლასტერში შედიოდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამუშაო ასაკის მქონე ქალების 58.5 პროცენტი არ იყო არც დასაქმებული და არც აქტიურად ეძებდა დასაქმების შესაძლებლობებს.² ის, რომ ქალების უმრავლესობა ეკონომიკურად არააქტიურია, ხოლო კაცების უმუშევრობის³ დონე ქალებთან შედარებით მცირედით მაღალია (განსხვავება 4.7 პროცენტული ერთეულით), მიუთითებს იმაზე, რომ სამუშაოს უფრო მეტი კაცი ეძებს, ვიდრე ქალი (ცხრილი C.8).

ეკონომიკური არააქტიურობის მაჩვენებელი ქალებსა და კაცებს შორის ყველაზე დაბალი 15-24 წლის ასაკობრივ ჯგუფშია და განსხვავება მხოლოდ 14.4 პროცენტულ ერთეულს შეადგენს. თუმცა, 25-34 წლის ასაკობრივ ჯგუფში, რომელიც კარიერის შესაქმნელად ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდია, ეკონომიკური არააქტიურობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად იზრდება და 30.9 პროცენტულ პუნქტს უტოლდება. 2022 წელს აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფის ქალების შესამჩნევი რაოდენობა – 46.4 პროცენტი, არ იყო ჩართული ეკონომიკურ საქმიანობაში, ხოლო ამავე ასაკობრივი ჯგუფის წევრი კაცების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 15 პროცენტს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ 15-დან 24 წლამდე და 25-დან 34 წლამდე ასაკობრივი ჯგუფების ეკონომიკური არააქტიურობის მაჩვენებლებს შორის განსხვავების ტენდენცია უცვლელია. ბოლო სამი წლის მონაცემებზე დაკვირვება (ცხრილი C.9) გვაჩვენებს, რომ ეკონომიკურად არააქტიურ ქალებსა და კაცებს შორის განსხვავება მუდმივად მერყეობს 29-31 პროცენტულ პუნქტებს შორის. სავარაუდოა, რომ ამ ტენდენციაზე გავლენას ზრუნვის შრომაში არსებული გენდერული დაყოფა ახდენს, რომელიც განსაკუთრებით იმატებს ქალის აქტიური რეპროდუქციული წლების დროს (ეკონომიკურად არააქტიურ ქალებსა და კაცებს შორის სქესის მიხედვით განსხვავება მკვეთრად იკლებს 44 წლის ასაკის შემდეგ). ქალების ეკონომიკაში უფრო დაბალი მონაწილეობის დონეს ხელს უწყობს ისეთი ფაქტორები, როგორცაა საოჯახო შრომის არათანაბარი განაწილება, ბავშვზე ზრუნვის საჯარო სერვისებზე შეზღუდული წვდომა, არასაკმარისი სოციალური დაცვა და მნიშვნელოვანი განსხვავებები ანაზღაურებაში. აღსანიშნავია, რომ შემდგომ ასაკობრივ ჯგუფებში სქესის მიხედვით განსხვავება ეკონომიკურად არააქტიურ პირებს შორის მცირდება. ეს შესაძლოა აიხსნას ბავშვების ზრდასთან ერთად მათზე ზრუნვის ვალდებულებების შემცირებით, რაც იწვევს სამუშაო ძალაში ქალების რეინტეგრაციას. სხვაობა კვლავ იზრდება 55+ ასაკობრივ ჯგუფში. სავარაუდოა, რომ ამის მიზეზი უნდა იყოს ქალების შედარებით დაბალი საპენსიო ასაკი და ზრუნვის ახალი საქმიანობების, მათ შორის, შვილიშვილებზე ან/და ოჯახის ასაკოვან წევრებზე ზრუნვის დაწყება. (დიაგრამა 4.2).⁴

დიაგრამა 4.2: ეკონომიკურად არააქტიურობის მაჩვენებელი, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, 2022 წელს (არააქტიური მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი)



წყარო: საქსტატი, 2022d.
შენიშვნა: იხ. ცხრილი C.9.

4.2 არაფორმალური დასაქმება

კომპანია 8-3




SDG ინდიკატორი 8.3.1: არასასოფლო სამეურნეო სფეროში არაფორმალური დასაქმების წილი 2022 წელს 28.4 პროცენტს შეადგენდა. არასასოფლო სამეურნეო სექტორში ქალთა არაფორმალური დასაქმების მაჩვენებელი 22.5 პროცენტი იყო, ხოლო კაცების – 33.4 პროცენტი.⁵

საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს შრომის ბაზარსა და შრომით ურთიერთობებს, არ არეგულირებს არაფორმალური დასაქმების სექტორს. შესაბამისად, ის ვერ უზრუნველყოფს არაფორმალურ დასაქმებაში ჩართულ პირთა უფლებებს. ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფი არაფორმალური დასაქმების სექტორიდან არის ოჯახში დასაქმებული პირები. ბევრი მათგანი ხშირად კვირაში 40 სამუშაო საათზე მეტს მუშაობს, მათ შორის – უქმე დღეებისა და საღამოების ჩათვლით. ოჯახში დასაქმებული ყველა პირის თითქმის ნახევარზე მეტი არაადეკვატურ ანაზღაურებას იღებს. მნიშვნელოვანი სხვაობაა ასევე, ტრადიციულად ქალის ოჯახში შრომად მიჩნეული საქმიანობებისა და კაცის ოჯახში შრომად მიჩნეული საქმიანობების ანაზღაურებებს შორის. ოჯახში დასაქმებულებს აქვთ არასახარბიელო სამუშაო გარემო, შეზღუდული წვდომა სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე, დაბალი ცოდნა მათ სამოქალაქო და შრომის უფლებებზე. ცუდი მოპყრობა, ექსპლუატაცია, უსამართლო ანაზღაურება, აუნაზღაურებელი ზეგანაკვეთური სამუშაო, დასაქმების გაურკვეველი პირობები და უსაფრთხო გარემოს არარსებობა – ის საფრთხეებია, რასაც არაფორმალურად დასაქმებული მუშაკები აწყდებიან.⁶

4.3 სოფლის ეკონომიკა

2022 წელს საქართველოში სოფლად სამუშაო ძალაში ქალთა მონაწილეობის მაჩვენებელია 36.1 პროცენტს მიაღწია, რაც მეტია, ვიდრე 2020 წელს დაფიქსირებული 33.5 პროცენტი და 2021 წელს დაფიქსირებული 33.1 პროცენტი (დიაგრამა 4.3 და ცხრილი C.10).⁷ სოფლად მცხოვრები და 2022 წელს სამუშაო ძალაში მონაწილე ქალების უმრავლესობა (51.1 პროცენტი) იყო დაქირავებული მუშაკი, რაც წინა წლებში დაფიქსირებულ შესაბამის მაჩვენებელზე ცოტა მაღალია. ამის საპირისპიროდ, სოფლად მცხოვრებ თვითდასაქმებულ ქალთა წილმა 2022 წელს მცირედ დაიკლო და 35.7 პროცენტი შეადგინა (ცხრილი C.11).⁸

დიაგრამა 4.3: სამუშაო ძალაში მონაწილეობის (ეკონომიკური აქტიურობის) მაჩვენებელი, სქესისა და დასახლების ტიპის მიხედვით, 2022 წელს (პროცენტი)



წყარო: საქსტატი, 2022d.

შენიშვნა: იხ. ცხრილი C.10.

სოფლად მაცხოვრებელი ქალების არასასოფლო სამეურნეო დასაქმება ძირითადად, საჯარო სამსახურების ისეთ სექტორებს უკავშირდება, როგორცაა – განათლება და ჯანდაცვა, სადაც ხშირად დაბალი ანაზღაურებაა. სოფლად მცხოვრები თვითდასაქმებული ქალები შეიძლება ორ კატეგორიად დაიყოს: ოჯახში დამხმარე მუშაკები; ან საკუთარი თავის წინაშე ანგარიშვალდებული მუშაკები.⁹

მონაცემები მიუთითებს ქალებსა და კაცებს შორის მნიშვნელოვან გენდერულ უთანასწორობებზე სასოფლო-სამეურნეო მეურნეობებსა და საკუთრებაში არსებული მიწის ფლობის მიმართულებით. 2022 წელს ქალები სასოფლო-სამეურნეო მეურნეობების 31.7 პროცენტს მართავდნენ, ხოლო კაცები – 68.3 პროცენტს. რაც შეეხება ამ მეურნეობების საკუთრებაში არსებულ მიწას, როგორც ნახსენებია მესამე თავში, ის მეურნეობები, რომელსაც ქალები უძღვებიან მიწის ფართობის მხოლოდ 18 პროცენტს ფლობდნენ, კაცების მიერ მართული მეურნეობების მიწის ფართი კი, 82 პროცენტს შეადგენს.¹⁰ ეს გენდერული განსხვავებები წლების განმავლობაში შენარჩუნებულია, რაც სასოფლო-სამეურნეო მიწის ფლობასა და მართვაში არსებულ უთანასწორობებზე მიუთითებს.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის არსებული რესურსები ხშირად ვერ აკმაყოფილებს ინდივიდუალურ საჭიროებებს, რის გამოც, რთულდება ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფციის სრულად რეალიზება. საქართველოში ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მობილობის საკითხი და მასთან დაკავშირებული გენდერული ასპექტები. ყველა რეგიონში, დედაქალაქის ჩათვლით, მუნიციპალური ტრანსპორტის არასათანადო ფუნქციონირებით, ან თუნდაც მისი არარსებობით გამოწვეული სირთულე აღრმავებს ქალებისთვის განათლების, დასაქმებისა და სხვა აუცილებელი სერვისების წვდომის პრობლემებს, განსაკუთრებით – სოფლად. ტრანსპორტირების ეს ბარიერი არა მხოლოდ ზღუდავს ქალთა შესაძლებლობებს, არამედ ასევე ხელს უშლის პროფესიული ზრდისთვის აუცილებელი მათი უნარებისა და ჩვევების განვითარებას, რაც საბოლოოდ გავლენას ახდენს ქალთა ეკონომიკურ დამოუკიდებლობასა და ქვეყანაში მათ სამართლებრივ სტატუსზე. ამას გარდა, ქალთა მობილობა პირდაპირ კავშირშია მათი შემოსავლის დონესთან, რაც კიდევ უფრო კრიტიკულს ხდის ტრანსპორტირების სფეროში არსებული გამოწვევების მოგვარებას.¹¹

4.4 ქალთა წვდომა აქტივებზე

საქართველოს პარლამენტის „გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს“ მიერ 2022 წელს ჩატარებული თემატური კვლევა განიხილავს ძირითად დაბრკოლებებს, რასაც ქალები და გოგოები ფინანსურ რესურსებზე წვდომის მიმართულებით აწყდებიან. ანგარიშში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ქალებისთვის ეკონომიკური აქტივების მიღება უფრო შეზღუდულია, ვიდრე კაცებისთვის. აღნიშნული შეზღუდვა სხვადასხვა ფაქტორიდან მომდინარეობს, მათ შორისაა, სამეწარმეო საქმიანობაში ქალების ჩართულობისთვის არახელსაყრელი გარემო და ეკოსისტემა, რაც ოჯახური და საზოგადოებრივი დინამიკისგან თავისუფალი არ არის და გადამწყვეტ როლს თამაშობს ქალის მონაწილეობის მაჩვენებელზე.


მეტიც, კვლევაში გამოვლენილია ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის მიმართულებით არსებული ბარიერები, როგორცაა საოჯახო შრომისა და ზრუნვის ვალდებულებების არათანაბარი გადანაწილება, ზრუნვის სერვისების არასაკმარისი რაოდენობა და ხარისხი, შეუსაბამო საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა და შეზღუდული მობილობა. სხვადასხვა

რეგიონიდან მიღებული მონაცემები მიუთითებს, რომ ქალების 70-80 პროცენტი ცხოვრობს სახლში, რომელიც სხვისი საკუთრებაა. ქალები შინამეურნეობის უფროსად ძირითადად წარმოდგენილი არიან ერთწევრიანი შინამეურნეობების შემთხვევაში. ქალების მხოლოდ 5-7 პროცენტი ხელმძღვანელობს ისეთ შინამეურნეობას, რომელშიც მეუღლესთან და შვილებთან ერთად ცხოვრობს. ყველა ეს ფაქტორი აფერხებს ქალების შესაძლებლობას, დაასაბუთონ მათი ფინანსური შემოსავალი საფინანსო ინსტიტუტებიდან მეტი რესურსების მოზიდვის მიზნით. ამასთანავე, ქალებს ნაკლებად გადაეცემათ მიწა საკუთრებაში მემკვიდრეობით. ქალების შეზღუდული მონაწილეობა შრომის ბაზარზე, ეკონომიკურ წამონყებებსა და მმართველ პოზიციებზე, შემოსავლებში სქესის მიხედვით არსებულ განსხვავებებთან ერთად, ქმნის იმ გამოწვევების ერთობლიობას, რასაც ქალები აწყდებიან საფინანსო რესურსების ხელმისაწვდომობის საკითხში.¹²

4.5 მეწარმეობა

საქართველოში კაცების მფლობელობაში არსებული ბიზნეს კომპანიების წილი ორჯერ აღემატება ქალების მფლობელობაში არსებული კომპანიების წილს. 2022 წელს ახლად შექმნილ საწარმოებს შორის, ქალების მფლობელობაში არსებული საწარმოების წილი 24.7 პროცენტს შეადგენდა (დიაგრამა 4.4 და ცხრილი C.12).¹³

დიაგრამა 4.4: საქართველოში ახლად შექმნილი საწარმოების მფლობელთა განაწილება, სქესის მიხედვით, 2020-2022 წლებში (პროცენტი)



წყარო: საქსტატი, n.d.-a.
შენიშვნა: იხ. ცხრილი C.12.

„ქალთა მეწარმეობის განვითარების შეფასება საქართველოში,“ რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციამ და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ 2023 წელს ჩაატარეს, გამოავლინა, რომ ქალები ქვეყანაში არსებული ეკონომიკურად აქტიური საწარმოების მხოლოდ ერთ მესამედს (33 პროცენტს) ფლობენ. 11.5% არის იმ კომპანიების წილი რომლის თანამფლობელებს შორის უმეტესობა ქალია. მაღალი რანგის მენეჯერის პოზიციებზე ქალი ჰყავთ საწარმოთა მხოლოდ 16.5 პროცენტში. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ქალებს კაცებთან შედარებით განათლების უფრო მაღალი დონეები აქვთ დასრულებული, ქალების დისპროპორციულად ნაკლები წარმომადგენლობა კომპანიების მფლობელებისა და უმაღლესი რანგის მენეჯერების როლში ხაზს უსვამს გენდერულ უთანასწორობას და იმ გამოწვევებს, რასაც ქალები ბიზნეს სექტორში აწყდებიან.¹⁴

ქალები მეტი ალბათობით ფლობენ და მართავენ მცირე ბიზნესებს და უმაღლესი რანგის მენეჯერის თანამდებობაზე ქალი ამგვარი კომპანიების ერთ მეხუთედზე ნაკლებში ჰყავთ. ხოლო, საშუალო და მსხვილ კომპანიებში ეს მაჩვენებელი სულ რაღაც 10 პროცენტია. ამას

გარდა, საქართველოში მსხვილი კომპანიების 1 პროცენტზე ნაკლებში მმართველი რგოლი უმეტესად ქალებისგან შედგება და მსხვილი საწარმოების მფლობელთა შორის ქალი მფლობელების წილი მხოლოდ ერთი მეხუთედია.¹⁵


მეტიც, საქართველოში ქალთა მენარმეობას სექტორული სახე აქვს – ბიზნეს კომპანიების უმრავლესობა არის ვაჭრობის სექტორში (59 პროცენტი), რაც მათ მცირე ზომაზე მიუთითებს. ქალების მფლობელობაში მყოფი ბიზნეს კომპანიების უმრავლესობა (89 პროცენტი) დამოუკიდებლად არის შექმნილი და ხშირად ინდივიდუალური მენარმის ფორმით ოპერირებს, სადაც ზოგჯერ სხვა ქალებიც არიან დაქირავებული. ამას გარდა, მენარმე ქალების 22 პროცენტი უვლის ბავშვებს, ოჯახის ასაკოვან ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე წევრებს. შესაბამისად, მათ წინაშე დამატებითი გამოწვევა დგას, დააბალანსონ საშინაო ზრუნვის სამუშაო და ბიზნესის მართვა. ამასთან, ქალ მენარმეებს სოციალური ნორმებიდან და სტერეოტიპებიდან გამომდინარე, მთელი რიგი სხვა სირთულეები აქვთ, ვინაიდან მათი ჩართულობა ბიზნესში უარყოფით კონტექსტში განიხილება და შეზღუდვები ექმნებათ სამკვიდრო ქონების წვდომაზე.¹⁶

გაეროს ქალთა ორგანიზაციამ და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ საქართველოში ქალთა მენარმეობის განვითარების პირობების შეფასებისას მაღალი ქულა (4 ან 5) არცერთ პირობას არ მიანიჭეს, რაც ამ პირობების მრავალი კუთხით გაუმჯობესების საჭიროებაზე მიუთითებს. შეფასების თანახმად, ქვეყანაში არსებობს ქალთა ეკონომიკური უფლებების სამართლებრივი დაცვა (3.25), თუმცა ნაკლებად ხდება მისი პრაქტიკაში განხორციელება. კვლავ შენარჩუნებულია არაფორმალური ბარიერები, განსაკუთრებით, კულტურულ ჭრილში. გენდერულ პოლიტიკას (3.50) აკლია ერთიანი მიდგომა და ხშირად გენდერული ასპექტები და მონაცემთა შეგროვების საჭიროება გათვალისწინებული არ არის. მაღალი საპროცენტო განაკვეთებისა და სესხის გამცემთა მიკერძოებულობის გამო გამოწვევას წარმოადგენს დაფინანსების ხელმისაწვდომობა (2.50). ნაკლებად ხდება ბიზნესის განვითარების პროგრამების გამოყენება (3.00) სხვადასხვა ბარიერის, მაგალითად, სარეგისტრაციო მოთხოვნების მიზეზით. არსებული მიზნობრივი პროგრამები საკმარისი არ არის ახალ ბაზრებზე გასასვლელად (2.50) და შეზღუდულია გაციფრულება. ასევე, კვლავ დაბალია ქალთა მონაწილეობა ბიზნეს ასოციაციებში (3.33).¹⁷

4.6 გენდერული სახელფასო სხვაობა

გენდერული სახელფასო სხვაობა, რაც კაცისა და ქალის საშუალო ხელფასებს შორის სხვაობის, კაცის საშუალო ხელფასთან თანაფარდობას წარმოადგენს, კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საქართველოში. 2022 წლის მონაცემებით, შეუსწორებელი ყოველთვიური გენდერული სახელფასო სხვაობა, სადაც არ არის გათვალისწინებული პირის დემოგრაფიული და სამუშაოსთან დაკავშირებული კონკრეტული მახასიათებლები, 31.7 პროცენტს შეადგენს.¹⁸ ეს შეფასებები „საწარმოთა გამოკვლევას“ ეფუძნება და გენდერული სახელფასო სხვაობის დაანგარიშების საუკეთესო სტანდარტს წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ მოპოვებული მონაცემები დისაგრეგაციის საშუალებას არ გვაძლევს. მეორე მხრივ, „სამუშაო ძალის გამოკვლევის“ თანახმად, ყოველთვიური შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობა, კაცების და ქალების დასაქმების სხვადასხვა სექტორსა და საქმიანობასთან ერთად, ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა განათლება, პროფესიული გზა და სხვა პერსონალური მახასიათებლები.¹⁹ ამ დაანგარიშებით, 2022 წელს შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობის მაჩვენებელი თვიურად 23 პროცენტი და საათობრივად 15.4 პროცენტი იყო.²⁰ წინა წელთან შედარებით, საათობრივი გენდერული სახელფასო სხვაობა შემცირებული იყო 0.4 პროცენტული ერთეულით, ხოლო თვიური გენდერული სახელფასო სხვაობა 1.6 პროცენტული ერთეულით გაიზარდა (დიაგრამა 4.5).

დიაგრამა 4.5: შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობა, 2020-2022 წლებში (პროცენტი)



წყარო: საქსტატი, 2022d.

4.7 აუნაზღაურებელი საშინაო და ზრუნვის შრომა


საქართველოში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების უმთავრესი ხელისშემშლელი ფაქტორია აუნაზღაურებელი საშინაო და ზრუნვის შრომის არათანაბარი გადანაწილება ქალებსა და კაცებს შორის. „საქართველოში დროის გამოყენების კვლევა“ (TUS) გვაჩვენებს, რომ ქალები ხუთჯერ მეტ დროს ხარჯავენ აუნაზღაურებელ საშინაო და ზრუნვის შრომაზე, ვიდრე კაცები (დიაგრამა 4.6).²¹




SDG ინდიკატორი 5.4.1: აუნაზღაურებელ საშინაო და ზრუნვის შრომაზე დახარჯული დროის თანაფარდობა სქესის, ასაკისა და დასახლების ტიპის მიხედვით.

დიაგრამა 4.6: აუნაზღაურებელ საშინაო და ზრუნვის შრომაზე დახარჯული დროის თანაფარდობა, სქესის მიხედვით (პროცენტი)

დიაგრამა 4.7: აუნაზღაურებელ საშინაო და ზრუნვის შრომაზე დახარჯული დროის თანაფარდობა, სქესისა და დასახლების ტიპის მიხედვით (პროცენტი)



დიაგრამა 4.8: აუნაზღაურებელ საშინაო და ზრუნვის შრომაზე დახარჯული დროის თანაფარდობა, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (პროცენტი)



წყარო: გაეროს ქალთა ორგანიზაცია და საქსტატი, 2022.

გენდერული თანაფარდობა ყველაზე დიდია ქალაქის ტიპის სხვა დასახლებებში და შეადგენს 5.1, ხოლო თბილისსა და სოფლად ეს მაჩვენებელი არის 4.6 და 4.5, შესაბამისად (დიაგრამა 4.7). ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფში და დასახლების ნებისმიერ ტიპში, ქალების მიერ აუნაზღაურებელ საშინაო და ზრუნვის შრომაზე დახარჯული დრო ბევრად აღემატება კაცების შესაბამის მაჩვენებელს. ამგვარი ვალდებულებების ყველაზე მაღალი წილი დაფიქსირდა 25-44 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში (დიაგრამა 4.8).²²

„დროის გამოყენების კვლევის“ სიღრმისეული ანალიზი უფრო მჭიდრო კავშირს გვაჩვენებს სქესს, ზრუნვის ვალდებულებებსა და დასაქმების შესაძლებლობებს შორის. კერძოდ, ანალიზის თანახმად, სხვა თანაბარ პირობებში, ქალები 33.3 პროცენტით ნაკლები ალბათობით არიან ჩართული სამუშაო ძალაში, ვიდრე კაცები. მეტიც, აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომით დაკავებული ქალები კიდევ უფრო ნაკლები ალბათობით მონაწილეობენ სამუშაო ძალაში – დაახლოებით 58.4 პროცენტით ნაკლებად, ვიდრე ის ქალები, ვინც არ არიან ამ საქმიანობით დაკავებული, ან კაცები. ოჯახში მცირეწლოვანი ბავშვის (10 წელზე ნაკლები ასაკის) ყოლა მნიშვნელოვნად ამცირებს ქალების მიერ ყოველკვირეულად სამუშაო ბაზარზე გატარებულ დროს (საშუალოდ 9.3 საათით) და ზრდის აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომაზე დახარჯულ დროს (საშუალოდ კვირაში 11.2 საათით).²³ ეს მოვლენა ემთხვევა „დედობის სასაჯელის“ კონცეფციას, ანუ იმ გამოწვევებს, რასაც დედები ჩვეულებრივ აწყდებიან შრომის ბაზარზე, მაგალითად – ნაკლები აუნაზღაურება და დისკრიმინაცია სამუშაოზე აყვანის ან სამსახურში დაწინაურებისას. „დროის გამოყენების კვლევის“ თანახმად (იხ. თავი 5 – განათლება), ბავშვზე ზრუნვის ხარისხიანი და ხელმისაწვდომი მომსახურებისა და სხვა სერვისების სიმცირე აძლიერებს პრობლემას, განსაკუთრებით – 2 წლამდე ასაკის ბავშვების მშობლებისთვის და უფრო მეტად ქალებისთვის, რომლებიც ბავშვის მთავარი მოვალეები არიან.

მონაცემები აუნაზღაურებად და აუნაზღაურებელ შრომაში ქალებისა და კაცების უთანასწორო მონაწილეობაზე ემთხვევა საქართველოში გავრცელებულ საზოგადოებრივ აზრს სქესთა როლების შესახებ, რომლის თანახმადაც, ოჯახსა და ბავშვზე ზრუნვაზე პასუხისმგებელ მთავარ პირებად ქალები ითვლებიან, ხოლო კაცები – ფინანსურ უზრუნველყოფებად. მაგალითად, 2020 წელს „გაეროს განვითარების ფონდის“ მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ქალების 56.3 პროცენტი და კაცების 74.8 პროცენტი თვლიდა, რომ ქალის ღირებულება უფრო ოჯახში მის როლშია და არა მის კარიერულ წარმატებაში. ამას გარდა, ქალების 38 პროცენტი და კაცების 59.5 პროცენტი ფიქრობდა, რომ ქალის მთავარი მოვალეობა მის ოჯახზე ზრუნვაა.²⁴

რეკომენდაციები:

- მიზნობრივი პოლიტიკებისა და ინიციატივების განხორციელება დასაქმებაში გენდერული განსხვავების აღმოსაფხვრელად. მათ შორის, შრომის ბაზარზე ქალებისთვის დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, პროფესიულ სწავლებასა და უნარების განვითარების პროგრამებზე წვდომის უზრუნველყოფა, კომპანიების ნახალისება დანერგონ თანამშრომლის აყვანის უფრო გენდერულად მგრძობიარე პრაქტიკა და ოჯახის ინტერესებზე მორგებული სამუშაო პოლიტიკა.
- თანაბარი შრომისთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის დამკვიდრების უზრუნველყოფა, ისევე, როგორც თანაბარი ანაზღაურების „გენდერული ზეგავლენის შეფასების“ დამკვიდრება, რომელიც შეესაბამება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1951 წლის (No. 100) „თანაბარი ანაზღაურების კონვენციას“ და გულისხმობს თანაბარი ღირებულების სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის აღიარებისა და დამკვიდრების და მასთან დაკავშირებული სექტორული და დაკავებული პოზიციის მიხედვით მინიმალური ხელფასის უზრუნველყოფას.
- ინვესტირება ტრანსპორტირების ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით – სოფლად, განათლებაზე, დასაქმების შესაძლებლობებსა და ძირითად სერვისებზე ქალების წვდომის ხელშესაწყობად.
- ქალებისთვის ფინანსური წიგნიერებისა და საფინანსო მომსახურებებზე მათი წვდომის ხელშეწყობა, განსაკუთრებით, მონყვლად ჯგუფებში. ფორმალურ საფინანსო სისტემებში, როგორცაა, მაგალითად, შემნახველი ანგარიშები, საკრედიტო და სამენარმეო დახმარება – ქალების მონაწილეობის ხელისშეწყობა, მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და გაძლიერებისთვის.
- აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომის აღიარება, შემცირება და გადანაწილება იმისათვის, რომ ამ სფეროში ჩართულ ქალებს მიეცეთ საშუალება, დააბალანსონ ზრუნვის ტვირთი მათ პროფესიულ მისწრაფებებთან და მოხდეს სამუშაო ძალაში მათი რეინტეგრაციის ან/და ჩართვის ხელშეწყობა.

5

ქალები და განათლება



ძირითადი დასკვნები:

- ▶ საქართველოში გამოწვევად რჩება ხარისხიანი სკოლამდელი განათლების მისაწვდომობა. ეს განსაკუთრებით გავლენას ახდენს გოგოებზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, სოფლად მცხოვრებ და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ბავშვებზე.
- ▶ 2021 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა ბავშვთა ქორწინების გამო სკოლის მიტოვების ოფიციალურად რეგისტრირებული მაჩვენებელი, თუმცა ამ შემთხვევების აბსოლუტური უმრავლესობა გოგოებზე მოდის. ეთნიკურად აზერბაიჯანელი გოგოების 39 პროცენტი ტოვებს სკოლას სავალდებულო საბაზისო საფეხურის დასრულების შემდეგ, რაც, სავარაუდოდ, ბავშვთა ქორწინებას ანდა შრომას უკავშირდება.
- ▶ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი და შშმ ბავშვები დამატებით ბარიერებს აწყდებიან ხარისხიანი განათლების მიღების პროცესში. მათ შორის, სპეციალური მასწავლებლების, მისაწვდომი საგანმანათლებლო რესურსების სიმცირის და ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის პრობლემების გამო.
- ▶ PIRLS-ის შეფასების თანახმად, კითხვის უნარების შეფასებისას, საქართველოში მეოთხეკლასელი მოსწავლეების ქულები ჩამოუვარდება საერთაშორისო საშუალო მაჩვენებელს. მხოლოდ 87 პროცენტს გააჩნია საბაზისო კომპეტენცია და გოგოებს უკეთესი მაჩვენებელი აქვთ ბიჭებთან შედარებით.
- ▶ ამჟამად არსებულ სახელმძღვანელოებსა და სასწავლო მასალებს სჭირდება გადახედვა და შეცვლა იმისთვის, რომ გახდეს გენდერულად მგრძობიარე, აღმოიფხვრას გენდერული სტერეოტიპები და მოხდეს თანასწორობის პრინციპების ინტეგრირება.
- ▶ საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში ადამიანის სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების სრულყოფილი ინტეგრირება კვლავ გამოწვევას წარმოადგენს. სასწავლო პროგრამებში არ შედის ისეთი კრიტიკული საკითხები, როგორცაა ემოციები, სხეულის ანატომია, სექსუალური იდენტობა, გენდერული ძალადობა, ჯანსაღი ურთიერთობები და სხვა. ამასთან, აღნიშნულ საკითხებს სრულყოფილად არც მასწავლებელთა გადამზადების პროგრამები მოიცავს.¹
- ▶ სკოლებში კვლავ გამოწვევად რჩება გენდერული ნიშნით ძალადობისა და ოჯახში ძალადობის, ასევე, ბავშვთა (სავარაუდოდ) ქორწინების შემთხვევების გამოვლენა და შესაბამისი რეაგირება. აღნიშნული უკავშირდება არსებულ სოციალურ ნორმებს და მასწავლებელთა მომზადების ნაკლებობას, გამოავლინონ მსგავსი შემთხვევები, ხოლო გამოვლენის შემთხვევაში მოახდინონ მათზე რეაგირება.

- ▶ ქალებისთვის პროფესიული განათლების გეოგრაფიული მისაწვდომობა შეზღუდულია, განსაკუთრებით, სოფლად. ამასთან, ბავშვზე ზრუნვის სერვისების არაეფექტიანობა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული გამოწვევები მნიშვნელოვან ბარიერებს უქმნის პროფესიული განათლების მიღების მსურველ ქალებს.
- ▶ დასაქმების, განათლების ან ტრენინგის მიღმა მყოფის სტატუსი უფრო გავრცელებულია ქალებში, 25-29 წლის ასაკის პირებსა და თბილისის მიღმა მაცხოვრებლებში.
- ▶ როგორც პროფესიულ, ასევე უმაღლეს სასწავლებლებში, აკადემიურ წრეებსა და მეცნიერებაში ქალთა მონაწილეობის შესახებ მონაცემები გვაჩვენებს სქესზე დაფუძნებულ ჰორიზონტულ სეგრეგაციას – ქალები უმეტესად მონაწილეობენ ისეთ კურსებსა და პროგრამებში, სადაც ტრადიციულად ქალები სჭარბობენ.
- ▶ მიუხედავად დაბალი რიცხოვნობისა, ICT-ს სფეროს ქალი სტუდენტები უკეთეს აკადემიურ მოსწრებას აჩვენებენ, ვიდრე კაცი სტუდენტები.
- ▶ დისპროპორციულად ნაკლები ქალია წარმოდგენილი სრული პროფესორებისა და PhD პროგრამების ხელმძღვანელების პოზიციებზე და გაცილებით მეტია მათი წარმომადგენლობა ასისტენტ პროფესორებისა და მკვლევრების პოზიციებზე.

5.1 ბავშვთა ადრეული განათლება და ზრუნვა


საქართველოში ბავშვთა ადრეული განათლების და ზრუნვის შესახებ მონაცემების მოგროვება ბოლოს 2018 წელს მოხდა საქსტატისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული „მრავალინდიკატორიანი კლასტერული კვლევის“ (MICS) მეშვეობით.

პირობა 4-2



SDG ინდიკატორი 4.2.1: MICS-ის თანახმად, ბავშვის ადრეული განვითარების ინდექსის ქულა 3-4 წლის ბავშვებისთვის არის 89.6 (88.5 გოგოებში და 90.8 ბიჭებში). მაშინ, როდესაც განვითარების ოთხი საზომიდან სამში ბავშვები კარგ შედეგს აჩვენებენ, წიგნიერება და რაოდენობრივი უნარები კვლავ გამოწვევაა. კერძოდ, წიგნიერებისა და რაოდენობრივი უნარების სტანდარტებს 3-4 წლის ასაკში აკმაყოფილებს გოგოების 26.0 და ბიჭების 24.8 პროცენტი მაშინ, როდესაც დანარჩენი საზომების მიხედვით (ფიზიკური, სოციალური და ემოციური, სწავლა) სტანდარტს აკმაყოფილებს ბავშვების 88.4 პროცენტიდან 99.6 პროცენტამდე (დიაგრამა 5.1).²

დიაგრამა 5.1: 3-4 წლის ასაკის ბავშვების პროცენტი, რომლებიც აღნიშნულ სფეროებში აკმაყოფილებენ განვითარების სტანდარტებს



წყარო: გაეროს ბავშვთა ფონდი და საქსტატი, 2018.

მონაცემები გვაჩვენებს, რომ მოსწრების დაბალი მაჩვენებელი აიხსნება ისეთი ფაქტორებით, როგორცაა მშობლების მონაწილეობა და სკოლამდელი განათლება. კვლავ სირთულედ რჩება მამის ჩართულობა ბავშვის აღზრდაში. ამასთან, მშობლების მონაწილეობაში არასათანადო დრო ეთმობა აქტიურ თამაშს. „დროის გამოყენების კვლევის“ მონაცემების თანახმად, საქართველოში დედები კვირაში საშუალოდ 20.4 საათს ხარჯავენ, რაც ხუთჯერ აღემატება ბავშვის მოვლაზე მამების მიერ დახარჯულ 3.9 საათს. მეტიც, დედებისთვის, ამ საათების ნახევარი (10.5 საათი) იხარჯება ბავშვზე ფიზიკურ და ემოციურ ზრუნვაზე, ხოლო მამების შემთხვევაში, დროის ნახევარზე ცოტა მეტი (2.2 საათი) იხარჯება შვილებთან თამაშზე, კითხვასა და მათთან საუბარზე.³




SDG 4.2 ინდიკატორთან დაკავშირებით: როდესაც საქმე ეხება საბავშვო ბაღში სიარულს, MICS-ის მონაცემები გვაჩვენებს, რომ 2018 წელს, საქართველოში მაცხოვრებელი ბავშვების 77.9 პროცენტი (გოგოების 79.3 პროცენტი და ბიჭების 76.5 პროცენტი) დადიოდა საბავშვო ბაღში. თუმცა, „ბავშვის კეთილდღეობის კვლევის“ თანახმად, 2021-2022 წლებში ეს მაჩვენებელი შემცირდა 72.4 პროცენტამდე, სავარაუდოდ კოვიდ 19-ის პანდემიის გამო, ვინაიდან, 2021 წელს შეზღუდვების მოხსნის შემდეგ, ბევრი მშობელი იკავებდა თავს ბავშვის საბავშვო ბაღში მიყვანისგან, პოტენციური ინფიცირების თავიდან ასაცილებლად.⁴

„ბავშვის კეთილდღეობის კვლევის“ მიხედვით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ჩართული 3-6 წლის ასაკის ბავშვების აბსოლუტური უმრავლესობა (გოგოების 98.5 პროცენტი და ბიჭების 92.7 პროცენტი) საჯარო საბავშვო ბაღში დადის, ბიჭები (7.3 პროცენტი) მეტი ალბათობით დადიან კერძო საბავშვო ბაღში, ვიდრე გოგოები (1.5 პროცენტი) (ცხრილი C.13).⁵ რაც შეეხება საბავშვო ბაღში განეული მომსახურებით მშობელთა კმაყოფილებას, რესპონდენტთა უმრავლესობა ამ მომსახურებით კმაყოფილია. თუმცა, რესპონდენტები, ვისაც ოჯახში ჰყავთ გოგო ბავშვი, ნაკლებად არიან კმაყოფილი (89.9 პროცენტი) ვიდრე ისინი, ვისაც ოჯახში ბიჭი ბავშვი ჰყავთ (95.1 პროცენტი).⁶

„ბავშვის კეთილდღეობის კვლევამ“ ასევე გამოავლინა სკოლამდელ განათლებაში მნიშვნელოვანი უთანასწორობა ქალაქსა და სოფელს შორის. სოფლად მცხოვრები ბავშვებისთვის შვიდზე მეტჯერ ნაკლებად არის ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლება, ვიდრე ქალაქში მცხოვრებელი მათი თანატოლებისთვის. სკოლამდელი განათლების ბარიერები გავლენას ახდენს ბავშვების 1.5 პროცენტზე ქალაქში და 12.4 პროცენტზე სოფლად, ხოლო განსხვავებები სქესის მიხედვით უფრო მცირეა – გოგოების 8.5 პროცენტი და ბიჭების 4.3 პროცენტი.⁷ უთანასწორობები არსებობს დასახლების ტიპების (ქალაქი/სოფელი) და შემოსავლის (სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის) მიხედვითაც. MICS-ის თანახმად, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მხარეებში სკოლამდელი განათლების დაწესებულებების სიმცირეა. საქართველოში სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში ბავშვის შეყვანის საშუალო მაჩვენებელი არის 65 პროცენტი. თუმცა, თვალშისაცემია განსხვავებები: ეთნიკური აზერბაიჯანელების ოჯახებში, 3-4 წლის ბავშვების მხოლოდ 29 პროცენტი დადის საბავშვო ბაღში, ხოლო ეთნიკურად სომხურ ოჯახებში ეს მაჩვენებელი არის 60 პროცენტი. (დიაგრამა 5.2).⁸

დიაგრამა 5.2: ადრეულ განათლების სისტემაში მონაწილეობა (პროცენტი)



წყარო: გაეროს ბავშვთა ფონდი და საქსტატი, 2018.

შენიშვნა: 2 წლის და ნაკლები ასაკის ბავშვთა ადრეული განათლებისა და ზრუნვის შესახებ მონაცემები შეზღუდულია და შესაბამისად, არ არის ასახული დიაგრამაზე.

ბავშვთა ადრეულ და სკოლამდელ განათლებას საქართველოში სხვა ბარიერებთან ერთად ხარისხის და ტერიტორიული მისაწვდომობის გამოწვევები აქვს, რაც ზღუდავს ბავშვთა განვითარების შესაძლებლობებს. საბავშვო ბაღების არსებული რაოდენობა არასაკმარისია მათზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად, დაწესებულებები გადატვირთულია, და თანამშრომელთა რაოდენობაც მცირეა.⁹ „ბავშვის კეთილდღეობის“ ბოლო – 2023 წლის კვლევის მონაცემების თანახმად, მშობელთა 44 პროცენტი, ვისი ბავშვიც არ დადიოდა საბავშვო ბაღში, ხელისშემშლელ მიზეზად მათი საცხოვრებლის სიახლოვეს ამგვარი დაწესებულების არარსებობას ასახელებდა.¹⁰

როგორც ზრუნვის სფეროში დასაქმების საშუალება, ადრეული საგანმანათლებლო პროფესია ნაკლებ მიმზიდველია დაბალი ანაზღაურებისა და პროფესიული ტრენინგების შესაძლებლობის სიმცირის გამო. საგანმანათლებლო სექტორში დასაქმებულთა ხელფასები ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ანაზღაურებაა 1990 წლის შემდეგ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანახმად, 2020 წელს საგანმანათლებლო სექტორში დასაქმებულთა საშუალო

თვიური ნომინალური ხელფასი საჯარო სექტორში იყო 709 ლარი, ხოლო კერძოში – 921.30 ლარი, რაც საქართველოში ყველა დასაქმებულის საშუალო თვიურ ნომინალურ ხელფასზე (1,119 ლარი) დაბალია. უფრო მეტიც, საჯარო სკოლამდელი განათლების სისტემაში მომუშავე აღმზრდელებისა და პედაგოგების და ზოგადი განათლების სისტემაში მომუშავე მასწავლებლების საბაზისო ნომინალური ხელფასი კიდევ უფრო ნაკლები იყო (2-3-ჯერ).¹¹ ამას გარდა, სკოლამდელი განათლების მუშაკთა მნიშვნელოვან ნაწილს არ აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, ვინაიდან არ მოუწვდება ხელი პროფესიული განვითარების განგრძობით შესაძლებლობებზე.¹²

განსაკუთრებულ სირთულეებს განიცდიან ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზე მცხოვრები და მომუშავე პირები. საბავშვო ბაღების მიუწვდომლობა და კვალიფიციური მასწავლებლების ნაკლებობა მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს.¹³ ასევე, ბარიერებს აწყდებიან შშმ ბავშვები, ვინაიდან არ არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ცოტაა ადრეული განათლების კვალიფიციური სპეციალისტების რაოდენობა.¹⁴

როგორც წინა თავში იყო განხილული, ქალები ხშირად მოიაზრებიან, როგორც მთავარი პირები ზრუნვის საქმეში. ამრიგად, ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებების არარსებობა აიძულებს ქალებს, იტვირთონ აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომა, რასაც მივყავართ ქალების გაუარესებულ სოციალურ-ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობამდე.

5.2 ზოგადი განათლება

საქართველოში, 2021-2022 აკადემიური წლის განმავლობაში, ზოგად საგანმანათლებლო სისტემაში ჩართვის მაჩვენებელი იყო 98 პროცენტი და ეს მაჩვენებელი ერთნაირი იყო როგორც ბიჭების, ასევე გოგოების შემთხვევაში. ხოლო, 1.6 პროცენტი სკოლაში სხვადასხვა ბარიერის გამო არ დადიოდა.¹⁵ თუმცა, ზოგადი განათლების სისტემის მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება სივრცითი უთანასწორობა და ქალაქად და სოფლად დაყოფა ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით.¹⁶ „დროის გამოყენების კვლევამ“ აჩვენა, რომ ქალაქში, ერთსა და იმავე ასაკობრივ ჯგუფში, ახალგაზრდა ქალები მეტ დროს უთმობენ სწავლას, ვიდრე მათი თანატოლი კაცები, ხოლო სოფლად მდგომარეობა საპირისპიროა (ცხრილი C.14).¹⁷

2018 MICS-ის მონაცემების თანახმად, განათლებაში უთანასწორობები განსაკუთრებით ჩანს ხარისხიან ზოგად განათლებაზე ეთნიკური უმცირესობების ხელმისაწვდომობაზე დაკვირვებისას. შემაშფოთებელია სასკოლო სისტემაში ეთნიკური უმცირესობების, განსაკუთრებით, ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი ბავშვების ნაკლები ჩართვა. საშუალო განათლების ზედა დონეზე განსხვავებები ქართველ და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებს შორის, კიდევ უფრო თვალშისაცემია. მაგალითად, აზერბაიჯანელი გოგოების 39 პროცენტი და ბიჭების 27.9 პროცენტი სკოლას სავალდებულო ცხრანობიანი საბაზისო დონის შემდეგ ტოვებს. სქესთა შორის სხვაობა 11.4 პროცენტული ერთეულია. სკოლის მიტოვება ხშირად უკავშირდება ბავშვთა შრომას ან ბავშვთა ქორწინებას, განსაკუთრებით, გოგოების შემთხვევაში.¹⁸



საქართველოსთვის სპეციფიკურ SDG 4.1.3 ინდიკატორთან დაკავშირებით: 2022-2023 სასწავლო წელს სკოლის მიტოვების მაჩვენებელი წინა ორ წელიწადთან შედარებით გაიზარდა. სკოლა დატოვა **6,409 გოგომ** და **8,502 ბიჭმა**.¹⁹ მატება განსაკუთრებით აშკარაა განათლების დაწყებით და საბაზო საფეხურებზე. საშუალო განათლების ყველა დონეზე სკოლის მიტოვების მაჩვენებელი ბიჭებში უფრო მაღალი იყო, ვიდრე გოგოებში. (დიაგრამა 5.3).

დიაგრამა 5.3: ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა, რომელთაც სწავლა მიატოვეს, სქესისა და განათლების დონის მიხედვით




წყარო: საქსტატი, n.d.-a.

სახალხო დამცველის აპარატის ანგარიშის თანახმად, 2022 წელს იმ მოსწავლეებს შორის, ვინც სწავლა მიატოვა, უცხოეთის 1,831 მოქალაქე იყო, რომლებიც დაბრუნდნენ თავის ქვეყნებში და 1,163 მოსწავლე, რომლებმაც პროფესიული განათლების გაგრძელება გადაწყვიტეს. ამას გარდა, წინა წელთან შედარებით, გაორმაგდა იმ ბავშვთა რაოდენობა (5,508-მდე), ვინც სკოლა ოჯახის საზღვარგარეთ საცხოვრებლად გადასვლის გამო დატოვა.²⁰

2021 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდა სკოლის მიტოვების შემთხვევები ბავშვთა ქორწინების გამო. 2022 წელს ამ შემთხვევების დაფიქსირებული რაოდენობა იყო შვიდი, რომელთაგან ყველა გოგო იყო (დიაგრამა 5.4).²¹

დიაგრამა 5.4: ბავშვთა რაოდენობა, ვინც სკოლა მიატოვა ბავშვის ქორწინების გამო, სქესის მიხედვით



წყარო: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

2022-2023 აკადემიურ წელს ზოგად საგანმანათლებლო სისტემაში ჩართული იყო სპეციალური საჭიროების მქონე 10,108 ბავშვი, რომელთა შორისაც ბიჭები (6,908) ბევრად აღემატებოდნენ გოგოებს (3,428).²² სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოვლენილ მთავარ ბარიერებში, რასაც შშმ ბავშვები აწყდებიან სასკოლო განათლების მისაწვდომობაში, შედის არამისაწვდომი ინფრასტრუქტურა, არაადეკვატური და მწირი საგანმანათლებლო მასალები, საგნების მასწავლებელთა არასაკმარისი კომპეტენცია ინკლუზიური სწავლების კუთხით და სპეციალური განათლების პროფესიონალოთა სიმცირე, მშობელთა და სკოლის თანამშრომელთა დაბალი ცნობიერება ინკლუზიურ განათლებაზე.²³ ასევე, ფრაგმენტულია ინკლუზიური განათლებისთვის გამოყოფილი დაფინანსება, რაც აფერხებს სკოლების გარდაქმნას ინკლუზიურ დაწესებულებებად. კიდევ ერთი მთავარი გამოწვევაა ინკლუზიური განათლების ცუდად განვითარებული მონიტორინგისა და შეფასების სისტემა. ყველა ეს პრობლემა თან ერთვის მასწავლებელთა ამბივალენტურ დამოკიდებულებას ინკლუზიურ სადმი.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ანგარიშში ასევე ხაზგასმულია ის ძირითადი გამოწვევები, რაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების წინაშე დგას ხარისხიანი განათლების მიღების კუთხით. მაგალითად, ბილინგვური განათლების არარსებობა, შესაბამისი საგანმანათლებლო მასალების ნაკლებობა, შედარებით დაბალი ხარისხის სახელმძღვანელოები, მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაცია და სკოლის ხელმძღვანელთა და მასწავლებლების პროფესიული განვითარების შესაძლებლობების სიმცირე.²⁴ დაწყებითი და საშუალო განათლების საფეხურებზე ხარისხიანი განათლების შეზღუდულ ხელმისაწვდომობას შედეგად მოაქვს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის დაბალი დონე და შეზღუდული წვდომა პროფესიულ და უმაღლეს განათლებაზე ისევე, როგორც შრომის ბაზარზე.


5.2.1 სწავლის შედეგები



SDG 4.1.1 ინდიკატორთან დაკავშირებით: კითხვის უნარის შეფასების შესახებ ბოლო PIRLS-ის (2021) მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოს მეოთხეკლასელ მოსწავლეებს საერთაშორისო საშუალო მაჩვენებელზე საგრძნობლად დაბალი შედეგები აქვთ. საქართველოში მოსწავლეთა მხოლოდ 87 პროცენტმა გამოავლინა კითხვაში მინიმალური კომპეტენციები (საერთაშორისო სტანდარტების ქვედა ზღვრის შესაბამისი მაჩვენებელი) მაშინ, როდესაც გლობალურად ეს მაჩვენებელი 94 პროცენტის ტოლია. გოგოები მუდმივად ბიჭებზე უკეთეს შედეგებს აჩვენებენ კითხვაში. 2021 წელს, მინიმალურ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა გოგოების 91.2 პროცენტი და ბიჭების 83.7 პროცენტი.²⁵

საერთაშორისო სტანდარტიზებული შეფასებების ყველაზე ბოლო მონაცემები მოგროვებულია 2018 წლის (PISA) და 2019 წლისთვის (TIMSS). PISA-ს შედეგების მიხედვით, საქართველოში 15 წლის ასაკის მოსწავლეებშიც აღინიშნება მნიშვნელოვანი ჩამორჩენა კითხვაში. 2018 წელს მხოლოდ 36 პროცენტი აკმაყოფილებდა მინიმალური კომპეტენციის მოთხოვნას მაშინ, როდესაც საერთაშორისო დონეზე ეს მაჩვენებელი 77 პროცენტს უდრიდა. 15 წლის მოზარდებს შორის, გოგოები სჯობნიან ბიჭებს კითხვაში, კერძოდ, მინიმალურ კომპეტენციის დონეს მიაღწია გოგოების 44 პროცენტმა და ბიჭების 28 პროცენტმა. მათემატიკაში, 15 წლის გოგოებისა და ბიჭების ქულები 2018 წელს თითქმის ერთნაირი იყო და მინიმალური კომპეტენციის დონეს მიაღწია 38-40 პროცენტმა.²⁶ კომპეტენციის კუთხით მსგავსი სურათი იყო 2019 წელს მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში (TIMSS) მეოთხე და მერვეკლასელთა შორის: გოგოები და ბიჭები ერთნაირ შედეგებს აჩვენებდნენ და განსხვავება მალა და დაბალ შეფასებებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ ყოფილა (დიაგრამა 5.5).²⁷ შეფასებებმა საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში, ასევე გამოავლინა მნიშვნელოვანი გეოგრაფიული და სოციალური უთანასწორობები. საჯარო სკოლაში მყოფი დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე მოსწავლეები სოფლის ტიპის დასახლებებიდან ბევრად ნაკლებ შედეგს აჩვენებდნენ, ვიდრე ქალაქში მცხოვრები მათი თანატოლები ან კერძო სკოლებში მყოფი უფრო მაღალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ბავშვები.²⁸

დიაგრამა 5.5: ბავშვების პროცენტი, ვინც მიაღწია სულ მცირე მინიმალური კომპეტენციის ზღვარს (i) კითხვაში, (ii) მათემატიკასა და (iii) საბუნებისმეტყველო საგნებში, სქესის მიხედვით



წყარო: Mullis et al., 2023; შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2018, 2019.

ზრდასრულ მოსახლეობაში წერა-კითხვის დონე საქართველოში მაღალია და ორივე სქესის შემთხვევაში 99 პროცენტს უდრის. ზრდასრული მოსახლეობის დიდ უმრავლესობას მიღებული აქვს სულ მცირე საბაზო ზოგადი განათლება, ხოლო განათლება საერთოდ არ მიუღია ზრდასრული ასაკის წარმომადგენელთა მხოლოდ 0.1 პროცენტს.²⁹

5.2.2 გენდერული ასპექტების ინტეგრირება ზოგადი განათლების სისტემაში და მასთან დაკავშირებული გამოწვევები

განათლების სისტემაში გენდერული საკითხის ინტეგრირების მიმართულებით მიღწეულია გარკვეული პროგრესი, მათ შორის, გოგოებისთვის განათლების თანასწორი ხელმისაწვდომობის უფლება. თუმცა, კვლავ არსებობს გამოწვევები სახელმძღვანელოებში, სადაც ხდება გენდერული ნორმებისა და სტერეოტიპების განმტკიცება. სკოლებში გამოყენებული სახელმძღვანელოების შინაარსი მიუთითებს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში არსებულ მნიშვნელოვან პრობლემურ საკითხებზე. 2022 წელს სახალხო დამცველმა სიღრმისეულად შეისწავლა სასკოლო პროგრამა სახელმძღვანელოების ადამიანის უფლებებთან თავსებადობის შეფასების მიზნით. ამ შესწავლამ აჩვენა, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის პირველი კლასის სახელმძღვანელოს ტექსტებში და ილუსტრაციებში ოჯახსა და ბავშვზე ზრუნვის ვალდებულებები ექსკლუზიურად ქალის მოვალეობად არის წარმოჩენილი.³⁰ სასწავლო პროგრამაში არ არის შეტანილი გენდერული თანასწორობის შესახებ საკითხები, რის გამოც, ნაკლებსავარაუდოა, რომ აღნიშნული საკითხები განხილული იყოს საგანმანათლებლო სახელმძღვანელოებში. არ ხდება სასკოლო მასალებში იმგვარი თემების შეტანის წახალისება, სადაც აღიარებულია ქალების წვლილი სხვადასხვა სფეროში, როგორცაა ისტორია, ლიტერატურა, მეცნიერება და ხელოვნება.³¹

გამოწვევად რჩება სკოლებში გენდერული ნიშნით ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევების აღმოჩენა. ამგვარი შემთხვევების გაცხადება ხშირად მასწავლებლებს არ სურთ არსებული სოციალური ნორმების, კონფიდენციალურობის საკითხის, ადეკვატური ტრენინგისა და შემთხვევების გამოვლენის უნარების არქონის გამო.³² გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და განვითარების სფეროში მომუშავე სხვა ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ცნობიერების ამაღლების აქტივობების შემდეგ, „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“ თანახმად, საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ძალადობის შემთხვევებზე განცხადებების რაოდენობა 2021 წელ განცხადებულ შემთხვევებთან (116) შედარებით 2022 წელს საგრძნობლად გაიზარდა (469).³³

ასაკთან შესაფერისი, ადამიანის სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების უზრუნველყოფა კვლავ პრობლემაა. აღნიშნულ საკითხებზე ეროვნული სასწავლო პროგრამა და მასწავლებლების გადამზადების საკითხი არ შეესაბამება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების მიმართულებით არსებულ ვითარებას. გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ ჩატარებულ მიმოხილვაში, რომლისთვისაც გამოყენებული იყო UNESCO-ს მეთოდოლოგია – „სექსუალური განათლების მიმოხილვისა და შეფასების ინსტრუმენტი“ (SERAT) – გამოჩნდა, რომ სკოლებში ბავშვები და ახალგაზრდები არ იღებენ მნიშვნელოვან ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორცაა მათი გრძნობები, მათი სხეული, სექსუალური იდენტობა, ძალადობა გენდერის ნიშნით, ჯანსაღი ურთიერთობები და ამ თემასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების ზოგიერთი თემა წარმოდგენილია ეროვნულ სასწავლო პროგრამაში, მიმოხილვამ აჩვენა, რომ ეს თემები არ არის ასახული მასწავლებელთა წინასწარ მომზადებისა და ამჟამად მომუშავე მასწავლებელთა სატრენინგო პროგრამებში.

ამას გარდა, სასწავლო პროგრამის განხორციელების შესაფასებლად არ არსებობს ქვეყნის მასშტაბით მონიტორინგისა და შეფასების სისტემა.³⁴

5.3 პროფესიული განათლება


პროფესიული სასწავლებლები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ადამიანების წარმატებული კარიერისთვის აუცილებელი უნარებითა და ცოდნით აღჭურვაში. თუმცა, პროფესიული განათლების პროგრამებში ქალების დაინტერესების და ჩართვის კუთხით მნიშვნელოვანი სირთულეებია. აუცილებელია იმის გააზრება, რომ პროფესიული განათლება მხოლოდ ახალგაზრდებისთვის არ არის და უნარების განვითარების მოსურნე ზრდასრულ პირებზეც ვრცელდება. სოფლად მცხოვრები უფროსი ასაკის ქალებისთვის პროფესიულ სასწავლებელში სიარული შეიძლება დიდი გამოწვევა იყოს ზრუნვის ტვირთის გამო. შესაბამისად, საჭიროა, რომ განათლებაზე დახარჯული დრო დაბალანსდეს ზრუნვის შრომის ვალდებულებებთან.³⁵



SDG ინდიკატორი 4.3.1: ფორმალურ და არაფორმალურ განათლებასა და ტრენინგებში ახალგაზრდებისა და უფროსი ასაკის პირების მონაწილეობა წლების განმავლობაში მუდმივად დაბალ დონეზეა და ქალების ჩართულობა მეტია კაცებისაზე. საქსტატის 2022 წლის „სამუშაო ძალის კვლევის“ თანახმად, გამოკითხვამდე ოთხი კვირით ადრე პერიოდში 25-64 წლის ასაკის მოსახლეობის მხოლოდ 1.6 პროცენტი (ქალების 1.8 პროცენტი და კაცების 1.3 პროცენტი) იყო ჩართული ფორმალურ ან არაფორმალურ განათლებასა თუ ტრენინგში.³⁶

რაც შეეხება პროფესიულ განათლებაში მონაწილეობას, ქალების მონაწილეობის მაჩვენებელი კაცების მონაწილეობის მაჩვენებლის მსგავსია. მაგრამ, 2021 წელთან შედარებით, 2022 წელს მცირე კლება დაფიქსირდა პროფესიულ განათლებასა და ტრენინგში (VET) ქალების ჩარიცხვებსა და გამოშვებაში (ჩარიცხვები: 49-დან 47 პროცენტამდე; გამოშვება: 50-დან 49 პროცენტამდე) (ცხრილი C.15).³⁷ სწავლის სფეროების მიხედვით კურსდამთავრებულთა მონაცემები ნათლად ასახავს პროფესიულ განათლებაში სქესზე დაფუძნებულ ჰორიზონტულ სეგრეგაციას. VET-ის უმეტეს საგანმანათლებლო პროგრამაში აშკარაა გენდერული სტერეოტიპები – ქალები ძირითადად ირიცხებიან კურსებზე, სადაც ტრადიციულად ქალთა დომინირება აღინიშნება. ისეთი სფეროებში, როგორცაა განათლება, ჯანდაცვა და სოციალური დაცვა, ხელოვნება და ჰუმანიტარული საგნები, ბიზნეს ადმინისტრირება, ქალები მეტად არიან წარმოდგენილი, ხოლო კაცები სჭარბობენ STEM-ის სფეროებში (დიაგრამა 5.6 და ცხრილი C.16).

დიაგრამა 5.6: ქალებისა და კაცების წილები პროფესიული განათლებისა და ტრენინგის კურსდამთავრებულთა შორის, სფეროს მიხედვით, 2022 წელს (პროცენტი)



წყარო: საქსტატი

შენიშვნა: იხ. ცხრილი C.16.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ 14-29 წლის ასაკის პირების თითქმის 31 პროცენტი არ არის ჩართული დასაქმებაში, განათლებას ან ტრენინგში (NEET). NEET-ის სტატუსი უფრო ხშირია ქალებში, 25-29 წლის პირებში და თბილისს მიღმა მაცხოვრებლებში.³⁸ რაც შეეხება ეკონომიკურ აქტიურობას, ახალგაზრდა ქალთა (NEET კატეგორიიდან) უმრავლესობა ხვდება ეკონომიკურად არააქტიურთა კატეგორიაში, არ არის ჩართული შრომის ბაზარში, ხოლო კაცების უმრავლესობა უმუშევართა კატეგორიაშია. სხვადასხვა ინდივიდუალურ და სოციალურ ცვლადებს შორის, NEET კატეგორიის ყველაზე მეტად განმსაზღვრელი ცვლადები ოჯახის შემადგენლობა (განსაკუთრებით, ოჯახში ბავშვის ყოლა) და ოჯახური მდგომარეობაა. NEET ჯგუფში ყოფნა კორელაციაშია პირის სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსთან. NEET ადამიანების 60 პროცენტზე მეტი დაბალშემოსავლიანი ოჯახებიდან არის. მეტიც, NEET-ად გახდომის ალბათობა მაღალია იმ ახალგაზრდებში, ვისი მშობლებიც უმუშევრები ან ემიგრირებული არიან.


5.4 უმაღლესი განათლება



დაკავშირებულია SDG ინდიკატორთან 4.3.1: წლების განმავლობაში, ქალებიც ისევე იღებდნენ უმაღლეს განათლებას, როგორც კაცები. 2021 წლიდან საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხული ქალების წილი მცირედ გაიზარდა და 51.7 პროცენტიდან 2022 წელს 52.1 პროცენტამდე ავიდა. ოდნავ შეიცვალა ასევე, ქალთა წილი სადოქტორო პროგრამების (PhD) კურსდამთავრებულთა შორის. (ცხრილი C.17).³⁹

პროფესიული განათლებისა და ტრენინგის მსგავსად, უმაღლეს განათლებაშიც შეიმჩნევა სფეროს მიხედვით ჰორიზონტული სეგრეგაციის შემაშფოთებელი ტენდენცია. განათლების ამ საფეხურზე ქალები კვლავ დისპროპორციულად არიან წარმოდგენილი ისეთ სფეროებში, როგორცაა განათლება, ხელოვნება და ჰუმანიტარული საგნები (დიაგრამა 5.7 და ცხრილი C.18). ამ ტენდენციაში ასახულია ქალების აკადემიურ არჩევანსა და კარიერულ მიმართულებებზე გავრცელებული გენდერული ნორმების გავლენა. მეტიც, ეს შეიძლება იყოს გენდერის ნიშნით ანაზღაურებაში სხვაობის გამომწვევი ფაქტორი, ვინაიდან STEM-სა და სხვა სექტორებში, სადაც კაცები დომინანტურად არიან წარმოდგენილი, ძირითადად უფრო მაღალი ანაზღაურების შესაძლებლობებია.

დიაგრამა 5.7: ქალებისა და კაცების განაწილება საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა შორის, სასწავლო სფეროს მიხედვით, 2022-2023 წლებში (პროცენტი)



წყარო: საქსტატი.


შენიშვნა: იხ. ცხრილი C.18.

5.5 ქალები ტექნოლოგიურ განათლებაში

2023 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციამ ჩაატარა კვლევა – „ქალები საქართველოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში,“ რომელმაც ამ სფეროში ქალების უკიდურესად დაბალი ჩართულობა გამოკვეთა. ტენდენციების საერთო სურათიდან გამომდინარე, ეს დისბალანსი ალბათ ვერ აღმოიფხვრება ახლო მომავალში, ვინაიდან საქართველოში ICT

სექტორში შრომის ბაზარზე უმთავრესად კაცები დომინირებენ. პროფესიული განათლებისა და ტრენინგის პროგრამებში ICT-ს სტუდენტების რაოდენობის ზრდის მიუხედავად, ამ პროგრამებში ჩარიცხულთა და უკვე არსებულ მოსწავლეთა შორის გენდერული ბალანსი დარღვეულია. 2021-2022 წლებში, პროფესიული განათლებისა და ტრენინგის ICT-ს პროგრამის სტუდენტთა შორის ქალი სტუდენტების წილი მხოლოდ 29 პროცენტს შეადგენდა. ყველაზე დიდი გენდერული სხვაობა ICT პროგრამების საბაკალავრო საფეხურზეა, სადაც 2021-2022 წლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა შორის მხოლოდ 14 პროცენტი იყო ქალი. რაც შეეხება ICT-ს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში გენდერულ თანაფარდობას, აქ, საბაკალავრო პროგრამებთან შედარებით, უფრო დადებითი ტენდენცია ჩანს (დიაგრამა 5.8 და ცხრილი C.19).

დიაგრამა 5.8: ICT-ს პროგრამების სტუდენტთა გენდერული თანაფარდობა, პროფესიული განათლების, საბაკალავრო, სამაგისტრო და PhD დონეებზე, 2021-2022 წლებში (პროცენტი)



წყარო: გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2023e.
შენიშვნა: იხ. ცხრილი C.19.

ICT სფეროში განათლების ტენდენცია იმეორებს სხვა ტექნიკურ სფეროებში, მაგალითად, ინჟინერიაში არსებულ ტენდენციებს, სადაც გენდერული სხვაობა უფრო გამოკვეთილია. საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტების გენდერული თანაფარდობის შედარებისას ICT სექტორის სტუდენტებთან ჩანს, რომ საინჟინრო სექტორი ყოველთვის ჩამორჩენილია. თუმცა, საგრძნობი მატებაა საინჟინრო საქმის ქალ სტუდენტებში. მათი წილი გაიზარდა 2020-2021 წლის 7 პროცენტიდან 12 პროცენტამდე 2021-2022 წელს.⁴⁰


როგორც ქალ ასევე კაც სტუდენტებს, განათლების სფეროდ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების არჩევისას ბარიერები აქვთ, რომელთა შორისაც არის გამოცდილ მასწავლებელთა ნაკლებობა, სწავლის გადასახადისთვის საჭირო საკმარისი თანხის არქონა და დამკვიდრებული მყარი სტერეოტიპები, რომ ICT უფრო კაცის პროფესიაა. ოჯახში არსებული შეხედულებები აფერხებს გოგოებს, აირჩიონ ICT სპეციალობები, ვინაიდან, საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპებით ეს საქმიანობა ძირითადად კაცის პროფესიად ითვლება. გაეროს ქალთა ორგანიზაციის 2023 წლის კვლევის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ქალი სტუდენტები არ ეთანხმებიან ამ შეხედულებას, აღნიშნულ სექტორში ქალი მისაბადი მაგალითების არარსებობა კიდევ უფრო მეტად უკარგავს მათ ICT პროგრამებში ჩართვის ხალისს. თუმცა, მათი მცირე რაოდენობის მიუხედავად, ICT სფეროს გოგო სტუდენტები უკეთეს აკადემიურ მოსწრებას აჩვენებენ, ვიდრე ბიჭი სტუდენტები. მაგრამ, გოგო სტუდენტები ასევე უფრო დაბალ თვითშეფასებას ავლენენ ICT სექტორის შრომის ბაზარზე, რაც შეიძლება, გავლენას ახდენდეს მათ კონკურენტუნარიანობაზე.⁴¹

საქართველოს მთავრობა აღიარებს, რომ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში ციფრული ინოვაციების წამყვან ძალას ადამიანური კაპიტალი წარმოადგენს და მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქალთა გაძლიერებაში. ამიტომ, მთავრობამ, „თანასწორობის თაობის ფორუმის“ ფარგლებში აიღო ვალდებულება, ხელი შეუწყოს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სფეროში გენდერული წარმომადგენლობის გაზრდას. შესაბამისმა სამთავრობო უწყებებმა, ურთიერთთანამშრომლობის გზით, ICT ეკოსისტემაში როგორც საჯარო, ასევე კერძო დაინტერესებულ პირებთან ერთად შეიმუშავეს ამ ვალდებულებების პრაქტიკაში განხორციელების ერთობლივი სამოქმედო გეგმა.

5.6 აკადემიური საქმიანობა და კვლევა


აკადემიურ საქმიანობასა და კვლევაში ქალები საქართველოში აქტიურ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ქალები ბოლო სამი წლის განმავლობაში შეადგენდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორთა და ინსტრუქტორთა 60 პროცენტს.⁴² თუმცა, პროფესორთა სხვადასხვა რანგის მიხედვით განაწილების საკითხის განხილვისას ჩანს, რომ ქალები დისპროპორციულად ნაკლებად არიან წარმოდგენილი სრულ პროფესორთა შორის და დისპროპორციულად მეტად – ასისტენტ-პროფესორებსა და ინსტრუქტორებს შორის. მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა სადოქტორო პროგრამების (PhD) ხელმძღვანელებშიც, სადაც, ბოლო 5 წლის განმავლობაში, მუდმივად მეტი კაცია წარმოდგენილი, ვიდრე ქალი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ამპლუაში ქალების რაოდენობა 2021-2022 და 2022-2023 სასწავლო წლებში ოდნავ გაიზარდა. მეორე მხრივ, ქალები დომინირებენ მკვლევართა რიგებში – 2022-2023 წლებში მკვლევართა 54 პროცენტი ქალი იყო. (დიაგრამა 5.9 და ცხრილი C.20).⁴³ მეტიც, შესამჩნევი გენდერული უთანასწორობაა სხვადასხვა სფეროს საგნებს შორის. ისეთ სფეროებში, როგორიცაა მედიცინა და ჯანდაცვასთან დაკავშირებული მეცნიერებები, ჰუმანიტარული საგნები და ხელოვნება, ქალები დისპროპორციულად მეტად არიან წარმოდგენილი. ამის საპირისპიროდ, ისინი დისპროპორციულად ნაკლებად არიან წარმოდგენილი საინჟინრო და ტექნოლოგიურ დისციპლინებში. ეს მიგნებები ხაზს უსვამს აკადემიურ წრეებში არსებულ გენდერულ დაყოფას, სხვადასხვა აკადემიურ დონეზე და როგორც სხვადასხვა დისციპლინას, ასევე დისციპლინათა შიგნით განსხვავებულ გენდერულ წარმომადგენლობას. (დიაგრამა 5.10 და ცხრილები C.21 და C.22).

დიაგრამა 5.9: ქალებისა და კაცების განაწილება აკადემიურ წრეებსა და კვლევაში, პოზიციების მიხედვით, 2022-2023 წლებში (პროცენტი)



წყარო: საქსტატი, 2022b.
შენიშვნა: იხ. ცხრილი C.20.

დიაგრამა 5.10: ქალი და კაცი მკვლევრების განაწილება, დისციპლინის სფეროს მიხედვით, 2022-2023 წლებში (პროცენტი)



წყარო: საქსტატი.

შენიშვნა: იხ. ცხრილი C.21.

რეკომენდაციები:

- უზრუნველყოფილი იქნას ბავშვთა ადრეული განათლების და ზრუნვის მომსახურებების მისაწვდომობა განსაკუთრებით, სოფლად, ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებისთვის და შშმ ბავშვებისთვის.
- გაფართოვდეს 2 წლამდე ასაკის ბავშვთა ზრუნვის მომსახურებებზე ხელმისაწვდომობა და ასევე, საზოგადოების ინფორმირება მსგავსი სერვისების შესახებ.
- საგანმანათლებლო სისტემაში ჩართული პირებისა და დაინტერესებული მხარეების ტრენინგისა და გადამზადების ყოვლისმომცველი პროგრამების ინიცირება სასწავლო პროგრამებში გენდერული მგრძობელობის ხელშეწყობისთვის. მათ შორის, გენდერული თანასწორობის გამჭოლი კომპეტენციების საშუალებით.
- განხორციელდეს სახელმძღვანელოების სრულფასოვანი გადახედვა და ცვლილება მათში წარმოდგენილი გენდერული ნორმების და სტერეოტიპების აღმოფხვრისათვის. ამ პროცესში პრიორიტეტი უნდა იყოს გენდერული მიკერძოებულობის გამამყარებელი და არათანასწორი როლების წამახალისებელი შინაარსის ამოღება. ამავე დროს, სასკოლო სახელმძღვანელოებში მიზანმიმართულად უნდა მოხდეს გენდერული თანასწორობის საკითხების ასახვა და ქალთა წარმოჩენა იმგვარად, რაც ხელს შეუწყობს თანასწორობის მიღწევას საზოგადოებაში.
- სკოლის პერსონალის, მათ შორის, სკოლის დირექტორების, მასწავლებლებისა და რესურს-პერსონალის გაძლიერება გენდერული ნიშნით ძალადობაზე რეაგირების გაუმჯობესებისთვის. ამ პირების შესაძლებლობების გაძლიერება აღნიშნულ შემთხვევებზე რეაგირებისთვის საჭირო კონკრეტული ცოდნით, როგორც მოსწავლეებისთვის უსაფრთხო და მეგობრული სასწავლო სივრცის შესაქმნელად, ასევე გენდერული ნიშნით ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევების შესახებ შეტყობინების წასახალისებლად.

- სკოლებში, ასაკის შესაფერისი, ადამიანის სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების გასაუმჯობესებლად კომპლექსური და ინკლუზიური მიდგომების დანერგვა. UNESCO-ს ტექნიკური სახელმძღვანელოს შესაბამისად, რეკომენდებულია განათლების ყველა საფეხურზე ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების ასაკისა და განვითარების შესაბამისი იმ საჭირო თემების შემოღება, რომლებიც ამჟამად არ შედის სასწავლო პროგრამაში. უმნიშვნელოვანესია სექსუალური განათლების თემების ასახვა მასწავლებელთა წინასწარი მომზადებისა და არსებულ მასწავლებელთა ტრენინგების პროგრამებში; სასწავლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების გაძლიერება.
- საგანმანათლებლო სისტემის პროაქტიული ქმედებების წახალისება ბავშვთა ქორწინების შემთხვევების პრევენციისა ან/და მათზე რეაგირებისთვის, შიდა სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებით, შესაბამის სპეციალისტებთან მიმართვის გზების შესახებ სასკოლო პერსონალის ცნობიერების ამაღლებით, საბაზისო ზოგადი განათლების საფეხურზე მოსწავლეთა დასწრების დონის ან/და სწავლის მიტოვების მიზეზების მონიტორინგის უზრუნველყოფითა და საგანმანათლებლო სისტემაში ჩართული დაინტერესებული მხარეებისთვის მრავალმხრივი საკომუნიკაციო კამპანიების წარმართვით.
- მოსწავლეების, განსაკუთრებით კი ქალებისა და პროფესიულ განათლებაში ჩართული პირების წინაშე მდგარი ტრანსპორტირების სირთულეების აღმოფხვრა და შესაბამის სამთავრობო უწყებებთან თანამშრომლობა მობილობის შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად, რაც სტუდენტებისთვის გაამარტივებს და უფრო ფინანსურად ხელმისაწვდომს გახდის სასწავლო დაწესებულებებში სიარულს.
- მოკლევადიანი პროფესიული კურსების შეთავაზება, განსაკუთრებით ქალებისთვის, ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთათვის. ამგვარი პროგრამებით მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობის წახალისება და ძალადობრივი გარემოს დატოვებისთვის შესაბამისი ფინანსური სტაბილურობის მიღწევის შესაძლებლობების გაჩენა.
- აუნაზღაურებელ ზრუნვის შრომასა და მშობლის მოვალეობებზე არსებული სტერეოტიპების და სოციალური ნორმების წინააღმდეგ ბრძოლა და, შვილებზე ზრუნვაში მამების ჩართვის მიზნით, ზრუნვის შრომის ქალებსა და კაცებზე თანაბრად გადანაწილების წახალისება.
- პროფესიების შესახებ არსებული სტერეოტიპული დაყოფის და სოციალური ნორმების წინააღმდეგ ბრძოლა და ქალების STEM სფეროში ჩართვის წახალისება განათლების ყველა საფეხურზე.
- კეთილგანწყობილი და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნა განათლების პროცესში ჩართული სხვადასხვა ჯგუფების, მათ შორის, შშმ პირების, ლგბტიქ+ თემის წარმომადგენლებისა და სხვა პირთა მისაზიდად. საგანმანათლებლო დაწესებულებები ხელს უნდა უწყობდნენ პატივისცემის, მრავალფეროვნებისა და თანაბარი შესაძლებლობების კულტურის შექმნას და სტუდენტთა პროფესიული მიზნების მიღწევის მხარდაჭერას.
- ყველა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გენდერული თანასწორობის გეგმების შემუშავების უზრუნველყოფა, რაც წახალისებს აღნიშნულ დაწესებულებებში ქალთა და კაცთა თანასწორობას სხვადასხვა მიმართულებით, როგორც დასაქმების ისე აკადემიური კარიერის პროცესში თანასწორობის ხელშეწყობისთვის.

6

ქალი და ჯანმრთელობა



ძირითადი დასკვნები:

- ▶ დაავადებითა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (NCDC) თანახმად, ანტენატალური ზრუნვის მომსახურებას მეტი ქალი იღებს. ბოლო ათწლეულის განმავლობაში გაიზარდა იმ ორსულ ქალთა წილი, ვინც მიდის ანტენატალური ზრუნვის მინიმუმ ოთხ ვიზიტზე და ამ მაჩვენებელმა 2021 წელს 86.7 პროცენტს მიაღწია. ამას გარდა, ანტენატალური ზრუნვის მინიმუმ ექვსი ვიზიტის დაფარვა გაიზარდა 2018 წლის 48.0 პროცენტიდან და 2021 წელს 71.8 პროცენტი შეადგინა. თუმცა, კვლავ საკმაოდ დაბალია ანტენატალური ზრუნვის რვა ან მეტი ვიზიტის დაფარვა. 2021 წელს ის 4.2 პროცენტი იყო.
- ▶ ქვეყანაში საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა დედათა სიკვდილიანობა. გაეროს სააგენტოთაშორისო შეფასებების თანახმად, საქართველოში დედათა სიკვდილიანობის თანაფარდობა (MMR) 2010 წელს იყო ყოველ 100,000 ცოცხლადშობილზე 40; 2017 წლისთვის ყოველ 100,000 ცოცხლადშობილზე 25-მდე შემცირდა.¹ თუმცა, დედათა სიკვდილიანობის მაღალი რისკის გამო საქართველო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის იმ რამდენიმე ქვეყანას შორისაა, სადაც ეს მაჩვენებელი საშუალო რეგიონულ მაჩვენებელზე მაღალია.²
- ▶ ქალებისთვის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის (სრჯ) მომსახურებები, ოჯახის დაგეგმვის მომსახურების ჩათვლით, არ არის სრულად ინტეგრირებული პირველადი ჯანდაცვის დონეზე. ასევე, ეს მომსახურებები არ არის ჩართული სახელმწიფოს დახმარების პაკეტებში ან კერძო დაზღვევის სქემებში. ამის გამო, თანამედროვე კონტრაცეფციის საშუალებებზე ხელი არ მიუწვდებათ მათ, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება.
- ▶ ხარისხიანი და ფინანსურად მისაწვდომი სრჯ მომსახურებების მიღების პროცესში სოფლად მცხოვრები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი და შშმ ქალები მნიშვნელოვანი ბარიერების წინაშე დგანან; მათ შორის, ოჯახის დაგეგმვის მომსახურების და კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდების შესახებ ინფორმაციის მისაწვდომობის მიმართულებით.
- ▶ მნიშვნელოვანი გამოწვევაა ახალგაზრდებისთვის ხარისხიანი ინფორმაციისა და ზოგადად, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურებების მიღება. სრჯ-ს ახალგაზრდებზე მორგებული მომსახურებების არარსებობა ზღუდავს ახალგაზრდა ადამიანების ხელმისაწვდომობას ზუსტ ინფორმაციასა და მომსახურებებზე და ამრიგად, ხელს უშლის მათ სრულად განავითარონ თავიანთი შესაძლებლობები.

- ▶ MICS-ის (2018) თანახმად, თანამედროვე კონტრაცეფციაზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა 32.6 პროცენტს შეადგენს 15-44 წლის ქალებს შორის, ვინც ამჟამად დაოჯახებულია ან ჰყავს პარტნიორი. აღმოსავლეთ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში იგივე მაჩვენებელი საქართველოს მაჩვენებელზე ორჯერ ნაკლებია.
- ▶ საქართველოს ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები არ ფარავს პოსტ-სამშობიარო ფსიქოლოგიური მომსახურების და დეპრესიის მართვის ხარჯებს.
- ▶ საქართველოს ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები არ ითვალისწინებს უფრო ფართო გენდერულ საკითხებსა და კონკრეტულ საჭიროებებს, რაც აქვთ სხვადასხვა ჯგუფებს, მათ შორის – ლგბტიქ+ თემის წარმომადგენლებს.
- ▶ შემცირებულია **რეგისტრირებული აბორტების** რაოდენობა. თუმცა, საქართველოში კვლავ გამოწვევად რჩება უსაფრთხო აბორტის გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის.
- ▶ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში აბორტების რაოდენობამ ზოგადად იკლო, მოსახლეობა აბორტს კვლავ ოჯახის დაგეგმვის მეთოდად თვლის. ამის მიზეზია ის, რომ ქვეყანაში არ არსებობს ოჯახის დაგეგმვის სახელმწიფოს მიერ მიწოდებული მომსახურებები და მასზე ინფორმაცია, განსაკუთრებით – სოფლად. ასევე, აბორტის პროცედურის დროს არ ხდება კონსულტაციების განწვევა კონტრაცეფციისა და ოჯახის დაგეგმვის შესახებ.
- ▶ მცირედ გაზრდილია **ძუძუს და საშვილოსნოს კიბოს სკრინინგის მოცვა**; თუმცა, მაინც დაბალია იმისთვის, რომ დადებითი ზეგავლენა მოახდინოს კიბოთი დაავადებისა და გარდაცვალების მაჩვენებლებზე. შემთხვევების თითქმის 40 პროცენტის დიაგნოსტიკება მოგვიანებით სტადიებზე ხდება.
- ▶ **ლგბტიქ+ პირები** სირთულეებს აწყდებიან კონკრეტული სამედიცინო მომსახურებების მიღებისას. არ არსებობს გენდერულად აფირმატიული ჩარევები და ტრანსგენდერი ადამიანებისთვის საჭირო კონკრეტული სამედიცინო გაიდლაინები ისევე, როგორც არ არის მათი საჭიროებების გათვალისწინებით შექმნილი სპეციალიზებული პროგრამები.
- ▶ კვლავ გამოწვევად რჩება ჯანდაცვის მუშაკთა აღქმები და დამოკიდებულებები გენდერული ნიშნით ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირებისა და შეტყობინების შესახებ. მათ ძირითადად არ სურთ ან/და არ ჰყოფნით კვალიფიკაცია, მართონ გენდერული ნიშნით ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის სავარაუდო შემთხვევები, შეავსონ შესაბამისი ფორმები და გადაამისამართონ შემთხვევები შესაბამის დაწესებულებებში.


6.1 სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები საქართველოში

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები გადამწყვეტი მნიშვნელობის საკითხებია გენდერული თანასწორობის მისაღწევად. ქვეყანაში ქალების ჯანმრთელობის მდგომარეობა რამდენიმე გამოწვევის წინაშე დგას, განსაკუთრებით, დედათა ჯანმრთელობის, ოჯახის დაგეგმვის, აბორტის უსაფრთხო მომსახურებების ხელმისაწვდომობის და ადამიანის სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების სფეროებში. ამ გამოწვევებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ქალების სომატურ და ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობაზე, ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე.



SDG ინდიკატორი 3.1.1: მაშინ, როდესაც 2017 წელს დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელში (MMR) მნიშვნელოვანი კლება იყო, ბოლო პერიოდის ტენდენციებში კვლავ მატება ფიქსირდება. 2021 წელს, დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელმა 71.8-ს მიაღწია, რაც პირველ რიგში კოვიდ 19-ით გამოწვეულ სიკვდილიანობას უკავშირდება. შემდეგ, 2022 წელს, MMR-ს დაფიქსირებული მაჩვენებელი იყო 35.4 (დიაგრამა 6.1),³ რაც აღემატება რეგიონულ (ევროპისა და ცენტრალური აზიის) საშუალო მაჩვენებელს.⁴

დიაგრამა 6.1: SDG ინდიკატორი 3.1.1. დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი (MMR) 100,000 ცოცხლადშობილზე, 2015–2022 წლებში



წყარო: დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი.

მონაცემები აჩვენებს, რომ დაბალშემოსავლიან ქვეყნებში მცხოვრებ ქალებში უფრო მაღალია დედათა სიკვდილიანობის რისკი. ცხოვრების მანძილზე დედათა სიკვდილიანობის რისკის მაჩვენებელი ზომავს თუ რა არის იმისი ალბათობა, რომ 15 წლის ქალი საბოლოოდ შესაძლოა დაიღუპოს დედობასთან დაკავშირებული მიზეზით. საქართველოში, ცხოვრების მანძილზე დედობის მიზეზით გარდაცვალების რისკი არის 1 ყოველ 1,900-ში.⁵

დედათა სიკვდილიანობა წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას საქართველოში. ცხოვრების მანძილზე დედათა სიკვდილიანობის მაღალი რისკის მიხედვით საქართველო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის იმ რამდენიმე ქვეყანას შორისაა, სადაც ეს მაჩვენებელი რეგიონულ საშუალო მაჩვენებელს აღემატება.⁶ უკეთესობისკენ ძვრების მიუხედავად, გამოწვევების ერთობლიობა აფერხებს იმ პროგრესს, რომელიც საქართველოში დედათა ჯანმრთელობის კუთხით შეიძლება იყოს მიღწეული. ქვეყანაში დედათა სიკვდილიანობის უმთავრესი მიზეზებია ანტენატალური, ნატალური და პოსტნატალური ზრუნვის დაბალი ხარისხი; სუსტი სატრანსპორტო სისტემა; რეგულირებისა და მონიტორინგის სუსტი სისტემა და რეფერირების მექანიზმები, რომლებიც ჯერ კიდევ არ ფუნქციონირებს ეფექტიანად, როდესაც საქმე დედათა ჯანმრთელობის სერვისებს შეეხება.

სისტემისთვის კვლავ სერიოზული გამოწვევებია მშობიარობის შემდგომი დეპრესიის მართვის არქონა და სამშობიარო ბლოკებში, სამშობიარო სახლებში და საკონსულტაციო ცენტრებში კვალიფიციური პროფესიონალების დეფიციტი, განსაკუთრებით – სოფლად. მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო ზრუნვის ხარისხის გაუმჯობესება თითოეული სამედიცინო დაწესებულების სალიცენზიო მოთხოვნების ნაწილია, ცალკეულ დაწესებულებებში რეგულარულ პრაქტიკას არ წარმოადგენს დედათა და პერინატალური/ნეონატალური კრიტიკული და პოტენციურად სახიფათო სიტუაციების მუდმივი აუდიტი, დედებისა და

ახალშობილების მომვლელი პერსონალის ჩართულობით. თუმცა, აშკარაა, რომ დედათა და პერინატალური პოტენციური სახიფათო შემთხვევების შეფასება და შეფასების შედეგების დაკავშირება ვითარების გაუმჯობესებისკენ მიმართულ ქმედებებთან, დაეხმარებოდა პერსონალს გაეძლიერებინა თავისი შესაძლებლობები და შეემცირებინა სიკვდილიანობა. განგრძობადი სამედიცინო განათლების არარსებობა კიდევ ერთი გამოწვევაა საქართველოში. ამას გარდა, აშკარა კორელაციაა დედათა სიკვდილიანობასა და ავადობას და დედების სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსს, განათლებასა და ასაკს შორის. გამოწვევების ეს ერთობლიობა აისახება ცხოვრების განმავლობაში დედათა სიკვდილიანობის მაღალ რისკში, რომელიც იყო 1 /1,900 (2017 წელს).⁷ ამ გამოწვევებზე რეაგირებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს დედათა კეთილდღეობისა და ახალშობილთა სიცოცხლის უფრო ჯანმრთელი დასაწყისის ხელშეწყობისთვის.



SDG ინდიკატორი 3.1.2: დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ოფიციალური მონაცემების თანახმად, საქართველოში გაუმჯობესებულია ორსულ ქალთა კონსულტაციაზე მისვლის მაჩვენებელი, რომელიც ამჟამად ანტენატალური ზრუნვის მინიმუმ ოთხ ვიზიტს შეადგენს.⁸ ამას გარდა, დროული ანტენატალური ზრუნვის მიღების დამწყებთა წილი პროგრესულად გაიზარდა 2018 წლის 80 პროცენტიდან 2022 წლის 89.3 პროცენტამდე (ცხრილი C.23).

პერინატალური სიკვდილიანობის შესამცირებლად და ორსულ ქალთა კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად საქართველოში ხორციელდება „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ვერტიკალური პროგრამა“, რომელშიც, ჯანმოს რეკომენდაციების შესაბამისად, რვა უფასო ანტენატალური კონსულტაცია შედის. 2018 წელს, ორსული ქალებისთვის რისკის შესაფერისი ზრუნვის უზრუნველსაყოფად, ჯანდაცვის სამინისტრომ „პერინატალური და ანტენატალური ზრუნვის“ რეგიონალიზაციის პროგრამა წამოიწყო. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ანგარიშის თანახმად, გაიზარდა ანტენატალური ზრუნვის დროული მიღების ინიცირება და მან, 2022 წელს, რეგისტრირებულ ორსულ ქალთა 89.3 პროცენტი შეადგინა. ბოლო ათწლეულში გაიზარდა იმ ქალთა წილი, ვინც იყო ანტენატალური ზრუნვის მინიმუმ ოთხ ვიზიტზე და 2021 წელს ამ მაჩვენებელმა 86.7 პროცენტს მიაღწია. ამას გარდა, ანტენატალური ზრუნვის მინიმუმ ექვსი ვიზიტის დაფარვა გაიზარდა 2018 წლის 48.0 პროცენტიდან 2021 წლის 71.8 პროცენტამდე. პოსტ-სამშობიარო ზრუნვა შეყვანილია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში; თუმცა, ის მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევებს ფარავს და მასში არ შედის პოსტ-სამშობიარო დეპრესიის მართვა.

აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების უმეტესობა ძირითადად ფოკუსირებულია დედებსა და ბავშვებზე ზრუნვაზე და უგულებელყოფილია უფრო ფართო გენდერული ასპექტები და კონკრეტული საჭიროებები განსხვავებული ჯგუფებისთვის, მათ შორის – ლგბტი+ თემისთვის. ამ გამორიცხვამ შეიძლება შედეგად მოიტანოს ჯანდაცვის არაადეკვატური მომსახურებებისა და მხარდაჭერის განევა იმ ქალებისთვის, რომლებიც არ ერგებიან ტრადიციულ გენდერულ როლებს, ან არიან მარგინალიზებული თემის წარმომადგენლები.

ქვეყანაში ასევე არ არის ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში არსებული სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სპეციალიზებული მომსახურება ახალგაზრდებისთვის, რაც ზღუდავს ახალგაზრდების ხელმისაწვდომობას სწორ ინფორმაციასა და მომსახურებებზე.

ოჯახის დაგეგმვა და კონტრაცეფცია კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევაა საქართველოში.⁹ თანამედროვე კონტრაცეფციაზე ცოდნის ამაღლების მიუხედავად, მათი რეალური გამოყენების მაჩვენებელი დაბალი რჩება. საქართველოში კვლავ სირთულეა ოჯახის დაგეგმვის მომსახურებების სრული ინტეგრაცია პირველადი ჯანდაცვის სექტორში. ამჟამად, სახელმწიფო დაფინანსება არ არის გამოყოფილი ოჯახის დაგეგმვის კონსულტაციებზე, ან სერვისის განვებაზე, ეს მომსახურებები ასევე არ შედის კერძო სადაზღვევო სქემებში. ამას გარდა, თანამედროვე კონტრაცეფციაზე ხელი არ მიუწვდებათ მათ, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება. ოჯახის დაგეგმვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა მას შემდეგ გაართულდა, რაც საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებმა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სექტორისთვის კონტრაცეფციის საშუალებების უფასო მოწოდების პროგრამა შეწყვიტეს, ხოლო მთავრობას მათი მიწოდება არ გაუგრძელებია.

2018 წლის MICS-ის მონაცემების მიხედვით, კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდებზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა 15-44 წლის ამჟამად დაოჯახებულ ან პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ ქალებში არის 32.6 პროცენტი.¹⁰ აღმოსავლეთ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, ოჯახის დაგეგმვის დაუკმაყოფილებელი საჭიროების მქონე პირთა წილი საქართველოში დაფიქსირებული მაჩვენებლის დაახლოებით ნახევარს შეადგენს.¹¹ ყურადსაღებია, რომ ბოლო რვა წლის განმავლობაში დაიკლო კონტრაცეპტულ საშუალებათა გამოყენებლების პროცენტმა. საქართველოში დაუკმაყოფილებელი საჭიროების ისეთივე დონეა, როგორც სუბსაჰარულ აფრიკაში და ის ბევრად მაღალია, ვიდრე სხვა განვითარებად რეგიონებში.¹²


MICS-ის შედეგების თანახმად, საქართველოში კონტრაცეფციის გამოყენების მთლიანი მაჩვენებელი ქორწინებაში მყოფ და პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ ქალებში 40.9 პროცენტი იყო, ხოლო ქალების 59.1 პროცენტი არ იყენებდა კონტრაცეფციის რომელიმე მეთოდს. აღნიშნული მაჩვენებელი ძალიან დაბალია ნებისმიერი კუთხით. MICS-ის მონაცემების მიხედვით, კონტრაცეფციის თითოეული მეთოდთან დაკავშირებით ღრმა უფსკრული არსებობს ადამიანების მიერ ამ მეთოდის შესახებ ცოდნასა და მეთოდის ეფექტიანობის შესახებ ცოდნას შორის. მეთოდის ეფექტიანობის პრობლემატური აღქმა მნიშვნელოვან როლს თამაშობს დაუგეგმავი ორსულობებისა და აბორტების რისკის მატებაში.¹³

MICS-ის მონაცემები გვაჩვენებს, რომ კონტრაცეპტული საშუალებების მოხმარება განსხვავდება დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით. მაგალითად, ქალაქში კონტრაცეპტული საშუალებების გამოყენების მაჩვენებელი უფრო მაღალია (37.7 პროცენტი), ვიდრე სოფლად (24.9 პროცენტი). ამ საშუალებების გამოყენებაზე ასევე გავლენას ახდენს სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი: ყველაზე ღარიბ მოსახლეობაში კონტრაცეფციის საშუალებების გამოყენების მაჩვენებელი არის 19.9 პროცენტი და ყველაზე მდიდარში – 41.4 პროცენტი. 2018 წლისთვის, თანამედროვე კონტრაცეფციის დაუკმაყოფილებელი საჭიროება მაღალ ნიშნულზე იყო და 32.6 პროცენტს შეადგენდა.¹⁴ შშმ ქალებში (58.3 პროცენტი) ოჯახის დაგეგმვის მომსახურებებზე ნაკლები მოთხოვნაა, ვიდრე არაშშმ ქალებში (64.6 პროცენტი). მეტიც, იმ ქალებს შორის, ვისაც სურს ოჯახის დაგეგმვა, შშმ ქალებს ნაკლები ალბათობა აქვთ, რომ მათი მოთხოვნა დაკმაყოფილდება რომელიმე ამ მეთოდით (31.3 პროცენტი) ან თანამედროვე მეთოდებით (26.4 პროცენტი), ვიდრე არაშშმ ქალებს (ნებისმიერი მეთოდით – 41.9 პროცენტი vs. თანამედროვე მეთოდებით - 33.4 პროცენტი).¹⁵

MICS-ის მონაცემების თანახმად, 15–49 წლის ქალების 79.2 პროცენტი რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმირებულ არჩევანს აკეთებს. ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალია იმ შინამეურნეობებში, სადაც ოჯახის უფროსი ეთნიკურად აზერბაიჯანელი ან ეთნიკურად სომეხია - 69.0 პროცენტი და 57.4 პროცენტი, შესაბამისად. ამას გარდა, 15–19 წლის ასაკის დაოჯახებული ან პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ ქალებს შორის, მხოლოდ 66 პროცენტი პასუხობს, რომ მათ შეუძლიათ ამგვარი გადაწყვეტილების მიღება დამოუკიდებლად ან პარტნიორთან ერთად.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის თანახმად, რეგისტრირებული აბორტების რაოდენობა, ისევე, როგორც ხელოვნური აბორტის ჯამობრივი კოეფიციენტი (TIAR) განუხრელად იკლებს (დიაგრამა 6.2).¹⁶

დიაგრამა 6.2: რეგისტრირებული აბორტების რაოდენობა და ხელოვნური აბორტის ჯამობრივი კოეფიციენტი, 2016–2022 წლებში



წყარო: საქსტატი.

წყარო: დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი.

როგორც MICS-ის მონაცემებიდან ჩანს, საქართველოში, 2018 წელს ხელოვნური აბორტის ჯამობრივი კოეფიციენტი (TIAR) იყო 0.9. 2010 წელს ჩატარებული რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის მიხედვით, 1999 წელს TIAR 3.7-ს უდრიდა, 2005 წელს ეს მაჩვენებელი იყო 3.1, ხოლო 2010 წელს – 1.6. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული მონაცემების თანახმად, რომელიც ასახულია დიაგრამაში 6.2, სურათი ცოტა განსხვავებულია, თუმცა ტენდენცია მაინც კლებადაა. ცხოვრების მანძილზე TIAR-ის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალია 30 წლის და მეტი ასაკის ქალებისთვის, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში ქალების უმრავლესობა ოჯახის მათთვის სასურველ ზომას 30 წლის ასაკამდე აღწევს, რის შემდეგაც, მეტია ალბათობა, რომ დაუგეგმავი ორსულობა აბორტით დასრულდეს. ბოლო ხუთ წელიწადში ქალების თითქმის 37 პროცენტს არ მიუღია ოჯახის დაგეგმვის შესახებ საკონსულტაციო მომსახურება აბორტის (ბოლო) გაკეთებასთან ახლო პერიოდში. მხოლოდ 46 პროცენტმა აღნიშნა, რომ მათი ბოლო აბორტის შემდეგ იყენებდა კონტრაცეფციის მეთოდს ან/და ექიმის დანიშნულებას მომავალი დაუგეგმავი ორსულობის თავიდან ასაცილებლად. მეტიც, „საქართველოში რეპროდუქციული ჯანმრთელობის“ კვლევებისა (1999, 2005, 2010) და 2018 წლის MICS-ის მონაცემების თანახმად, კონტრაცეფციის საშუალებების გამოყენების მაჩვენებლის 41 პროცენტიდან 53 პროცენტამდე ზრდასთან ერთად TIAR-ის მაჩვენებელი მკვეთრად დაეცა 1999 წლის 3.7 და 2010 წლის 1.6-მდე და ამავე დროს გაიზარდა შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი (TFR) 1.7-დან 2.0-მდე.

სამედიცინო პერსონალის მხრიდან აბორტის მომსახურებაზე დაურეგულირებელი კეთილ-სინდისიერი წინააღმდეგობა – ეფექტიანი რეფერალური სისტემის ან სამედიცინო დაწესებულებების მიერ პაციენტების სხვა კლინიკებში გადამისამართების მკაფიო ვალდებულების გარეშე – ხელს უშლის ქალების ხელმისაწვდომობას უსაფრთხო აბორტზე, განსაკუთრებით სოფლად, სადაც განსაკუთრებით ცოტაა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულება. ამრიგად, ამგვარი ბარიერები აბორტის გაკეთების მსურველ ქალებს დამატებით ფინანსურ და ფსიქოლოგიურ სირთულეებს უქმნის.

სახალხო დამცველის აპარატის ანგარიშში ხაზგასმულია სოფლად მცხოვრებ ქალთა დაბალი გათვითცნობიერება აბორტის მომსახურებების შესახებ. მეტიც, დროულ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა პრობლემური რჩება სექსუალური ძალადობის მსხვერპლი პირებისთვის, ვინაიდან, მთავრობის ამჟამინდელი მოთხოვნები აფერხებს ქალებს, დროულად გაიკეთონ აბორტი.¹⁷ მაშინ, როდესაც არსებული რეგულაციები მყარ საფუძველს იძლევა ქალის ღირსებისა და მისი გადაწყვეტილების პატივსაცემად, 2014 წელს შემოღებული სავალდებულო ხუთდღიანი მოსაცდელი პერიოდი, ისევე, როგორც კანონში გამოყენებული ენა, რომელიც ნაყოფს ანიჭებს უპირატესობას, წინააღმდეგობაშია ჯანმრთელობისა და ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო რეკომენდაციებთან.¹⁸

2022 წელს ორგანიზაცია „თანადგომის“ მიერ ჩატარებული შეფასების მიხედვით, არასაკმა-რისია მოსახლეობაში სექსუალური განათლების დონე. კვლევამ აჩვენა, რომ ქალები და ახალგაზრდა მოსახლეობა (19–35 წლის) კაცებსა და უფროსი ასაკის პირებზე უკეთ არიან ინფორმირებული ყოვლისმომცველ სექსუალურ განათლებაზე და უკეთ ესმით მისი მნიშვნელობა. მეტიც, კვლევის თანახმად, ამ საკითხის მიმართ დამოკიდებულებები უკიდურესად პოლარიზებულია და საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში მნიშვნელოვანი წინააღმდეგობებია ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების თაობაზე.¹⁹

ჯანდაცვის სისტემა გენდერული ნიშნით ძალადობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მულტისექტორული რეაგირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. კერძოდ, ჯანდაცვის სისტემა და ჯანდაცვის მუშაკები კრიტიკულ როლს ასრულებენ მსგავსი შემთხვევების გამოვლენის, შეფასების, რეაგირების, კრიზისული ინტერვენციების, დოკუმენტირების, რეფერირებისა და შემდგომი თვალყურის მიდევნების საქმეში. მიუხედავად მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ცვლილებებისა, რომლებიც გატარდა გენდერული ნიშნით ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე ჯანდაცვის სისტემის რეაგირების გასაძლიერებლად, პირველადი ჯანდაცვის მუშაკების აღქმები და დამოკიდებულებები მნიშვნელოვან ბარიერებს ქმნის ასეთი შემთხვევების სათანადოდ გამოვლენასა და დოკუმენტირებაში და ძალადობის მსხვერპლი პირების შესაბამის სამსახურებსა და სახელმწიფო დაწესებულებებში გადამისამართების პროცესში.

ლგბტიქ+ თემი კიდევ უფრო მეტ პრობლემას აწყდება ხარისხიანი ჯანდაცვის მიღებაში. ტრანსგენდერ ადამიანებზე მორგებული ჯანდაცვის კონკრეტული რეკომენდაციებისა და პროგრამების არარსებობა ამ პრობლემის უმთავრესი ასპექტია.²⁰ მეტიც, გენდერის სამართლებრივი აღიარების პრაქტიკის არარსებობას მივყავართ ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობასა და მათი კონსტიტუციური უფლებების განხორციელების შეზღუდვასთან. გენდერის სამართლებრივი აღიარების საკითხი საქართველოში საკანონმდებლო დონეზე არ არის დარეგულირებული და ზოგადი პროცედურები ბუნდოვანია.

საკმაოდ ძვირადღირებული სამედიცინო პროცედურების, მაგალითად ჰორმონული თერაპიის ან/და ოპერაციის ჩასატარებლად არსებული ეკონომიკური ბარიერები, რასაც თან ერთვის ჯანდაცვის სისტემაში არსებული დისკრიმინაციული მიდგომა, მნიშვნელოვანი გამოწვევებია საქართველოში ტრანსგენდერი ადამიანებისთვის. კონფიდენციალურობის დარღვევის შიში ან დისკრიმინაციული მოპყრობის მოლოდინი ითვლება მთავარ მიზეზად, რის გამოც ლგბტიქ+ თემის წარმომადგენლები უარს ამბობენ გარკვეული მომსახურებების მიღებაზე და რატომაც თვლიან ისინი თავს წნეხის ქვეშ, დამალონ თავიანთი იდენტობა ან ორიენტაცია.²¹

საქართველოში 127,765 შშმ პირი (მთელი მოსახლეობის 3.5 პროცენტი) დარეგისტრირებულია სოციალური მომსახურების სააგენტოში სახელმწიფო ფულადი შემწეობის პროგრამის ბენეფიციარად.²² კონკრეტულად, დარეგისტრირებულ პირთა 38 პროცენტი (48,577) არის შშმ ქალი, ხოლო 17 პროცენტი არის 18–49 წლის ასაკის ქალი.

სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის ანგარიშის თანახმად,²³ შშმ პირების უფლებების დაცვის სტანდარტების გასაუმჯობესებლად რამდენიმე დადებითი ცვლილება განხორციელდა რეკომენდაციებისა და გაიდლაინების შემუშავების მიმართულებით და გარკვეული პროგრამებიც შეიქმნა, მაგრამ სახელმწიფოში კვლავ არ არის სისტემური ხედვა, თუ როგორ გაუმჯობესდეს შშმ ქალებისა და შშმ გოგოების უფლებების დაცვა ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების დაცვის მიმართულებითაც.


მთავარი გამოწვევები მოიცავს შემდეგ საკითხებს: ჯანდაცვის სერვისებისა და ინფორმაციის მისაწვდომობა, სტიგმა და სამედიცინო პერსონალის დაბალი კვალიფიკაცია, გონივრული მისადაგების არარსებობა.²⁴ ფიზიკურ გარემოზე მისაწვდომობასთან ერთად, ასევე გართულებულია სამედიცინო მანიპულაციებზე მისაწვდომობა. ამ მხრივ განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს არაადაპტირებული გინეკოლოგიური სავარძლების არარსებობა. ზოგიერთი ექიმის დისკრიმინაციული და სტერეოტიპული დამოკიდებულება ასევე ქმნის რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მომსახურებების მიღების ბარიერებს.

სახალხო დამცველის აპარატის ანგარიშის თანახმად, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის, უფლებებისა და ინფორმაციის მისაწვდომობის კუთხით ყველაზე მონყვლადი ჯგუფებია ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მყოფი ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე ქალები და შშმ პირთა ზრუნვის დაწესებულებებში მცხოვრები ქალები.

6.2 ზოგადი ჯანმრთელობა

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, დაბადებისას, სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობის მაჩვენებელი მერყეობდა 71.4 წლიდან 74 წლამდე. სიცოცხლის ყველაზე დაბალი მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა – 71.4 წელი – დაფიქსირდა 2021 წელს, რაც შეიძლება, კოვიდ 19-ის პანდემიის ზეგავლენით აიხსნას. 2022 წელს, სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობა გაიზარდა 73.7 წლამდე და ქალებში სიცოცხლის ხანგრძლივობა უფრო მაღალია (78.1 წელი), ვიდრე კაცებში (69.4 წელი) (დიაგრამა 6.3).²⁵

ღიარება 6.3: სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობა, სქესის მიხედვით



წყარო: საქსტატი.



SDG ინდიკატორი 3.3.1: აივ ინფექციის გავრცელებამ ცოტა მოიმატა წინა ორ წელთან შედარებით. 2022 წელს აივ-ის გავრცელება იყო 0.17 ყოველ 1,000 არაინფიცირებულ პირზე, ხოლო 2020 და 2021 წლებში ეს მაჩვენებელი იყო 0.14. აივ-ის გავრცელება კვლავ უფრო მაღალია კაცებში (2022 წელს – 0.26), ვიდრე ქალებში (2022 წელს – 0.08) (დიაგრამა 6.4).

ღიარება 6.4: SDG ინდიკატორი 3.3.1. აივ-ის გავრცელება ყოველ 1,000 არაინფიცირებულ მოსახლეობაზე, სქესის მიხედვით (პროცენტი)




წყარო: დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი.

რაც შეეხება ვაქცინაციას, საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის მიზნით, 2017 წელს საქართველოს სამ რეგიონში (აჭარაში, თბილისსა და ქუთაისში) დაიწყო HPV (ადამიანის პაპილომა ვირუსის) აცრის საპილოტე პროექტი. სამიზნე ჯგუფი იყო 9 წლის და უფროსი ასაკის გოგონები. ამის შემდეგ, 2019 წლის სექტემბერში, 10-12 წლის გოგონების HPV ვაქცინაცია იმუნიზაციის ეროვნულ კალენდარში შევიდა. 2023 წელს 13-26 წლის ასაკის გოგონებსა და ქალებზე გავრცელდა ე.წ. გამოტოვებული აცრის უზრუნველყოფა (რეკომენდებულ ასაკში არმიღებული ვაქცინის გაკეთება). ეროვნული იმუნიზაციის კალენდარში ასევე შევიდა ვაქცინაცია 10-12 წლის ბიჭებისთვის. ვაქცინაცია ორი დოზით კეთდება და ის უფასოა პირველადი ჯანდაცვის კლინიკებში. HPV2 ვაქცინით აცრის მაჩვენებელი 2021 წელს 24 პროცენტი იყო.²⁶

სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის ანგარიშის თანახმად, კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევაა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების უფლებების დაცვა. პრობლემად რჩება ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგიის განხორციელება და არსებული მომსახურების ხარისხი.²⁷ ოფიციალური მონაცემების თანახმად, ფსიქიკურ აშლილობაზე გასინჯვა და ფსიქიკური აშლილობის დიაგნოზი კაცებში უფრო ხშირია, ვიდრე ქალებში. თუმცა, სიკვდილიანობის მაჩვენებელი ქალებში უფრო მაღალია (დიაგრამა 6.5), რაც იმაზე მითითებს, რომ შესაძლოა, ქალებში ნაკლებად ხდებოდეს ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე დროული მიმართვიანობა. აღნიშნული მდგომარეობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ საჭიროა ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ფსიქიკური ჯანმრთელობის ზრუნვის მომსახურება ყველასთვის (ცხრილი C.24).

დიაგრამა 6.5: ფსიქიკური აშლილობების რეგისტრირებული შემთხვევებისა და ფსიქიკური და ქცევითი აშლილობებით გამოწვეული სიკვდილიანობის რაოდენობები, სქესის მიხედვით



წყარო: საქსტატი, n.d.-a.
შენიშვნა: იხ. ცხრილი C.24.

როდესაც საქმე ეხება ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებს, სხვადასხვა დემოგრაფიულ ჯგუფს შორის, ყველაზე მონყვლადები ახალგაზრდები არიან. გაეროს ბავშვთა ფონდის ბოლოდროინდელმა კვლევამ²⁸ გამოავლინა, რომ უმაღლესი სასწავლებლების 18-24 წლის ასაკის ქალი სტუდენტები უფრო მეტად არიან მიდრეკილნი შფოთვისკენ და უფრო მეტად აქვთ დეპრესიის სიმპტომები, ვიდრე კაც სტუდენტებს. კვლევამ ასევე ხაზი გაუსვა, რომ სუიციდური აზრებიც ქალ სტუდენტებს უფრო ხშირად აქვთ, ვიდრე კაც სტუდენტებს. მთლიანობაში, 18-24 წლის ასაკის სტუდენტების 33 პროცენტს ცხოვრებაში ერთხელ მაინც უფიქრია თვითმკვლელობაზე. კვლევამ გამოავლინა, რომ ზოგადად, სტუდენტები იშვიათად განიხილავენ ვინმესთან თავიანთ გრძნობებს ან ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ გამოცდილებას. ქალებში მეტია ალბათობა, ვინმესთან ისაუბრონ, ვიდრე კაცებში. მეტიც, ტენდენციის თანახმად, ბიჭები უფრო ხშირად საუბრობენ სპეციალისტებთან და სამედიცინო პერსონალთან, ხოლო გოგოები უფრო მშობლებს და მეგობრებს ენდობიან. ამას გარდა, კვლევამ გამოავლინა, რომ ახალგაზრდებმა ნაკლებად იციან ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურებებისა და პროგრამების შესახებ. სტუდენტების უმრავლესობას არ აქვს რამე ინფორმაცია სახელმწიფო ან კერძო მომსახურებებისა და პროგრამების შესახებ და სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ იხსენებს რომელიმე კონკრეტული მომსახურების, პროგრამის ან კლინიკის სახელს.

ფსიქიკური ჯანმრთელობის კუთხით კიდევ ერთი ყველაზე მონყვლადი ჯგუფი არის ლგბტიქ+ თემი. სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის კვლევის მიხედვით, რესპონდენტების 43.1 პროცენტმა განაცხადა, რომ გამოუცდიათ სირთულე ფსიქიკური ჯანმრთელობის კუთხით, მაგალითად, დეპრესია, შფოთვა, პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობა (PTSD) და ნივთიერებებზე დამოკიდებულება ისეთი ფაქტორების გამო, როგორც არის სექსუალურ ორიენტაციასთან ან გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული სტიგმა, მათ მიმართ დისკრიმინაციული ქცევა და მათი მიუღებლობით გამონვეული სტრესი.²⁹ სხვადასხვა კვლევა მიუთითებს, რომ, სოციალური მონყვლადობის გამო, ლგბტიქ+ თემის წარმომადგენლები ფსიქიკური ჯანმრთელობის გამონვევების წინაშე დგანან. ამ პრობლემებზე რეაგირება მოითხოვს მეტს, ვიდრე უბრალოდ ინდივიდუალური ან სამედიცინო მიდგომაა, ვინაიდან მათი გამომწვევი ფაქტორებია არსებული სოციალური კონტექსტი, უთანასწორობა და სტიგმა, რაც ლგბტიქ+ პირებს გრძელვადიან დაძაბულობასა და სტრესს უტოვებს.³⁰

ჯანდაცვის სექტორის შიგნით ერთი მნიშვნელოვანი გამონვევა არის ის, რომ სახელმწიფო არასაკმარის ყურადღებას აქცევს ტრანსგენდერი ადამიანების საჭიროებებს. მათთვის სპეციფიკური ჯანდაცვის მომსახურების მიწოდება უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ ჯანდაცვის უფლებების უზრუნველსაყოფად, არამედ ასევე – ტრანსგენდერი ადამიანების პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემისთვის.³¹

რეკომენდაციები:

- მაღალი რისკის მქონე ორსული ქალების გამოვლენის და შესაბამის ზრუნვის დანერგვაში გადამისამართებისთვის რეკომენდაციების შემუშავება და განხორციელებაზე შემდგომი თვალყურის მიდევნება, მათ შორის, ზრუნვის სხვადასხვა დონეებს შორის ინფორმაციის მიმოცვლისა და უკუკავშირის მექანიზმების გაძლიერება.
- პოსტ-სამშობიარო სამედიცინო ზრუნვის, მათ შორის, დეპრესიის მართვის ინტეგრირება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამასა და პირველადი ჯანდაცვის მომსახურებებში. ყოვლისმომცველი ზრუნვის განევა ორსულობის პერიოდში და მის შემდეგ აუცილებელია დედათა და ახალშობილთა კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ქვეყანაში სიკვდილთან ახლოს მდგომი შემთხვევების რუტინული განხილვის წახალისება, რის საერთო მიზანიც უნდა იყოს დედათა სიკვდილიანობისა და ავადობის შემცირება.
- პირველადი ჯანდაცვის რგოლში ოჯახის დაგვემვის მომსახურებების ინტეგრირება და ოჯახის დაგვემვის მომსახურებებზე, მათ შორის, კონტრაცეფციის შესახებ ინფორმაციაზე წვდომის გაუმჯობესება, განსაკუთრებით სოფლად. ქალების გაძლიერება ცოდნითა და რესურსებით, საშუალებას მისცემს მათ, გააკეთონ ინფორმირებული არჩევანი თავიანთი რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ.
- სახელმწიფო სახსრების გამოყოფა ბენეფიციართა შერჩეული ჯგუფებისთვის, მათ შორის ახალგაზრდებისთვის, კონტრაცეფციის საშუალებების უფასოდ მისაწოდებლად.
- ოჯახის დაგვემვის მეთოდებზე მოსახლეობის ცოდნის ამაღლება და არსებული პრაქტიკების გაუმჯობესება. მათ შორის, აბორტის სერვისის შემდგომი სათანადო კონსულტაცია ოჯახის დაგვემვის საკითხებზე და მეთოდებზე. დედათა სიკვდილიანობის და ავადობის, ასევე, მეორადი უნაყოფობის შემცირება. აბორტის სერვისის მისაღებად სავალდებულო მოცდის პერიოდის გაუქმება და იმის უზრუნველყოფა, რომ ქალებისთვის განეული აბორტის შემდგომი ყველა კონსულტაცია იყოს ფაქტებზე დაფუძნებული და არა სტერეოტიპებზე.

- სამმაგი ტესტის მხარდაჭერა აივ ინფექციის, სიფილისის და ჰეპატიტ B ვირუსის დედიდან ნაყოფზე გადაცემის აღმოსაფხვრელად, შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავებითა და განხორციელებით. სწრაფი და ეფექტიანი ინტერვენციები ამ დაავადებებზე დადებითი პასუხის მქონე ქალების სამკურნალოდ და ინფექციის შვილებზე გადაცემის პრევენცია. ქალებისა და მათი პარტნიორებისთვის განუვლი კონსულტაციის ხარისხის გაუმჯობესება გადაცემის რისკის შემცირებისა და შესაბამისი მკურნალობის უზრუნველსაყოფად.
- გენდერის სამართლებრივი აღიარების მკაფიო და ხელმისაწვდომი პროცედურების შემოღება, რომლებიც არ მოითხოვს არასაჭირო სამედიცინო ჩარევებს. ლგბტიქ+ პირებისთვის საჭირო მედიკამენტებისა და ჰორმონალური მკურნალობის ინტეგრირება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში. ჯანდაცვის სპეციალიზებული პროგრამების შემუშავება ტრანსგენდერი პირების სპეციფიკურ საჭიროებებზე საპასუხოდ და ჯანდაცვის სისტემაში მომხდარ დისკრიმინაციულ შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირება.
- გენდერულად ინკლუზიური სამედიცინო პროგრამების განხორციელება, რომელიც მოიცავს ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის და ზრუნვის პრაქტიკებს სხვადასხვა ჯგუფის სპეციფიკური საჭიროებების უზრუნველსაყოფად. მათ შორის, ახალგაზრდების, შშმ პირების, სოფლად მცხოვრები ქალების და ლგბტიქ+ თემის წევრებისთვის. ამ პროგრამებმა ხელი უნდა შეუწყოს ხარისხიან ჯანდაცვას და მომსახურებებზე ყველა პირის თანაბარ მისაწვდომობას.
- ჯანდაცვის სისტემის რეაგირების გაძლიერება გენდერული ნიშნით ძალადობაზე და ქალთა მიმართ ძალადობაზე, სამედიცინო პერსონალის აღქმებისა და დამოკიდებულებების ფორმირებისთვის, მიზნობრივი ტრენინგების გამოყენებითა და მხარდამჭერი ზედამხედველობის განხორციელებით, იმისათვის, რომ პირველადი ჯანდაცვის მუშაკებმა შეძლონ მსგავსი შემთხვევების უკეთ გამოვლენა, დოკუმენტირება და შესაბამის სამსახურებში გადამისამართება.
- ეროვნული სასწავლო პროგრამისა და შესაბამისი საგნების სტანდარტების გადახედვა იმისათვის, რომ მოხდეს პროგრამაში ადამიანის სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების თემების გათვალისწინება, UNESCO-ს ტექნიკური რეკომენდაციების შესაბამისად და ახალგაზრდა გოგოების გაძლიერება მათი სხეულის, ჯანმრთელობისა და ურთიერთობების შესახებ ცოდნით.
- ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის პრიორიტეტის მინიჭება პოლიტიკის შექმნისა და რესურსების განაწილების დროს; ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგიის განხორციელების გაძლიერება გენდერული განსხვავებებისა და მსგავსი მომსახურების ყველასთვის მისაწვდომი და თანასწორი გარემოს შექმნისთვის.

7

ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობა და საზიანო პრაქტიკები



ძირითადი დასკვნები:

- გასული ათწლეულის მანძილზე საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის შესახებ კანონმდებლობისა და პოლიტიკის გასაუმჯობესებლად. თუმცა, კვლავ გამოწვევებად რჩება მართლმსაჯულების სისტემის ცნობიერების ამაღლება, ძალადობრივი ქცევის კორექციის პროგრამების განხორციელება და ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის მსხვერპლთათვის, მათ შორის, შშმ ქალებისა და ლგბტი+ პირებისთვის გრძელვადიანი მხარდაჭერის აღმოჩენა.
- საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობაზე ქვეყნის მასშტაბით არსებული მონაცემები გვაჩვენებს, რომ 15-69 წლის ასაკის ყოველ მეორე ქალს სიცოცხლის მანძილზე გამოუცდია ძალადობა, ხოლო 18.2 პროცენტის განცხადებით, მათ ძალადობა ბოლო 12 თვის განმავლობაში გამოცადეს.
- სექსუალური შევიწროება ძალიან გავრცელებულია საქართველოში. თითქმის ყოველ მეოთხე ქალს (24.5 პროცენტს) სიცოცხლის რაღაც მომენტში გამოუცდია სექსუალური შევიწროება და საჯარო სამსახურში დასაქმებული ყოველი ხუთი ქალიდან ორი (41 პროცენტი) აღნიშნავდა სექსუალური შევიწროების შემთხვევებს სამუშაო ადგილზე.
- მაღალია საქართველოში ბავშვთა ქორწინების გავრცელება და ქორწინებისკენ პირველ ნაბიჯს წარმოადგენს „ნიშნობა,“ განსაკუთრებით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში. არსებობს ხარვეზები სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ მულტისექტორულ და კოორდინირებულ მიდგომებში, ბავშვთა ქორწინების ეფექტიანი პრევენციისა და ამგვარ შემთხვევებზე სწრაფი რეაგირებისთვის.
- ვაჟისთვის უპირატესობის მინიჭების საზიანო პრაქტიკას საქართველოში კვლავ ღრმად აქვს გადგმული საზოგადოებაში ფესვები. მისი გავრცელება უფრო მაღალია გარკვეულ გეოგრაფიულ არეალებში, სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფებსა და სოფლის ტიპის დასახლებებში, რაც აძლიერებს სქესთა შორის უთანასწორობას და მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის ქალებსა და გოგოებს.

7.1 კანონმდებლობა, პოლიტიკა და რეაგირების მექანიზმები ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და რეაგირებისთვის

საქართველოს ძალისხმევაში, დაპირისპირებოდა ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობას, ფუნდამენტური ნაბიჯი იყო ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კანონის შემოღება 2006 წელს.¹ მას შემდეგ ქვეყანამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ამგვარ შემთხვევებზე რეაგირებისთვის საკანონმდებლო მექანიზმების დახვეწისა და სოციალური დაცვის მექანიზმების ამუშავების მიმართულებით.

განსაკუთრებული პროგრესი 2017 წელს გამოჩნდა, როდესაც საქართველოს მთავრობამ ევროპის საბჭოს უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო დოკუმენტის – ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენციის) რატიფიცირება მოახდინა.² 2018 წელს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში და სასჯელის დამამძიმებელ გარემოებებს დაემატა გენდერის ნიშნით მკვლელობის, ოჯახის წევრის მკვლელობის და გენდერის ნიშნით თვითმკვლელობამდე მიყვანის ნაწილები, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყანაში ფემიციდის ხშირი შემთხვევების წინააღმდეგ საბრძოლველად.

2019 წელს სექსუალურ შევიწროებაზე კანონპროექტის მიღებით, საქართველომ გააგრძელა ძალისხმევა გენდერის ნიშნით ძალადობის აღსაკვეთად. ამ საკანონმდებლო რეფორმის შედეგად, შესაბამისი ცვლილებები შევიდა შრომის კოდექსსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნისა და სექსუალურ შევიწროებაში მხილებული პირების პასუხისმგებლობის საკითხი. მნიშვნელოვანია, რომ 2022 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა“, რომელიც მოიცავს პრევენციის, მსხვერპლის დაცვისა და მხარდაჭერის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს. 2022 წლის ნოემბერში შემოღებული იქნა რეგულაცია ქალთა ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის კომპენსაციის გაცემის შესახებ.³ შედეგად, ძალადობის მსხვერპლს უფლება აქვს მიიღოს სახელმწიფოსგან კომპენსაცია, მაქსიმუმ 10 000 ლარის ოდენობით, იმ შემთხვევაში, თუ მოძალადისგან ზიანის ანაზღაურება შეუძლებელია. მეტიც, 2022 წლის დეკემბერში მიღებულ იქნა საკანონმდებლო ცვლილებები ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის სერვისებზე ძალადობის მსხვერპლი პირებისთვის მისაწვდომობის გაზრდის მიზნით. ცვლილებების თანახმად, გაუქმებული სახელმწიფო თავშესაფრებში მოსახვედრად მსხვერპლის სტატუსის მინიჭების პროცედურა, რაც თავშესაფრის მაძიებელ ნებისმიერ ქალს კრიზისულ ცენტრში მისვლის საშუალებას აძლევს, სადაც სპეციალისტთა ჯგუფი მყისიერად დაადგენს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში საჭირო კონკრეტულ მომსახურებებს.

ასევე, 2022 წელს, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, საქართველოში პირველად გაიხსნა ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ფსიქოლოგიური და სოციალური მომსახურებების ცენტრი (Barnahus მოდელის საფუძველზე). მისი მიზანია სექსუალური ძალადობის ან შევიწროების მსხვერპლი ბავშვებისთვის სპეციალიზებული ზრუნვის მომსახურების გაწევა და მათ განსაკუთრებულ საჭიროებებზე რეაგირება. საგამოძიებო მოქმედებებისა და სარეაბილიტაციო მომსახურებების ერთიან სივრცეში ინტეგრირებით, ცენტრი იცავს ბავშვებს შესაძლო ხელახალი ტრავმირებისგან.

ამ დადებითი ცვლილებების მიუხედავად, საქართველოს კანონმდებლობა ჯერ კიდევ სრულად არ არის შესაბამისობაში სტამბოლის კონვენციასთან, განსაკუთრებით გაუპატიურების დეფინიციის კუთხით, რომელშიც ამჟამად არ შედის თანხმობის კომპონენტი. ამასთან, მსხვერპლთა დისტანციურად გამოკითხვასთან დაკავშირებული საკითხები და ბრალდებულის სასამართლოს დარბაზიდან დროებით გაყვანის შესახებ სათანადო დებულებების არარსებობა მნიშვნელოვან ბარიერებს ქმნის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულებაზე ხელ-მისაწვდომობისა და დაცვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ასევე გამოწვევაა მსხვერპლის ინტერვიუს ვიდეო ჩანაწერის მტკიცებულებად დაშვება. მაგალითად, Barnahus-ში სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან გასაუბრების დროს კეთდება საუბრის ვიდეოჩანაწერი სისხლის სამართლის საქმეში მის მტკიცებულებად გამოყენების მიზნით, რათა თავიდან იქნას აცილებული ბავშვისთვის ტრავმის მიმყენებელი განმეორებითი ინტერვიუ. თუმცა, მოსამართლეები თავს იკავებენ მტკიცებულებად ვიდეო ჩანაწერის დაშვებისაგან. ამისთვის, საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.

ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებას საქართველოში ახდენს გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომერი – 112 და მასთან დაკავშირებული მობილური აპლიკაცია SOS ფუნქციით; ამასთანავე, არსებობს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე სპეციალიზებული საკონსულტაციო ცხელი ხაზი „116 006“, რომელიც რამდენიმე ენაზე, 24/7 ფუნქციონირებს; და ბავშვის დახმარების ხაზი „111“, რომელიც გაძლიერდა იმისათვის, რომ მოხდეს ბავშვების ზარების მიღება ძალადობისა და ბავშვის უფლებების სხვა დარღვევების შემთხვევაში. 112-ის მობილურ აპლიკაციაში ასევე შედის ინფორმაცია ბავშვთა ქორწინებაზე და, საფრთხის შემთხვევაში, ბავშვებს აძლევს SOS ფუნქციის გამოყენების საშუალებას. გარდა ამისა, ქვეყანაში წარმატებით შეიქმნა სახელმწიფო თავშესაფრები და კრიზისული ცენტრები, რომლებიც ძალადობა გამოვლილ პირებს სთავაზობენ 24 საათიან განთავსებას, ისევე, როგორც იურიდიულ, ფსიქოლოგიურ და სამედიცინო დახმარებას. ამჟამად საქართველოში სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი სულ 5 თავშესაფარი და შვიდი კრიზისული ცენტრი მოქმედებს.⁴ მიუხედავად იმისა, რომ თავშესაფრები მისდევენ კონკრეტულ რეკომენდაციებს და ინარჩუნებენ კარგად მომზადებულ თანამშრომლებს, ეს დაწესებულებები ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს სტამბოლის კონვენციაში განვირეილ სტანდარტს, რომლის მიხედვითაც რეკომენდებულია, რომ ყოველ 10,000 მოსახლეზე თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში იყოს ერთი ადგილი.⁵

2018 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა „ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის“ შექმნით, რომელიც ფოკუსირებულია ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის შემთხვევების მონიტორინგსა და გამოძიების პროცესში შესაბამისი რეკომენდაციების გაცემაზე. სხვა დადებით ზომებთან ერთად იყო რისკების შეფასების მეთოდოლოგიის შექმნა, შემაკავებელი ორდერების გაცემაზე პროცედურების გადახედვა და ელექტრონული ზედამხედველობის მექანიზმების შემოღება. 2018 წლიდან ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე სპეციალური პროკურორები დაინიშნენ. იმისათვის, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლ პირებს გაეზარდოთ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა, 2021 წლიდან მოხდა სპეციალიზებული პროკურორების დანიშვნა სექსუალური ძალადობის შემთხვევებზეც, რაც მნიშვნელოვანი მიღწევა იყო. თუმცა, მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორების ეფექტიანობას აფერხებს გარკვეული გამოწვევები, მათ შორისაა დატვირთული სამუშაო გრაფიკი და ოჯახში ძალადობის შემთხვევების გეოგრაფიული გაფანტულობა.⁶ ამავე დროს, საქართველოს კანონს „იურიდიული დახმარების შესახებ“ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი პირებისთვის უფასო იურიდიული დახმარების გასაწევად,

რაც უზრუნველყოფს მათთვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას იურიდიული კონსულტაციების, დოკუმენტების მოგროვებაში ხელშეწყობისა და სასამართლოში წარმომადგენლობის განხორციელების გზით. თუმცა, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ამჟამად, ეს ნორმა მხოლოდ ოჯახში ძალადობის მსხვერპლ პირებს ეხება და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლები მისით ვერ სარგებლობენ.⁷

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა იყო გაეროს ბავშვთა ფონდისა და ესტონეთის მთავრობის მხარდაჭერით თბილისში Barnahus-ის მოდელზე დაყრდნობით „ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიური და სოციალური მომსახურებების ცენტრის“ შექმნა. Barnahus სთავაზობს მულტიდისციპლინურ მიდგომასა და მომსახურებებს სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების კონკრეტულ საჭიროებებზე რეაგირებისთვის, მათი ხელახლა ტრავმირების თავიდან ასაცილებლად.

მეტიც, სტამბოლის კონვენციის მოთხოვნების გასათვალისწინებლად, იუსტიციის სამინისტრომ დაიწყო მოძალადეთა ქცევის კორექციის სპეციალური პროგრამის განხორციელება, რომელიც პრობაციის სისტემაში 2015 წლიდან და სასჯელაღსრულების ორ დაწესებულებაში 2019 წლიდან ტარდება. თუმცა, ამ პროგრამის ფარგლებში მოძალადეებისათვის არსებული ადგილების რაოდენობა კვლავ უკიდურესად ცოტაა. საქართველოში არ არის ძალადობრივი ქცევის კორექციის საკმარისი პროგრამა ქალთა მიმართ ძალადობასა და ოჯახში ძალადობაში მხილებული პირებისთვის.⁸

7.2 საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელების მაჩვენებლები

ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული მასშტაბის მეორე კვლევა, რომელიც 2022 წელს ჩაატარეს „საქსტატმა“ და გაეროს ქალთა ორგანიზაციამ, მიუთითებს, რომ ქალების და გოგოების მიმართ ძალადობის გავრცელების მასშტაბები საქართველოში კვლავ კრიტიკული პრობლემაა. მონაცემები აჩვენებს, რომ 15-დან 69 წლამდე ასაკის ყოველ მეორე ქალს (50.1 პროცენტი) გამოუცდია ძალადობა სიცოცხლის მანძილზე (ხოლო 18.2 პროცენტი აღნიშნავს, რომ ძალადობა გამოცადა ბოლო 12 თვეში). დამატებით, ქალების 8.5 პროცენტს გამოუცდია სექსუალური ძალადობა ბავშვობაში და 19.7 პროცენტს გამოუცდია ფიზიკური ან/და ემოციური ძალადობა 18 წლამდე ასაკში (ცხრილი C.25).⁹

კომპანა 16-1



SDG ინდიკატორი 16.1.3: საქართველოში, ბოლო 12 თვეში, ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი 15-დან 69 წლამდე ასაკის ქალების 18.2 პროცენტზე განხორციელდა ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ძალადობა.

კომპანა 16-2



SDG ინდიკატორი 16.2.3: საქართველოში, 18 წლამდე ასაკის მიღწევამდე, 18-29 წლის ახალგაზრდა ქალების 15.7 პროცენტს გამოუცდია სექსუალური ძალადობა.


კვლევამ აჩვენა, რომ იმ ქალთა შორის, რომელთაც ოდესმე ჰყოლიათ პარტნიორი, 26.5 პროცენტს ოდესმე გამოუცდია ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა (IPV) კაცი პარტნიორისგან (ანუ, IPV ძალადობის ოთხი სხვადასხვა ფორმიდან ერთი ან მეტი: ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ან/და ეკონომიკური ძალადობა). უფრო კონკრეტულად, იმ ქალებს შორის, ვისაც ოდესმე ჰყოლია პარტნიორი, 7.7 პროცენტს ინტიმური პარტნიორის მხრიდან ოდესმე გამოუცდია ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა და 24.6 პროცენტს ინტიმური პარტნიორის მხრიდან ოდესმე გამოუცდია ფიზიკური, სექსუალური ან/და ფსიქოლოგიური ძალადობა. კონკრეტულად კი – 5.9 პროცენტს ოდესმე გამოუცდია ფიზიკური ძალადობა და 3.5 პროცენტს სექსუალური ძალადობა. ევროსტატის განმარტების თანახმად, ფსიქოლოგიური ძალადობა აერთიანებს ემოციურ ძალადობასა და ქცევის კონტროლს. ჯამში, ქალების 23.7 პროცენტს გამოუცდია ფსიქოლოგიური ძალადობა, 12.6 პროცენტს – ემოციური ძალადობა და 18.8 პროცენტს გამოუცდია ძალადობა ქცევის კონტროლის სახით. მეტიც, ქალებში, ვისაც ოდესმე ჰყოლია პარტნიორი, 8.4 პროცენტს ოდესმე გამოუცდია ეკონომიკური ძალადობა.¹⁰

პრობლემა 5-2



SDG ინდიკატორი 5.2.1: საქართველოში, ბოლო 12 თვეში, ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ 15-69 წლის გოგონების და ქალების 10.1 პროცენტს ამჟამინდელი ან ყოფილი ინტიმური პარტნიორის მხრიდან გამოუცდია ფიზიკური, სექსუალური ან ფსიქოლოგიური ძალადობა. (დიაგრამა 7.1 და ცხრილი C.25).

დიაგრამა 7.1: SDG ინდიკატორი 5.2.1. ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალებისა და 15+ ასაკის გოგონების წილები, ვისაც ბოლო 12 თვეში გამოუცდია ფიზიკური, სექსუალური ან ფსიქოლოგიური ძალადობა ამჟამინდელი ან ყოფილი ინტიმური პარტნიორის მხრიდან, ძალადობის ფორმის მიხედვით (პროცენტი)




წყარო: გაეროს ქალთა ორგანიზაცია და საქსტატი, 2023.
შენიშვნა: იხ. ცხრილი C.25.

ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის უფრო მაღალი მაჩვენებელი ასოცირდება შემდეგ ფაქტორებთან: განათლების დაბალი დონე, ბავშვობის ასაკში ქორწინება, შინამეურნეობის სიღარიბე, ალკოჰოლის მოხმარება, ოჯახში ძალადობის ბავშვობის დროინდელი გამოცდილება და თბილისში ცხოვრება (ცხრილი C.26).¹¹

ყოველმა მეხუთე ქალმა (19.1 პროცენტმა), ვინც გამოცადა ინტიმური პარტნიორისგან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა, ძალადობის დროს მიიღო დაზიანებები. საკითხის სერიოზულობის მიუხედავად, საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გაცხადება სრულად არ ხდება. იმ ქალებს შორის, ვინც ინტიმური პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა გამოცადა, 38.2 პროცენტს ამ ამბის შესახებ არავისთვის მოუყოლია, მათ შორის, არც ოჯახის წევრების ან მეგობრებისთვის. მათგან მხოლოდ ხუთიდან ერთმა (22.8 პროცენტმა), მიმართა დახმარებისთვის ოფიციალურ ორგანიზაციას ან უწყებას. მეტიც, მხოლოდ 11.8 პროცენტმა მიმართა პოლიციას, 8.0 პროცენტმა ამ შემთხვევის შესახებ უამბო სასულიერო პირს და 5.1 პროცენტმა უამბო ჯანდაცვის მუშაკს.¹²

სხვადასხვა უწყებებიდან მიღებული ოფიციალური მონაცემების ანალიზი მიუთითებს ოჯახში ძალადობასა და ქალთა მიმართ ძალადობის სიხშირეებსა და მათზე რეაგირებებში ბოლო 6 წლის განმავლობაში არსებულ რხევებზე. აღსანიშნავია, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში დაფიქსირდა კლება შემაკავებელი და დამცავი ორდერების გაცემის მაჩვენებელში (დიაგრამა 7.2).


დიაგრამა 7.2: გაცემული შემაკავებელი და დამცავი ორდერების რაოდენობა, 2017-2022 წლებში



წყარო: შსს; საქართველოს უზენაესი სასამართლო.

112-ის ცხელ ხაზზე ოჯახში ძალადობის შესახებ შესული შეტყობინებები გვაჩვენებს, რომ მათი რაოდენობა დაკლებული იყო 2017 წლის შემდეგ, ხოლო 2022 წელს მოხდა მცირე მატება (18,996 შეტყობინება). საინტერესოა, რომ 116 006-ის ცხელ ხაზზე ზარების რაოდენობა თანაბრად იზრდებოდა წლების განმავლობაში და 2022 წელს მნიშვნელოვნად მოიმატა (3,474 ზარი) (დიაგრამა 7.3).


დიაგრამა 7.3: ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული შეტყობინებების რაოდენობა 112-ზე და ზარების რაოდენობა 116 006-ზე



წყარო: შსს; სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობა, ისევე, როგორც სისხლის სამართლის კოდექსის 11¹ და 126¹ მუხლებთან დაკავშირებული სასამართლო საქმეების რაოდენობა, წლების განმავლობაში გაიზარდა.¹³

დიაგრამა 7.4: ქალთა მიმართ ძალადობის/ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეების, სასამართლო გადაწყვეტილებებისა და თავშესაფრებისა და კრიზისულ ცენტრებში ბენეფიციართა რაოდენობები




წყარო: საქართველოს პროკურატურა; საქართველოს უზენაესი სასამართლო.

წყარო: სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო.



SDG ინდიკატორი 16.1.1: 2022 წელს განზრახ მკვლელობის ქალ მსხვერპლთა მაჩვენებელი ყოველ 100,000 ქალზე იყო 0.59. სახალხო დამცველის აპარატის თანახმად, 2021 წელს მოკლეს 22 ქალი და 2020 წელს – 25 ქალი. ამ შემთხვევების ნახევარზე მეტს ოჯახში ძალადობის ხასიათი აქვს (დიაგრამა 7.5 და ცხრილი C.27).

დიაგრამა 7.5: ქალების მკვლელობის შემთხვევები, მკვლელობის მოტივის მიხედვით, 2017-2022 წლებში



წყარო: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი.
შენიშვნა: იხ. ცხრილი C.27.



SDG 5.2.2 ინდიკატორთან დაკავშირებით: 2022 წელს თითქმის ყოველმა მეოთხე (24.5 პროცენტმა) ქალმა გამოცადა **სექსუალური შევიწროება** და ქალების 8.5 პროცენტს მათი ცხოვრების რალაც მომენტში გამოუცდია ადევნება.¹⁴

სექსუალური შევიწროებისა და ადევნების უფრო მაღალი დონე ასოცირდება შედარებით ახალგაზრდა ასაკთან და თბილისში ცხოვრებასთან. შემთხვევების უმრავლესობაში, სექსუალური შევიწროება მოხდა ქუჩაში (41.2 პროცენტი) ან საზოგადოებრივ ტრანსპორტში (28.0 პროცენტი), ხოლო შემთხვევების უფრო ნაკლები რაოდენობა მოხდა სკოლაში ან უმაღლეს სასწავლებელში (11.3 პროცენტი) ან სამუშაო ადგილზე (7.9 პროცენტი).¹⁵


მეტიც, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოკვეთა საჯარო მოხელეთა შორის სექსუალური შევიწროების კრიტიკული საკითხი. კვლევის მიგნებების თანახმად, საჯარო მოხელეთა თითქმის მესამედი (34 პროცენტი) – და ქალ საჯარო მოხელეთა შორის კიდევ უფრო დიდი წილი (41 პროცენტი) აცხადებდა სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების შესახებ. ქალები და ახალგაზრდა საჯარო მოხელეები, განსაკუთრებით, 35 წელზე ნაკლები ასაკის, უფრო მონყვლადები არიან ამგვარი შევიწროების მიმართ. მათი სექსუალური შევიწროების შემთხვევებში ძირითადი შემავიწროებლები არიან მათზე უფროსი ასაკის კაცი კოლეგები. კვლევა ასევე მიუთითებს, რომ ხშირად ქალების სექსუალური შევიწროების მრავლობითი ფორმა ფიქსირდება და საჯარო სამსახურში გავრცელებულია ვერბალური და არავერბალური შევიწროება, რომელიც ხშირად ნაკლებად ფორმალურ სიტუაციებში ხდება, როგორცაა მივლინებები და გუნდის გაძლიერების აქტივობები.¹⁶

სექსუალური შევიწროება, ხშირად, ტექნოლოგიების გამოყენებით ხდება. კერძოდ, ქალების 7.2 პროცენტმა განაცხადა, რომ ვილაცამ მათ მიმართ არასასურველი სექსუალური ქმედებები განახორციელა სოციალური მედიის გვერდებიდან, როგორცაა Facebook, WhatsApp ან Viber, რამაც მათში ღირსების შელახვა გამოიწვია ან თავი შეურაცხყოფილად აგრძნობინა. მეტიც, 3.8 პროცენტის თქმით, ვილაცამ მათ შეურაცხყოფილი ან არასასურველი ღიად სექსუალური ხასიათის ელექტრონული წერილი ან მოკლე ტექსტური შეტყობინება გაუგზავნა, ხოლო 3.4 პროცენტმა განაცხადა, რომ ვილაცამ მათ გაუგზავნა ან აჩვენა ღიად სექსუალური ან პორნოგრაფიული ხასიათის ფოტოები ან ვიდეო მასალა, რამაც მათში გამოიწვია უხერხულობის, სირცხვილის ან შეურაცხყოფის გრძნობა.

კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ ქალების 0.5 პროცენტის თქმით, მათ ცხოვრების რაღაც მომენტში გამოუცდიათ ინტერნეტში სექსუალური ხასიათის ძალადობა და იძულება, ხოლო 0.1 პროცენტს ეს ბოლო 12 თვეში აქვს გამოცდილი. აქ შედის შემთხვევები, როდესაც ადამიანებს აიძულებდნენ გაეგზავნათ, გაეზიარებინათ ან გამოექვეყნებინათ სექსუალური შინაარსის შემცველი ან ღიად სექსუალური ხასიათის მქონე მასალა და როდესაც ვილაც აქვეყნებდა ან ავრცელებდა ქალების სექსუალური ხასიათის მქონე მასალებს ან ინტიმურ ფოტოებს მათი თანხმობის გარეშე ან ემუქრებოდა ამგვარი მასალების გავრცელებით. კვლევამ ხაზი გაუსვა ინტერნეტით სექსუალური ძალადობის სულ უფრო მზარდ რისკს ციფრული პლატფორმების გამოყენების გაფართოებასთან ერთად. თუმცა, საქართველოში, ჯერ კიდევ არ მოიპოვება ამომწურავი მონაცემები ციფრული ტექნოლოგიების საშუალებით ქალთა მიმართ ძალადობაზე.¹⁷

შშმ ქალებში მეტია ალბათობა, ცხოვრების განმავლობაში გახდნენ ძალადობის მსხვერპლი (54.7 პროცენტი), ვიდრე არაშშმ ქალებში (45.8 პროცენტი) (დიაგრამა 7.6). ქალებში, რომლებმაც განაცხადეს, რომ აქვთ რომელიმე სახის შეზღუდული შესაძლებლობა, მეტია ალბათობა, რომ ცხოვრების რაღაც ეტაპზე გამოცდილი ჰქონდეთ ძალადობის სხვადასხვა ფორმა.

დიაგრამა 7.6: შშმ და არაშშმ ქალების პროცენტული წილი, მათ მიერ სიცოცხლის მანძილზე გამოცდილი ძალადობის ტიპის მიხედვით, 2022 წელს



წყარო: გაეროს ქალთა ორგანიზაცია და საქსტატი, 2023.

სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, შშმ, მათ შორის ფსიქო-სოციალური საჭიროებების მქონე ქალები და გოგონები მნიშვნელოვან სირთულეებს აწყდებიან მართლმსაჯულების მისაწვდომობის თვალსაზრისით. მათ შორისაა ფიზიკური ბარიერები და სამართალდამცავთა შორის სტერეოტიპული მიდგომების არსებობა. მეტიც, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს ნაკლებად ესმით, რა სირთულეები ახლავს თან შშმ ქალთა მიმართ ძალადობას.¹⁸

საქართველოში საკმაოდ გავრცელებულია **ძალადობა პოლიტიკაში მყოფი ქალების მიმართ** (მეტი ინფორმაციისთვის იხ. თავი 8). ქალები, რომლებიც გადაწყვეტენ, მიჰყვნენ პოლიტიკურ კარიერას, აწყდებიან შემაშფოთებლად მაღალი დონის ძალადობასა და შევიწროებას, განსაკუთრებით, ინტერნეტ სივრცეში. პოლიტიკაში მყოფი ქალების კვლევამ გამოავლინა, რომ რესპონდენტთა ნახევარზე მეტს (54 პროცენტს) გამოუცდია შევიწროების ან ძალადობის რომელიმე ფორმა დანიშნულ პოლიტიკურ თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში ან წინასაარჩევნო კამპანიის დროს.¹⁹ მეტიც, საპარლამენტო არჩევნების დროს მაჟორიტარ კანდიდატთა Facebook ანალიზმა აჩვენა, რომ ქალი კანდიდატებისთვის გაკეთებული კომენტარების მთელი 40 პროცენტი კლასიფიცირდება, როგორც „შეურაცხმყოფელი“, მიუხედავად იმისა, რომ გაანალიზებული იყო Facebook შესაბამისი გვერდების მხოლოდ 22 პროცენტი. ამ დამამცირებელ კომენტარებში ხშირად არის მოთხოვნები, ქალები დაექვემდებარონ ტრადიციულ გენდერულ როლებს და ამისთვის დარჩნენ სახლში და მიხედონ შვილებს, ან მიუთითებენ, რომ მათი წარმატება განპირობებულია გავლენიან კაცებთან პირადი ან სექსუალური ურთიერთობებით.²⁰


ეთნიკური უმცირესობები, დევნილები და თავშესაფრის მაძიებლები, ლგბტიქ+ თემის წარმომადგენლები და პროსტიტუციაში ჩართული ქალები ძალადობის მეტი რისკის წინაშე დგანან, მაგრამ, ამავე დროს, დამატებით სირთულეებს აწყდებიან ძალადობის შემთხვევებზე შეტყობინების გაკეთებისას. ფაქტი, რომ საქართველოში პროსტიტუცია ადმინისტრაციულ დარღვევად ითვლება, დაბრკოლებებს უქმნის ამ საქმიანობით დაკავებულ ქალებს, თავად მოახდინონ საკუთარი თავის იდენტიფიცირება ძალადობის მსხვერპლად. სამართალდამცავი ორგანოების მიერ მათ წინააღმდეგ სამართლებრივი დევნის დაწყების შიში კიდევ უფრო ამცირებს ამ პირების სურვილს, განაცხადონ ძალადობის შესახებ და ითხოვონ დახმარება.²¹ სამართალდამცავი ორგანოების მიმართ ნდობის სიმცირე და მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ძალდატანებით გამოაშკარავებისა და ვიქტიმიზაციის რისკი აფერხებს ლგბტიქ+ პირებს, ითხოვონ დახმარება და მიიღონ მხარდაჭერი მომსახურებები.²² ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები სირთულეებს აწყდებიან ძალადობის შემთხვევაში ინფორმაციისა და მომსახურებების მისაწვდომობაში ენის ბარიერისა და სხვა სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების გამო. ამ გამოწვევების გადასაჭრელად აუცილებელია კულტურული ფაქტორების გათვალისწინებით შექმნილი მხარდაჭერის პროგრამები და მრავალენოვანი რესურსები, რაც უზრუნველყოფს, რომ ძალადობაგამოვლილმა ყველა პირმა მიიღოს საჭირო მხარდაჭერა, მათი ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად. ამას გარდა, საქართველოში ლტოლვილი და თავშესაფრის მაძიებელი პირები განსაკუთრებულ სირთულეებს აწყდებიან ძალადობის შესახებ განცხადების გაკეთებისას. გენდერულად მგრძობიარე მიდგომების არარსებობა და ინფორმაციაზე ლიმიტირებული წვდომა ხელს უშლის მათ მიმართ მომხდარი ძალადობის ფაქტების გამოვლენას და შეტყობინებას, ხოლო თავად ამ პირებს არ აქვთ სათანადო მხარდაჭერა და დაცვა. მათი უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად უმნიშვნელოვანესია, რომ მათ მიეწოდებოდეს ამომწურავი ინფორმაცია უფლებებსა და მხარდაჭერის არსებულ სერვისებზე.²³

7.3 საზოგადოების დამოკიდებულებები და ცოდნა ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის შესახებ

ქვეყნის მასშტაბით 2022 წელს ჩატარებული „ქალთა მიმართ ძალადობის“ კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ გარკვეული დადებითი ცვლილებების მიუხედავად, გენდერული ნორმების აღქმა კვლავ დიდწილად სტერეოტიპულია. კაცებისა და ქალების მნიშვნელოვანი უმრავლესობა (74.7 პროცენტი და 59.9 პროცენტი, შესაბამისად) კვლავ თვლის, რომ ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი როლი არის ოჯახზე ზრუნვა, ხოლო კაცების 77.6 პროცენტი და ქალების 55.1 პროცენტი მიიჩნევს, რომ ოჯახს უნდა აკონტროლებდეს და მართავდეს კაცი. მონაცემები გვაჩვენებს, რომ უფროსი ასაკის პირები, განათლების ნაკლები დონეების მქონე პირები და სოფლად მაცხოვრებლები უფრო მიდრეკილნი არიან, ჰქონდეთ გენდერული ნორმების ტრადიციული აღქმები, ვიდრე საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.²⁴

თუმცა, „ქალთა მიმართ ძალადობის“ 2022 წლის კვლევამ ასევე გამოავლინა საქართველოში მცხოვრები ქალებისა და კაცების შეხედულებების მნიშვნელოვანი ცვლილებები ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობაზე. მაგალითად, 2022 წელს ქალების დაახლოებით ერთი მეხუთედი და კაცების ერთი მესამედი თვლიდა, რომ ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა პირადი საკითხია და რომ სხვები ამაში არ უნდა ჩაერიონ. ეს მნიშვნელოვნად დაკლებული მაჩვენებლებია 2017 წელთან შედარებით, როდესაც ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა „ქალთა მიმართ ძალადობის“ მეორე კვლევა (დიაგრამა 7.7).²⁵ 2022 წლის კვლევამ აჩვენა, რომ კაცებში მეტია აღბათობა, ვიდრე ქალებში, გაამართლონ ძალადობის მხარდაჭერი დამოკიდებულებები. ამას გარდა, უფროსი ასაკის პირები, განათლების შედარებით დაბალი დონეების მქონე პირები და სოფლად მაცხოვრებლები უფრო მაღალ ტენდენციას აჩვენებენ, გაამართლონ ძალადობის ეს ფორმა, ვიდრე სხვა დემოგრაფიული ჯგუფების წარმომადგენლები.²⁶

დიაგრამა 7.7: ადამიანების თანაფარდობა, ვინც თვლის, რომ ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა პირადი საკითხია და რომ სხვები არ უნდა ჩაერიონ, სქესის მიხედვით, 2017 და 2022 წლებში (პროცენტი)




წყარო: გაეროს ქალთა ორგანიზაცია და საქსტატი, 2023.

„ქალთა მიმართ ძალადობის“ შესახებ 2022 წლის კვლევამ გამოავლინა, რომ მნიშვნელოვნად შემცირდა, იმ ქალებისა და კაცების წილი, ვინც 2017 წლის კვლევის მიხედვით თვლიდა, რომ ქმარს შეიძლება ჰქონდეს გაამართლებელი მიზეზი, დაარტყას ან სცემოს ცოლს (ქალი – 1.8 პროცენტი 2022 წელს და 22.0 პროცენტი 2017 წელს, კაცი – 3.8 პროცენტი 2022 წელს და 31.1 პროცენტი 2017 წელს).

რაც შეეხება საზოგადოების დამოკიდებულებებს ლგბტი+ თემის მიმართ, ბოლო კვლევა მიუთითებს საზოგადოებაში, განსაკუთრებით, ახალგაზრდა თაობებში ზოგად დადებით ცვლილებებზე გენდერული იდენტობისა და თანასწორობის საკითხების აღქმებში, რაც ასევე შეიძლება იყოს ასოცირებული 2016-დან 2021 წლამდე ჰომოფობიისა და ტრანსფობიის ინციდენტების რაოდენობის კლებასთან.²⁷

2022 „ქალთა მიმართ ძალადობის“ კვლევის თანახმად, ქალები უკეთ არიან გათვითცნობიერებული არსებულ სერვისებზე, როგორცაა თავშესაფრები და კრიზისული ცენტრები. თუმცა, ამ ცოდნის საერთო დონემ 2022 წელს დაიკლო 2017 წელთან შედარებით, როგორც ამას გვაჩვენებს დიაგრამა 7.8.

დიაგრამა 7.8: ქალთა მიმართ ძალადობის სერვისების შესახებ ცოდნა, სქესის მიხედვით, 2017 და 2022 წლებში, (მოსახლეობის პროცენტი)



წყარო: გაეროს ქალთა ორგანიზაცია და საქსტატი, 2023
 შენიშვნა: უკავშირდება 2022–2024 წლებისთვის ქალთა მიმართ ძალადობაზე/ოჯახში ძალადობაზე ეროვნული სამოქმედო გეგმის 1.1 ინდიკატორის მიზნებს.

7.4 საზიანო პრაქტიკები: საქართველოში ბავშვთა ქორწინება და ვაჟისათვის უპირატესობის მინიჭება

საქართველოში ბავშვთა ქორწინების აღმოფხვრა არის მდგრადი განვითარების ეროვნული მიზნების N5 ინდიკატორის ამოცანა (ქვეყნის SDG მიზანი 5.3).²⁸ 2022 წელს საქართველოს პარლამენტმა „ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია“ დაამტკიცა.²⁹ სხვა პრიორიტეტულ სფეროებს შორის, დოკუმენტის სექციაში გენდერული თანასწორობის შესახებ მკაფიოდ არის გაცხადებული მთავრობის ვალდებულება, გააკეთოს ინვესტირება საზიანო პრაქტიკების აღმოსაფხვრელად. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტომ და სხვა სახელმწიფო უწყებებმა განაცხადეს თავიანთი მზადყოფნის შესახებ, გაატარონ ზომები ბავშვთა ქორწინების საზიანო პრაქტიკის პრევენციისა და ასეთ შემთხვევებზე რეაგირებისთვის, ჩაერთონ საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწაში და აღნიშნულ საკითხზე წარმართონ ცნობიერების ამაღლების კამპანიები.


აქამდე მიღებული ზომების მიუხედავად, **ბავშვთა ქორწინება** კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევაა საქართველოსთვის და მისი გავრცელების მაჩვენებელი 13.9 პროცენტია.³⁰ საზოგადოების გათვითცნობიერება ბავშვთა ქორწინების მავნე შედეგებზე კვლავ დაბალია, რაც

ხელს უშლის ამგვარი შემთხვევების შესახებ შესაბამისი ორგანოებისადმი შემთხვევების შეტყობინებას და ზღუდავს ჩარევის საშუალებებს. საზოგადოების დამოკიდებულებებში არსებული გამოწვევების გამო ბავშვის ქორწინების ბევრ შემთხვევაზე არ ხდება განცხადების შეტანა პოლიციაში ან სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებაში. შედეგად, ამ საზიანო პრაქტიკით დაზარალებული პირები ვერ იღებენ შესაბამის მხარდაჭერასა და დაცვას. სახალხო დამცველის აპარატისა და არასამთავრობო ორგანიზაციის – „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის“ მიერ ჩატარებულმა თვისებრივმა კვლევამ გაძლიერებული მულტისექტორული რეაგირებისა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის კოორდინირებული მოქმედების მწვავე საჭიროება გამოავლინა ქვეყანაში დამკვიდრებული ამ საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად.³¹ ანგარიშის თანახმად, აუცილებელია სტანდარტული ოპერაციული პროცედურების შემუშავება ყველა სახელმწიფო დაწესებულებისთვის, რომელსაც გააჩნია ბავშვთა ქორწინების შემთხვევებზე რეაგირების მანდატი და ყოვლისმომცველი ტრენინგები მათთვის, ვინც პირველი რეაგირებს ბავშვთა ქორწინების შემთხვევებზე.

2022 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბავშვთა ქორწინების 171 შემთხვევა გამოიძია³² და საქართველოს პროკურატურამ, სისხლის სამართლის კოდექსის³³ მუხლებით 140, 143 და 150¹, არასრულწლოვანთან ქორწინებაში ჩართული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა 95 საქმეზე დაიწყო. მეტიც, იმავე წელს დაფიქსირდა მოზარდთა 815 რეგისტრირებული ორსულობა³⁴ და 434 არასრულწლოვანი დედა დარეგისტრირდა.³⁵ ეს მონაცემები შეიძლება აიხსნას სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ განათლების არარსებობით და პოტენციურად შეიძლება მიუთითებდეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქორწინების რეგისტრაცია დაუშვებელია 18 წლამდე ასაკის პირებისთვის, ბავშვთა ქორწინების საზიანო პრაქტიკა არაოფიციალურად, ფაქტობრივი თანაცხოვრების ფორმით გრძელდება.

უნდა აღინიშნოს, რომ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ განათლების არქონა და ბავშვთა ქორწინების პრაქტიკა დისპროპორციულად გოგოებზე უფრო მეტად მოქმედებს. ამას გვაჩვენებს მონაცემები რეგისტრირებული მოზარდი მშობლების შესახებ. ამ მონაცემების თანახმად, 18 წლამდე პირების ქორწინება ვაჟებზე უფრო ხშირად გოგოებს ეხებათ. ეს ნათლად ჩანს იმ განსხვავებებიდანაც, რაც ფიქსირდება არასრულწლოვანი გოგოებისა და ვაჟების მშობლად დარეგისტრირების მონაცემებში³⁶ – იხ. დიაგრამა 7.9.

დიაგრამა 7.9: არასრულწლოვან მშობელთა რეგისტრირებული რაოდენობა, 2017-2022 წლებში




წყარო: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.

მონაცემების თანახმად, 2017 წლიდან 2022 წლამდე მნიშვნელოვნად არის შემცირებული მშობლად დარეგისტრირებულ არასრულწლოვანთა რაოდენობა. თუმცა, ეს კლება არ უკავშირდება ბავშვთა ქორწინების შემთხვევების შემცირებას. სახალხო დამცველის აპარატის ანგარიშის თანახმად, სინამდვილეში, ბავშვთა ქორწინებაზე სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში შესული შემთხვევების, სისხლის სამართლის საქმეებისა და ბავშვთა პოტენციურ ქორწინებაზე შეტყობინებების რაოდენობა 2022 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა.³⁷

არასრულწლოვანთა ორსულობა კიდევ ერთი ირიბი ინდიკატორია ბავშვის ქორწინების შესახებ, რაც კვლავ რჩება საქართველოში მნიშვნელოვან პრობლემად, განსაკუთრებით, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, სადაც ღრმად ფესვგადგმული ტრადიციული შეხედულებები და ქვევები კიდევ უფრო ართულებს ამ პრობლემას. ქვეყანაში არასრულწლოვანთა ორსულობის მაჩვენებელი ყოველ 1,000 ქალზე (2020 წელს – 31.0; 2021 წელს – 29.4) და არასრულწლოვანთა მშობიარობის მაჩვენებელი (2020 წელს – 27.3; 2021 წელს – 24.8) ნელ-ნელა შემცირდა (15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში); თუმცა, ამავე ასაკობრივ ჯგუფში გაიზარდა ხელოვნური აბორტის ჯამობრივი კოეფიციენტი (TIAR) და მან 2021 წელს 4.6 შეადგინა³⁸ (2020 წელს დაფიქსირებული 3.9-დან³⁹). ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემების თანახმად, მოზარდთა რეგისტრირებული ორსულობისა და მშობიარობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები არის ქვემო ქართლში, სადაც ეთნიკური უმცირესობები შეადგენენ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, და თბილისში (დიაგრამა 7.10).

დიაგრამა 7.10: არასრულწლოვანთა რეგისტრირებული ორსულობისა და მშობიარობის რაოდენობები, რეგიონების მიხედვით, 2022 წელს



წყარო: ჯანდაცვის სამინისტრო.

კვლავ პრობლემად რჩება ბავშვთა ქორწინების შემთხვევების იდენტიფიცირებისა და მსხვერპლის შესაბამის მხარდამჭერ სისტემაში გადამისამართების საკითხი. გადამისამართების ვალდებულება კანონით განისაზღვრება, თუმცა მასზე პასუხისმგებელი მხარეები ხშირ შემთხვევაში, არ არიან პროცესში სრულად ჩართული, რაც აფერხებს მსხვერპლისთვის დროულ და ეფექტიან მხარდაჭერას. შესაბამისად, ბავშვთა ქორწინებაზე რეაგირების ერთ-ერთი კრიტიკული ასპექტი არის შესაბამისი სპეციალისტების ცოდნისა და ცნობიერების გაძლიერება, განსაკუთრებით, მასწავლებლების, რომლებიც მთავარ როლს ასრულებენ ასეთი შემთხვევების ადრეულ გამოვლენასა და საჭირო ჩარევაში. ასე, რომ მათი აღჭურვა სათანადო ინფორმაციითა და ინსტრუმენტებით აუცილებელია ბავშვების კეთილდღეობის შესაქმნელად და ბავშვის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.⁴⁰

საქართველოში კვლავ გავრცელებულია შვილებს შორის ვაჟისათვის უპირატესობის მინიჭება, რაც გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საბიანო პრაქტიკაშიც ვლინდება. ამ დამოკიდებულებას, რომელიც აძლიერებს გენდერულ უთანასწორობას და მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის ქალებსა და გოგოებს, მთელ ქვეყანაში აქვს ფესვები გადგმული და განსაკუთრებით გავრცელებულია გარკვეულ გეოგრაფიულ არეალებში, სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფებსა და სოფლის ტიპის დასახლებებში. ვაჟისათვის უპირატესობის მინიჭება სოციალური და გენდერული ნორმაა. ის არის დისკრიმინაციული სტერეოტიპების შედეგი, რომელიც უფრო მაღალ სოციალურ სტატუსს ანიჭებს კაცებსა და ბიჭებს და აძლიერებს ამ მიდგომას, ეს კი, თავის მხრივ, ქალებისა და გოგოების დისკრიმინაციას იწვევს. შემაშფოთებელია, რომ 1990 წლიდან ვაჟისათვის უპირატესობის მინიჭებამ, სხვა სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად, შედეგად დაბადებისას სქესთა შორის რაოდენობრივი თანაფარდობის (SRB) დისბალანსი მოიტანა. ამ შემაშფოთებელ ტენდენციას ამყარებს დაკვირვება, რომლის მიხედვით – 2004 წელს დაბადებულ ჩვილთა შორის თანაფარდობით, ყოველ 100 გოგოზე 114.9 ბიჭი დაიბადა, რაც ბიოლოგიური ნორმიდან მნიშვნელოვან გადახრაზე მიუთითებს.⁴¹ გრძელვადიან პერსპექტივაში ამ პრაქტიკას სავალალო შედეგი ექნება ქალებსა და გოგოებზე, ვინაიდან კიდევ უფრო დააკნინებს გოგოების ღირებულებას და გავლენას იქონიებს სოციალურ, ეკონომიკურ და მოსახლეობის დინამიკაზე, როგორცაა მოსახლეობაში მამრობითი სქესის პირთა მკვეთრი მატება და რეპროდუქციული ასაკის ქალების რაოდენობის კლება. 2015 წლიდან დაბადებისას სქესთა თანაფარდობაში დადებითი კლება შეინიშნებოდა, რის მიზეზიც ძირითადად სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების კომბინაცია იყო, კერძოდ, მკაცრი გენდერული რწმენებიდან უფრო თანასწორი გენდერული ნორმებისკენ ეტაპობრივი სვლა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზოგადი გაუმჯობესება, გაძლიერებული სახელმწიფო ინსტიტუტები და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების წახალისება (სოფლის მეურნეობის სექტორს მიღმა).⁴² მაშინ, როდესაც 2015 წლიდან შეიმჩნევა გაუმჯობესება ეროვნულ დონეზე, ზოგიერთ გეოგრაფიულ ერთეულში კვლავ შემორჩენილია ვაჟისათვის უპირატესობის მინიჭების ტენდენცია, მათ შორის, კახეთში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. ყველა ეს მხარე ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებით არის დასახლებული.⁴³

რეკომენდაციები:

- საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რათა სრულად შეესაბამებოდეს სტამბოლის კონვენციის მოთხოვნებს, განსაკუთრებით შემდეგ საკითხებში:
 - გაუპატიურების განმარტებაში თანხმობის კომპონენტის შეტანა.
 - მსხვერპლთა დისტანციური გამოკითხვისა და ბრალდებულის სასამართლო დარბაზიდან დროებით გაყვანის შესაძლებლობის გათვალისწინება ძალადობაგამოვლილ პირთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.
 - უფასო იურიდიული დახმარების მომსახურებით სოციალური სტატუსის მიუხედავად მოსარგებლე პირთა წრის გაფართოება და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა მოცვა, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ძალადობაგამოვლილი ყველა პირისთვის მართლმსაჯულებაზე თანასწორი მისაწვდომობა და მათი ყოვლისმომცველი დაცვა.
- ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოების სენსიტიურობის ასამაღლებლად და მსხვერპლთა მეორადი ვიქტიმიზაციის თავიდან ასაცილებლად, ამ ორგანოებისთვის მკაფიო სახელმძღვანელო პრინციპებისა და სატრენინგო პროგრამების შემუშავება, სადაც განსაკუთრებული ყურადღება იქნება გამახვილებული შშმ და ლგბტიქ+ ძალადობაგანცდილ ადამიანებზე.

- საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნობრივი კამპანიების დაწყება, რომ მოხდეს დაცვის არსებულ მექანიზმებსა და რეგულაციებზე ინფორმაციის მიწოდება მოქალაქეებისთვის, განსაკუთრებით, სოფლად და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რეგიონებში, ეთნიკური უმცირესობებისთვის, თავშესაფრის მაძიებლებისთვის, ლტოლვილებისა და შშმ პირებისთვის.
- ყოვლისმომცველი ეროვნული სტრატეგიის შექმნა ფემიციდისა და გენდერული ძალადობის შემთხვევების პრევენციისთვის; სტრატეგიაში შეტანილი უნდა იყოს პრევენციული ზომები, ადრეული შეტყობინების სისტემები და თემის ჩართულობის საკითხები.
- ძალადობაგამოვლილ პირთა გაძლიერება გრძელვადიანი დახმარების განვით, შესაბამისი პროგრამებითა და ეკონომიკურ შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით.
- ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების სისტემებში შშმ ქალების საჭიროებების გათვალისწინება და ლგბტიქ+ ადამიანების მიმართ სენსიტიურობის გაზრდა, პროსტიტუციაში ჩართული ქალებისთვის სპეციალურად მათზე მორგებული მხარდაჭერი პროგრამების შემუშავება, რათა ხელი მიუწვდებოდეთ მართლმსაჯულებასა და მხარდაჭერის მომსახურებებზე.
- ძალადობრივი ქცევის კორექციის სავალდებულო პროგრამების შემუშავება, რომლებიც სპეციალურად იქნება შექმნილი ქალთა მიმართ ძალადობასა და ოჯახში ძალადობაში მხილებული პირებისთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვის მიმართაც გაცემულია შემაკავებელი ან დამცავი ორდერები.
- მულტისექტორული მიდგომის განხორციელება ბავშვთა ქორწინებასთან საბრძოლველად, რომელიც უნდა მოიცავდეს სამთავრობო უწყებებს, სამოქალაქო საზოგადოებას და თემის ლიდერებს. არასრულწლოვანთა სათანადო დაცვისთვის მექანიზმების შემუშავება ბავშვის ქორწინების იძულების შემთხვევების იდენტიფიცირებისა და მათზე ეფექტიანი რეაგირებისთვის.
- საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რომელიც დაიცავს 16-18 წლის ასაკის გოგოებს და გავრცელდება ბავშვის ქორწინების საზიანო პრაქტიკის ნებისმიერ შესაძლო ასპექტზე, მათ შორის: ნიშნობის პრაქტიკის აკრძალვა, საპროცესო გარიგების პრაქტიკის გადახედვა და სხვა შესაბამისი ზომების გატარება.
- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ბავშვთა ქორწინებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ნორმებზე და ყოვლისმომცველი საკომუნიკაციო კამპანიის წარმართვა ამ საზიანო პრაქტიკიდან გამომდინარე შედეგებზე.
- სატრენინგო გეგმის შექმნა ბავშვთა ქორწინების შემთხვევებზე პირველადი რეაგირების განმახორციელებელი პირებისთვის. ტრენინგის და გადამზადების პროგრამების შეთავაზება პასუხისმგებელი პირებისთვის, მათ შორის, მასწავლებლების, სკოლის დირექტორების, სოციალური მუშაკების, პოლიციელების და პროკურორებისთვის.
- ვაჟისათვის უპირატესობის მინიჭების საზიანო პრაქტიკასა და მასთან დაკავშირებულ გენდერულ დისბალანსზე რეაგირება ყოვლისმომცველი ცნობიერების ამაღლების კამპანიებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით, რომელიც მიზნად ისახავს დისკრიმინაციული სოციალური ნორმების აღმოფხვრას, როგორც ადგილობრივ, ასევე ეროვნულ დონეზე.

- ძლიერი მექანიზმების შემოღება ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის თავიდან ასარიდებლად. იდენტიფიცირებისა და რეფერალური პროცედურების ისევე, როგორც რეაგირების მექანიზმების, მათ შორის, ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის სარეაბილიტაციო სერვისების შემდგომი გაძლიერება. სახელმწიფომ მეტად უნდა გააძლიეროს ინტეგრირებული მიდგომა და სექტორთაშორისი თანამშრომლობა ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისთვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვთა მიმართ ძალადობას ინტერნეტით და ამ საკითხზე მონაცემთა მოგროვებისა და ანალიზის სისტემის გაძლიერებას.
- ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერა, მათ შორის, დასაქმების და ქალი მენარმეების წახალისების საშუალებით, ფინანსებსა და სხვა რესურსებზე წვდომის გაზრდის გზით. რათა მოხდეს ქალთა ავტონომიურობისა და გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობის გაზრდა, მათ შორის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა რეპროდუქციული არჩევანი და შვილების სასურველი რაოდენობა.
- სახელმწიფო სოციალური პროგრამებისა და სქემების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, განსაკუთრებით იმ ჯგუფებში, სადაც მეტია გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის შემთხვევების ალბათობა; ეთნიკური უმცირესობებისთვის ინფორმაციისა და სახელმწიფო სოციალური დახმარების პროგრამების მისაწვდომობაში არსებული შესაძლო ბარიერების გამოვლენა და აღმოფხვრა.
- საკანონმდებლო ცვლილებების მიღება ბავშვების წინააღმდეგ ფიზიკური ხასიათის სექსუალური შევიწროების კრიმინალიზებისთვის; სექსუალური შევიწროების პრევენციის მექანიზმებისა და რეაგირების ზომების შემუშავება, მათი განხორციელება და ცნობიერების ამაღლება სექსუალური შევიწროების პრევენციაზე.
- საქართველოში ტექნოლოგიების გამოყენებით გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ მონაცემების მოგროვებისთვის პრიორიტეტის მინიჭება ამ საკითხის მასშტაბების უკეთ გასაგებად და ძალადობის ამ სულ უფრო მზარდი ფორმის წინააღმდეგ ინტერვენციების შესამუშავებლად.

8

ქალები ხელისუფლებაში და
გადაწყვეტილების მიმღებ
პოზიციებზე



ძირითადი დასკვნები:


- გენდერულმა კვოტებმა დადებითი გავლენა მოახდინა პოლიტიკაში ქალების მონაწილეობაზე კანდიდატ ქალთა წილის გაზრდისა და არჩეულ ქალთა წილის კუთხით. 2023 წლისთვის პარლამენტის ქალ წევრთა წილი გაიზარდა 19 პროცენტამდე 2019 წლის 14 პროცენტიდან. თუმცა, ეს მაჩვენებელი მაინც ჩამოუვარდება ეროვნულ პარლამენტებში ქალ დეპუტატთა გლობალურ საშუალო მაჩვენებელს (27 პროცენტ) და რეგიონულ საშუალო მაჩვენებელს (31 პროცენტს).
- ადგილობრივი მერების არჩევნების შედეგები მცირე წინსვლაზე მიუთითებდა. 2021 წელს, ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნებში სამი ქალი იყო არჩეული. შედარებისთვის, 2017 წელს არჩეული იყო მხოლოდ ერთი ქალი.
- გენდერულ კვოტებზე საზოგადოების მხარდაჭერა წლების განმავლობაში იზრდება, მაგრამ პოლიტიკაში მყოფი ქალები კვლავ აწყდებიან სტერეოტიპებს პოლიტიკაში ქალის მონაწილეობის შესახებ, მათი გაძლიერებისა და დანიშნულებისთვის პოლიტიკური პარტიების მხრიდან საჭირო მექანიზმებთან დაკავშირებულ გამოწვევებს და ძალადობას საზოგადოების მხრიდან.
- ქალებს მინისტრების თანამდებობების მხოლოდ 16.7 პროცენტი უკავიათ (12 მინისტრიდან – 2) და მინისტრის მოადგილეთა შორის ქალების წილი 23.5 პროცენტია (39 პირიდან 12), რაც მცირედ დაკლებული მაჩვენებლებია 2021 წლის შემდეგ.
- ქალები შეადგენენ საჯარო სამსახურების მთელი სამუშაო ძალის 31 პროცენტს და I და II რანგის ხელმძღვანელ პოზიციებზე – 43 პროცენტს. გენდერული განსხვავება მნიშვნელოვნად მატულობს უმაღლესი რანგის მმართველობით დონეზე, სადაც საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელებს შორის მხოლოდ 9 პროცენტია ქალი და საჯარო დაწესებულებათა ხელმძღვანელების მოადგილეებს შორის – 15 პროცენტი.
- საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში ქალთა შედარებით უკეთესი წარმომადგენლობაა. 2022 წელს ქალების წილი ამ სისტემაში 55 პროცენტი იყო. თუმცა, კვლავ არსებობს გენდერული უთანასწორობები, ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრა მოსამართლეს შორის მხოლოდ სამია ქალი. ამას გარდა, ქალთა წილი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებში 39 პროცენტია.

8.1 ქალები პარლამენტში და ადგილობრივ ხელისუფლებაში

საქართველოში ქალები კაცებთან შედარებით მნიშვნელოვნად ნაკლებად არიან წარმოდგენილი გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ყველა სექტორში, მათ შორის – საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში, მართლმსაჯულების სისტემასა და საჯარო სამსახურში. „გენდერული სხვაობის გლობალური ინდექსის“ (Global Gender Gap Index) მიხედვით, 2022 წელს საქართველო 146 ქვეყანას შორის 55-ე ადგილზე იყო, რაც ჩამოუვარდებოდა 2021 წლის მაჩვენებელს.¹ 2021-დან 2022 წლამდე საქართველოში მცირე გაუმჯობესება დაფიქსირდა ქალთა პოლიტიკური გაძლიერების კუთხით და მე-60 ადგილიდან ქვეყანამ 57-ე ადგილზე გადაინაცვლა. 2022 წლის მონაცემების თანახმად, ეროვნულ პარლამენტში ქალთა წილით საქართველო 187 ქვეყნიდან 121-ე ადგილზეა.²

ბოლო კვლევების თანახმად, საქართველოში სულ უფრო ძლიერდება საზოგადოებრივი აზრი პოლიტიკაში გენდერული თანასწორობისა და სავალდებულო კვოტების შესახებ. მართალია, გაეროს განვითარების პროგრამისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის 2020 წლის კვლევა მიუთითებდა ჯერ კიდევ მყარად დამკვიდრებულ სტერეოტიპებზე და მაგალითად, მოსაზრებას, რომ პოლიტიკა ძირითადად კაცების საქმეა,³ მოსახლეობის 52 პროცენტი იზიარებდა, თუმცა, ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ შეგროვებული ბოლო (2022 წლის) მონაცემები გვაჩვენებს, რომ ამომრჩეველთა უმრავლესობა მხარს უჭერს ქალთა მონაწილეობას პოლიტიკაში. გენდერულ კვოტებს მხარს უჭერს საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი (დიაგრამა 8.1).⁴

დიაგრამა 8.1: მოსახლეობის წილი, ვინც მხარს უჭერს პარლამენტში გენდერულ 50-50 წარმომადგენლობას, სქესის მიხედვით, 2022 წელს (პროცენტი)




წყარო: NDI და CRRC, 2023.



საქართველო 5-5

SDG 5.5.1 ინდიკატორთან დაკავშირებით: საქართველოს პარლამენტში ქალთა წილი კვლავ ჩამოუვარდება ეროვნულ პარლამენტებში ქალთა წილის გლობალურ საშუალო (27 პროცენტს) და რეგიონულ საშუალო (31 პროცენტს) მაჩვენებლებს. 2020 წლის არჩევნების დროს, პარლამენტში არჩეული იყო 31 ქალი, რაც პარლამენტის წევრთა ჯამური რაოდენობის 21 პროცენტია.⁵ თუმცა, საბოლოოდ პარლამენტში მხოლოდ 16 ქალი დეპუტატი დარჩა, რაც ჯამური რაოდენობის 17 პროცენტს წარმოადგენს.⁶ 2023 წლისთვის, პარლამენტის 141 წევრს შორის იყო 27 ქალი, რაც 19 პროცენტს უდრიდა (დიაგრამა 8.2).⁷

დიაგრამა 8.2: პარლამენტის წევრთა შორის ქალების წილი, 2016–2022 წლებში (პროცენტი)




წყარო: საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი.

საქართველოს პარლამენტმა 2020 წელს მიიღო საქართველოს საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილება, რომელიც სავალდებულო გენდერული კვოტირების მექანიზმს უკავშირდება. აღნიშნულმა ცვლილებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქალთა წარმომადგენლობის ზრდას ეროვნულ და ადგილობრივ ხელისუფლებებში.⁸ პარტიული სიის შედგენისას სქესთა შორის ბალანსის დაცვა ასევე დაკავშირებულია „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ დამატებით დაფინანსებასთან. მოსალოდნელია, რომ გენდერული კვოტის განხორციელების პერიოდის გაგრძელება 2032 წლამდე დადებით ზეგავლენას მოახდენს პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობაზე.⁹ ქალ კანდიდატთა პროპორცია მიუთითებს, რომ სავალდებულო გენდერული კვოტის შემოღებამ უკვე გააუმჯობესა პოლიტიკაში ქალების წარმომადგენლობა.

გაიზარდა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში არჩეულ ქალთა რაოდენობა. 2017 წელს, ადგილობრივ ხელისუფლებაში არჩეულთაგან მხოლოდ 13.8 პროცენტი იყო ქალი, ხოლო 2021 წელის თვითმმართველობის არჩევნების შედეგად აღნიშნული მაჩვენებელი 24 პროცენტამდე გაიზარდა.¹⁰ ამასთან, პროპორციული საარჩევნო სიით წარდგენილი კანდიდატების 42 პროცენტი, ხოლო მაჟორიტარი კანდიდატების სიიდან მხოლოდ 18 პროცენტი იყო ქალი.¹¹ შესაბამისად, ქალებმა შესამჩნევ წარმატებას მიაღწიეს პროპორციული სიებით, მათ მანდატების საერთო რაოდენობის (441 მანდატი) 31.4 პროცენტი აიღეს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 2017 წელს ქალების მიერ აღებულ 19.8 პროცენტს (დიაგრამა 8.3).¹²

დიაგრამა 8.3: ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში არჩეულ ქალთა წილი, არჩევნების წლების მიხედვით (პროცენტი)



წყარო: NDI 2022.



SDG-ს საქართველოსთვის მისადაგებული ინდიკატორები 5.5.1.1 და 5.5.1.2:

მერის ადგილობრივი არჩევნების შედეგები მცირე წინსვლაზე მიუთითებს. 2021 წლის ადგილობრივ არჩევნებში სამი ქალი იყო არჩეული, ხოლო 2017 წელს – მხოლოდ ერთი. თვითმმართველ ქალაქების – ბათუმის, ქუთაისის, ფოთის, რუსთავის და თბილისის მერთა შორის არჩეული იყო მხოლოდ ერთი ქალი.¹³ რაც შეეხება კანდიდატებს, მათ შორის ქალი იყო 17 პროცენტი (7 პირი).¹⁴ ამავე დროს, 59 თვითმმართველ თემში მერად არჩეული იყო მხოლოდ ორი ქალი (3.4 პროცენტი) 18 დასახელებული კანდიდატიდან (9 პროცენტი). საქართველოში დასახელებულ ყველა კანდიდატს შორის ქალ კანდიდატთა წილი ყველაზე მაღალი იყო თბილისში. რაც შეეხება გუბერნატორების დანიშვნას, აღსანიშნავია, რომ ცხრა გუბერნატორიდან ქალი არცერთი არ აირს.¹⁵ 2021 წლის ადგილობრივ არჩევნებში ქალ ამომრჩეველთა წილი ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 51 პროცენტს შეადგენდა.¹⁶

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შეფასება – ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შესახებ, ცხადყოფს, რომ გადანყვეტილების მიღების პროცესში ქალების ჩართულობაზე რამდენიმე ფაქტორი ახდენს გავლენას. ამ ფაქტორთა შორის არის ქალებში ცოდნის არარსებობა გადანყვეტილების მიღების პროცესებში მათი მონაწილეობის უფლების შესახებ, პროცესისადმი ნდობის არქონა, ტრანსპორტირებაზე შეზღუდული მისაწვდომობა, სტერეოტიპული დამოკიდებულებები მათ მონაწილეობაზე და ზრუნვის ვალდებულებები.

მრავალი დამატებითი კვლევა აჩვენებს ასევე ბარიერების არსებობას, რაც ზღუდავს ქალთა თანასწორ შესაძლებლობებს. NDI-ს და CRRC-ის მიერ 2023 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, ზოგიერთ პოლიტიკურ პარტიაში გენდერული პოლიტიკის არარსებობა ხელს უშლის მათ სავალდებულო გენდერული კვოტის შესრულებაში. ქალ კანდიდატთა მიზიდვის, რეკრუტირების, ჩართვისა და დანიშნულების კარგად ჩამოყალიბებული წესების არარსებობა აფერხებს პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების უფრო ფართოდ ჩართვას. მეტიც, არცერთ პოლიტიკურ პარტიას მისი წევრებისთვის არ შეუქმნია პროფესიული განვითარების კომპლექსური სისტემა, რაც ხელს უწყობს არათანასწორი გარემოს არსებობას, განსაკუთრებით – ქალებისთვის. საკითხს უფრო მეტად ამძიმებს ქალ პოლიტიკოსთა მიმართ გავრცელებული უარყოფითი სტერეოტიპები, დამოკიდებულებები და დისკრიმინაციული სამუშაო გარემო.¹⁷ NDI-ს და UNDP-ის 2022 წელს ჩატარებული კვლევა მიუთითებს, რომ საჯაროობა ქალი კანდიდატებისა და პოლიტიკოსებისთვის განსაკუთრებულ ბარიერს წარმოადგენს. ქალების მიმართ გამოიყენება კრიტიკის სხვადასხვა ფორმა, მათ შორის, კომენტარები მათი ასაკის, გარეგნობისა და პირადი ცხოვრების შესახებ. ამგვარ შემთხვევებზე რეაგირებისთვის ადეკვატური მექანიზმების არარსებობა ან მათი არაეფექტიანობა, როგორც შიდა პარტიულ, ასევე ეროვნული დონეებზე, კიდევ უფრო ზრდის სირთულეებს პოლიტიკაში მყოფი ქალებისთვის.¹⁸

2022 წელს გამოქვეყნებული NDI-ს კვლევის თანახმად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პოლიტიკურ პარტიებს, რომელთა სამუშაო კულტურაში ძირითადად კაცები დომინირებენ, არ გააჩნიათ შიდაპარტიული წესები, რომლებიც მხარს დაუჭერდა ხელმძღვანელ პოზიციებზე ქალების დანიშვნას ან დანიშნულებას.¹⁹ მეტიც, ქართულ პოლიტიკაში ქალების მიმართ ძალადობაზე გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, პოლიტიკაში მყოფი ყოველი მეოთხე ქალი (25 პროცენტი) პოლიტიკაში თავისი საქმიანობის ხელისშემშლელ ფაქტორად გენდერულ სტერეოტიპებსა და პოლიტიკაში ქალთა ჩართულობაზე საზოგადოებრივ აზრს მიიჩნევდა. ეს პრობლემა მნიშვნელოვან ბარიერთა შორის რიგით მესამე იყო. პირველ-ორ ადგილზე ფინანსური მხარდაჭერა და პოლიტიკური პარტიების მიერ, პარტიულ სიებში დანიშნულებისა

და რეიტინგის შესახებ გაკეთებული არჩევანი დასახელდა.²⁰ იმავე კვლევის მიგნებით, გამოკითხულ ქალ კანდიდატთა ნახევარზე მეტი (54 პროცენტი) იხსენებდა, რომ საარჩევნო კამპანიის ან პოლიტიკური კარიერის მანძილზე ჰქონიათ ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან სექსუალური ხასიათის ძალადობისა და შევიწროების შემთხვევები და მათში, ხშირად, მოწინააღმდეგე პოლიტიკური პარტიის წევრი კაცები იყვნენ ჩართული.²¹ უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის, ვინც პოლიტიკაში ძალადობა გამოცადა, 52 პროცენტს არ განუცხადებია ამაზე რომელიმე ორგანოში, რისთვისაც შემდეგი მიზეზები დაასახელეს: ხელისუფლებისადმი ნდობის არარსებობა; საკუთარი, ან მათი პოლიტიკური რეპუტაციის დაზიანების შიში; ან მოსაზრება, რომ მათ განცხადებას სერიოზულად არავინ მიიღებდა.²² ეს იმაზე მიუთითებს, რომ ძალადობა მნიშვნელოვან ბარიერს უქმნის ქალებს, მოახდინონ თავისი პოლიტიკური უფლებების რეალიზება და ხელს უშლის მათ აქტიურ მონაწილეობას.

8.2 ქალები აღმასრულებელ ხელისუფლებაში

საქართველოში სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი ქალია, ხოლო მთავრობის ხელმძღვანელი – პრემიერ-მინისტრი კაცი. 2023 წლის დასაწყისისთვის, 12 მინისტრიდან მხოლოდ 2 იყო ქალი. ეს მაჩვენებელი დაკლებულია 2021 წელთან შედარებით, როდესაც მინისტრის თანამდებობა ოთხ ქალს ეკავა. მინისტრების თანამდებობაზე ქალთა წილი მხოლოდ 16.7 პროცენტია. წლების მანძილზე, ქალები ასევე მუდმივად დისპროპორციულად ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილი მინისტრის მოადგილეთა თანამდებობაზე. 2021 წელს მინისტრის მოადგილეთა შორის ქალი იყო 26 პროცენტი; 2023 წლისთვის კი ეს მაჩვენებელი 23.5 პროცენტამდე შემცირდა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ერთადერთი სამინისტროა, სადაც მინისტრის მოადგილეების თანამდებობაზე მეტი ქალია, ვიდრე კაცი. შინაგან საქმეთა სამინისტროსა და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში მინისტრის მოადგილე ქალი არ არის. (ცხრილი 8.1).

ცხრილი 8.1: მინისტრებისა და მინისტრის მოადგილეთა განაწილება, სქესის მიხედვით, 2023 წელს

სამინისტრო	მინისტრი	მინისტრის მოადგილე	
		♂ კაცი	♀ ქალი
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	♀ ქალი	2	1
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	♂ კაცი	2	1
იუსტიციის სამინისტრო	♂ კაცი	4	1
შინაგან საქმეთა სამინისტრო	♂ კაცი	4	0
თავდაცვის სამინისტრო	♂ კაცი	4	1
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	♂ კაცი	5	2
საგარეო საქმეთა სამინისტრო	♂ კაცი	4	1
ფინანსთა სამინისტრო	♂ კაცი	4	1
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	♂ კაცი	2	1

სამინისტრო	მინისტრი	მინისტრის მოადგილე	
		♀ კაცი	♂ ქალი
ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	♀ კაცი	1	2
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	♀ კაცი	4	1
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	♂ ქალი	3	0
სულ		39	12


წყარო: საქართველოს მთავრობა.

8.3 ქალები საჯარო სამსახურში



SDG 16.7.1 ინდიკატორთან დაკავშირებული: საჯარო მოხელეთა შორის ქალების წილი 2020 წლიდან არ შეცვლილა და 2022 წელს დაახლოებით ერთ მესამედს (31.3 პროცენტს) უდრიდა (დიაგრამა 8.4 და ცხრილი C.28). აღსანიშნავია, რომ ყველაზე დიდი დისბალანსი შინაგან საქმეთა სამინისტროშია და მის სამუშაო ძალას უმეტესად კაცები შეადგენენ. თუმცა, ანალიზიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს გამორიცხვის შემდეგ, საჯარო მოხელეთა შორის ქალების წილი 2022 წელს 59 პროცენტამდე იზრდება.²³

დიაგრამა 8.4: საჯარო მოხელეთა შორის ქალებისა და კაცების თანაფარდობა, 2022 წელს (პროცენტი)



წყარო: საჯარო სამსახურის ბიურო, 2022.

შენიშვნა: იხ. ცხრილი C.28.


საჯარო მოსამსახურეთა შორის შშმ პირები ნაკლებად არიან წარმოდგენილი და ეს ეხება როგორც ქალებს (0.30 პროცენტი), ასევე კაცებს (0.16 პროცენტი). მიუხედავად ამისა, 2021 წლიდან 2022 წლამდე ოდნავ მზარდი ტენდენცია შეინიშნებოდა, განსაკუთრებით, შშმ ქალებში (0.28 პროცენტიდან 0.30 პროცენტამდე). როგორც შშმ კაცები, ასევე შშმ ქალები ძირითადად, საჯარო სექტორში – ადგილობრივ თვითმმართველობებში არიან დასაქმებული. საჯარო სამსახურში დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა კაცსა და ქალს შორის 2022 წელს მენეჯერული თანამდებობა 23 პროცენტს ეკავა.²⁴



SDG-ს საქართველოსთვის მისადაგებული ინდიკატორი 5.5.2.1: წლების მანძილზე, ქალების მიერ საჯარო სამსახურში I და II რანგის ხელმძღვანელ პოზიციებზე დაკავებული ადგილების წილი იცვლებოდა თუმცა, 2019 წლიდან 2022 წლამდე მყარი დადებითი ტენდენცია აღინიშნებოდა (36 პროცენტი და 43 პროცენტი, შესაბამისად) (დიაგრამა 8.5 და ცხრილი C.29).

გენდერული უთანასწორობა საგრძნობლად იზრდება მაღალ მენეჯერულ პოზიციებზე. მეტიც, ბოლო მონაცემები გვაჩვენებს, რომ საჯარო სამსახურების ხელმძღვანელებისა და მათი მოადგილეების თანამდებობებზე ქალთა წარმომადგენლობა საგრძნობლად შემცირებულია და 2019 წლის 15 და 18 პროცენტიდან 2022 წელს 9 და 15 პროცენტამდე ჩამოვიდა.²⁵ საქართველოს საჯარო სექტორში მენეჯერულ პოზიციებზე ქალების ნაკლები წარმომადგენლობა უფრო ფართო პრობლემის გამოძახილია. 2022 წლის „სამუშაო ძალის კვლევის“ მონაცემებზე დაყრდნობით, ამ სექტორში მენეჯერულ თანამდებობებზე მუშაობდა ქალების მხოლოდ 39 პროცენტი და კაცების 63.9 პროცენტი.²⁶

დიაგრამა 8.5: ქალებისა და კაცების თანაფარდობა I და II რანგის თანამდებობებზე საჯარო სამსახურში, 2022 წელს (პროცენტი)



წყარო: საჯარო სამსახურის ბიურო, აქტიურობის ანგარიში.
შენიშვნა: იხ. ცხრილი C.29.


საქსტატის მონაცემების თანახმად, 2017-დან 2022 წლამდე საქართველოდან ქალი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩების წილი მცირედით – 11 პროცენტიდან 15 პროცენტამდე გაიზარდა.²⁷

სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროება კვლავ გავრცელებულია საქართველოს საჯარო სამსახურში. საჯარო მოსამსახურეთა ერთი მესამედი (34 პროცენტი) (კაცების 20 პროცენტი და ქალების 41 პროცენტი) აცხადებდა, რომ გამოუცდია სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროება.²⁸ თავდაცვის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო იმ ბევრ საჯარო დაწესებულებას შორისაა, სადაც 2018 წლის შემდეგ შეიმუშავეს და მიიღეს სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების შიდა მექანიზმები. თუმცა, საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ ამჟამად საჯარო სამსახურებისგან სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების შიდა მექანიზმების შექმნას ან/და თანამშრომლებისთვის სექსუალურ შევიწროებაზე ტრენინგების ჩატარებას არ მოითხოვს. საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ადგილობრივ დონეზე, საქართველოს მუნიციპალიტეტების უმეტესობაში ამგვარი მექანიზმები არ არსებობს.²⁹

8.4 ქალები მართლმსაჯულების სისტემაში

მართლმსაჯულების სისტემა კვლავ რჩება სფეროდ, სადაც ქალები შედარებით უკეთ არიან წარმოდგენილი. 2022 წელს, ქალთა წილი მართლმსაჯულების სისტემაში 55 პროცენტს უდრიდა, რაც 2019 წელთან შედარებით 1 პროცენტით მეტი იყო.³⁰ თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრა მოსამართლიდან მხოლოდ სამია ქალი და ეს რიცხვი 2019 წლის შემდეგ არ შეცვლილა.³¹ მეტიც, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს შორის ქალების წილი 39 პროცენტი იყო როგორც 2021, ისე 2022 წლებში და ეს მაჩვენებელი 2020 წლის 45 პროცენტთან შედარებით დაკლებულია (დიაგრამა 8.6 და ცხრილი C.30).³² აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის ან თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ არცერთი ქალი არ დანიშნულა.³³

დიაგრამა 8.6: მართლმსაჯულების სისტემაში გადაწყვეტილების მიმღებ ქალთა წილი, 2022 წელს (SDG-ს საქართველოსთვის მისადაგებული ინდიკატორი 5.5.2.2) (პროცენტი)



წყარო: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ოფიციალური წერილები.
შენიშვნა: იხ. ცხრილი C.30.

რეკომენდაციები:

- შესაბამისი ზომების მიღება პოლიტიკაში მყოფი ქალების მიმართ ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირებისთვის. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფსიქოლოგიურ ძალადობასა და სოციალური მედიით შევიწროებას. გენდერულად მგრძობიარე საკანონმდებლო გარანტიების შექმნა, იმისათვის, რომ საშუალება მიეცეთ ქალებს, გამოიყენონ პოლიტიკური უფლებები დაშინების ან ზიანის მიყენების შიშის გარეშე.
- პოლიტიკური პარტიების მიერ, კარგად ჩამოყალიბებული შიდა პარტიული გენდერული პოლიტიკის შემუშავების უზრუნველყოფა, ქალების პოლიტიკაში საქმიანობის მხარდასაჭერად და მათ გასაძლიერებლად. ეს შიდა პოლიტიკური დოკუმენტი მკაფიოდ უნდა ეხებოდეს ისეთ საკითხებს, როგორცაა ძალადობა და სექსუალური შევიწროება, მმართველ პოზიციებზე ქალების წარმომადგენლობისთვის მიზნების დასახვა, პარტიაში მათი დანიშნულებისა და წინსვლის უზრუნველყოფისთვის მექანიზმების შექმნა, ჩამოთვლილი გენდერული პოლიტიკების განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების შემოღება.

- მუშაობის გაგრძელება საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდისთვის გენდერული კვოტების მნიშვნელობის შესახებ. საზოგადოების მხარდაჭერის გაძლიერება გენდერული თანასწორობისთვის გატარებულ ზომებზე, რასაც უფრო ინკლუზიური და მრავალფეროვანი პოლიტიკური გარემოს შექმნა შეეძლება.
- მრავალმხრივი პოლიტიკისა და ინიციატივების შემუშავება გადანაცვლების მიმღებ პოზიციებზე ქალების წილის გასაზრდელად, რომ მიღწეულ იქნეს გაეროს „ქალთა სტატუსის კომისიის“ 65-ე სესიის დროს დასახული მიზნები, კერძოდ, თანაბარი წარმომადგენლობა, სადაც 50 პროცენტი იქნება ქალი და 50 პროცენტი კაცი.
- სტრატეგიების განხორციელება საჯარო სამსახურში ქალების წარმომადგენლობის სტაგნაციის გადასაღებად. თანაბარი შესაძლებლობების მინიჭება კარიერული წინსვლისთვის; მენტორობისა და ტრენინგ პროგრამების შეთავაზება ქალების გასაძლიერებლად, რომ მათ შეძლონ საჯარო სექტორში მმართველი პოზიციების დაკავება.
- საკანონმდებლო ცვლილებების შემოღება, რომელიც დაავალდებულებს საჯარო უწყებებს, მიიღონ სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების შიდა მექანიზმები და შემოიღონ თანამშრომელთა სავალდებულო ტრენინგები სექსუალური შევიწროების საკითხებზე.
- შესაბამისი ზომების უზრუნველყოფა, რომ აღმოიფხვრას გენდერული უთანასწორობები მართლმსაჯულების სისტემაში, განსაკუთრებით, ისეთ უმაღლეს ორგანოებში, როგორცაა საკონსტიტუციო სასამართლო და უზენაესი სასამართლო. მრავალფეროვნებისა და გენდერული ბალანსის ნახაღისება მართლმსაჯულების სისტემის ყველა დონეზე თანასწორი წარმომადგენლობისა და მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

9

ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება



ძირითადი დასკვნები:

- მიუხედავად იმისა, რომ 2011 წლიდან საქართველო აქტიურად არის ჩართული ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში, ქალები კვლავ არაპროპორციულად ნაკლებად არიან წარმოდგენილი უსაფრთხოების სექტორში, განსაკუთრებით, მმართველ თანამდებობებზე.
- მართალია, ქვეყანამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა თავდაცვის სამინისტროს სატრენინგო კურსებში გენდერული საკითხების ინტეგრირების და გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შესამუშავებლად, საქართველოს თავდაცვის ძალებში ქალების წარმომადგენლობა კვლავ კრიტიკულად დაბალია და მხოლოდ 7 პროცენტს შეადგენს.
- ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში ქალების წარმომადგენლობა 2022 წელს ქართველ მონაწილეთაგან მხოლოდ 20 პროცენტს შეადგენდა, რაც საგრძნობად ნაკლები იყო, ვიდრე წინა წელს (24 პროცენტი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლიდან 2022 წლამდე ქალები საერთოდ არ მონაწილეობდნენ „ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის“ ფარგლებში გამართულ მოლაპარაკებებში.
- დაბალია ქალების ჩართულობა სახალხო დიპლომატიის ინიციატივებში. 2021-2022 წლებში, ამგვარი ინიციატივების მხოლოდ 16 პროცენტი განხორციელდა ქალთა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ან ქალთა საკითხებზე მომუშავე სხვა ორგანიზაციების მიერ.
- ერთ-ერთ ყველაზე დაუცველ ჯგუფს საქართველოში იძულებით გადაადგილებული პირები (იგპ) წარმოადგენს, რომლის წინაშეც საცხოვრებლის, უმუშევრობის, ჯანდაცვისა და ოჯახში ძალადობის პრობლემები დგას.
- 2021-2022 წლებში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად რეგიონებში რეფერალური ჯანდაცვის სისტემის გამომყენებელთა შორის 51 პროცენტი იყო ქალი. გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში მცხოვრები პირები პრობლემებს აწყდებიან სამედიცინო მომსახურებების მიღების კუთხით, მათ დასახლებებში საავადმყოფოების არარსებობისა და აფთიაქებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის გამო.
- უკრაინიდან ლტოლვილები, განსაკუთრებით ქალები, მთელ რიგ გამოწვევებს აწყდებიან საქართველოში ისეთ სფეროებში, როგორცაა: დასაქმება, მიგრაცია და განათლებაზე ხელმისაწვდომობა, ბავშვზე ზრუნვის მომსახურებები და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა. ამას გარდა, არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია მათთვის განკუთვნილი დახმარებისა და მომსახურებების შესახებ.


9.1 ქალების მონაწილეობა სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესებში

გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ 2000 წელს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ N1325 რეზოლუცია და მისი ცხრა მომდევნო რეზოლუცია მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდა კონფლიქტების გადაწყვეტისა და გრძელვადიანი მშვიდობის მშენებლობის პროცესებში ქალების ჩართულობის შესახებ ხედვისა და პოლიტიკის შესამუშავებლად. 2011 წლიდან მოყოლებული, საქართველო აქტიურად იყო ჩართული ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში.¹ ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების გლობალურ ინდექსში საქართველო 170 ქვეყნიდან მე-40 ადგილზეა. 2017 წელთან შედარებით, საქართველოს ეს მაჩვენებელი დაახლოებით 10 პროცენტით გაუმჯობესდა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2017 წლის შემდეგ 7.3 პროცენტით იკლო ქალებს შორის საზოგადოებრივი უსაფრთხოების აღქმის მაჩვენებელი.²

2022 წელს საქართველომ „დეოკუპაციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების“ სახელმწიფო სტრატეგიის პირველ სამუშაო ვერსიაზე დაიწყო მუშაობა. ამას გარდა, საქართველომ მიიღო ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა.³ აღნიშნული სამოქმედო გეგმა არის პირველი, რომელსაც თან ახლავს ბიუჯეტი და თითოეული აქტივობისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსი.⁴ აღნიშნული სამოქმედო გეგმა რამდენიმე უმნიშვნელოვანეს ვალდებულებას მოიცავს. მათ შორისაა ზომები კონფლიქტებით დაზარალებულ რეგიონებში ქალებისა და ახალგაზრდებისთვის საცხოვრებელი პირობებისა და შემოსავლის წყაროებზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად. გეგმა მიმართულია გენდერული ძალადობის პრევენციისა და მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში ქალთა აქტიური მონაწილეობის გაძლიერებისკენ. გეგმაში ასევე პრიორიტეტი ენიჭება ქალთა გაძლიერებას და ხაზგასმულია კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგოების ძირითად სერვისებზე ხელმისაწვდომობის აუცილებლობა. ამას გარდა, ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრის კუთხით, ეროვნული სამოქმედო გეგმა ორიენტირებულია კონფლიქტებით დაზარალებულ ქალებსა და გოგოებს შორის ძალადობის საკითხებისა და ადამიანის უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე.

სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის დოკუმენტების მიღებაში წინ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, საქართველოს უსაფრთხოების სექტორში ქალები კვლავ არაპროპორციულად ნაკლებად არიან წარმოდგენილი და მათი შესაძლებლობები კარიერულ წინსვლასა და გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე შეზღუდულია. 2021 წელს თავდაცვის სამინისტროში ქალ თანამშრომელთა წილი 51 პროცენტი იყო და ეს მაჩვენებელი ბოლო სამი წლის მანძილზე არ შეცვლილა (ცხრილი C.31).⁵ თუმცა, 2021 წელს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისში ქალებს გადაწყვეტილების მიმღები პოზიციების მხოლოდ 36 პროცენტი ეკავათ, რომელიც 2022 წელს 38 პროცენტამდე გაიზარდა.⁶ ამასთან, 2022 წელს ქალები საქართველოს თავდაცვის ძალების მხოლოდ 7 პროცენტს შეადგენდნენ.⁷ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში 2022 წელს ქალებს მმართველი პოზიციების 6.1 პროცენტი ეკავათ, რაც თითქმის უცვლელი მაჩვენებელია 2021 წლის მონაცემებთან მიმართებაში, მაგრამ 2019 წელთან შედარებით ის 1 პროცენტით ნაკლებია (დიაგრამა 9.1).⁸

დიაგრამა 9.1: უსაფრთხოების სექტორში გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალების წილი (პროცენტი)



წყარო: სახალხო დამცველის აპარატი, შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქსტატი.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანახმად, 2022 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სხვადასხვა საგანმანათლებლო კურსში შეიტანა ქალების, მშვიდობასა და უსაფრთხოების შესახებ საკითხები და ასევე შეიმუშავა სტრატეგიული დოკუმენტები გენდერულ თანასწორობაზე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ტრენინგები ჩაუტარა რამდენიმე თანამშრომელს, მაგრამ გენდერული თანასწორობის სტრატეგია ჯერ არ მიუღია.⁹


აღსანიშნავია, რომ კონფლიქტების მოგვარების მცდელობებსა და სამშვიდობო მოლაპარაკებებში ქალების ჩართულობის მნიშვნელოვანი ნაკლებობაა, რასაც შედეგად მოაქვს მათი გამოცდილების უგულებელყოფა და სამშვიდობო პროცესებში მათი წვლილის გამორიცხვა. გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ორგანიზაცია ANOVA-ს მიერ 2023 წელს ჩატარებული კვლევა გვამცნობს, რომ დევნილი ქალების 53 პროცენტს სმენია ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების შესახებ; თუმცა, ამ მოლაპარაკებებში ქალთა წარმომადგენლობა კვლავ დაბალი რჩება.¹⁰ სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიშის მიხედვით, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში ჩართულ პირთა შორის ქალი 20 პროცენტი იყო. ეს 4 პროცენტით ნაკლებია 2019 წელთან შედარებით, როდესაც ქალთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 24 პროცენტი დაფიქსირდა (ცხრილი C.32).¹¹ თუმცა, საჭიროა ამ სტატისტიკის დათვლის მეთოდოლოგიის გაუმჯობესება იმისთვის, რომ ჟენევის სამშვიდობო მოლაპარაკებების ყოველ შეხვედრაში მონაწილე ქალთა რაოდენობა ზუსტად ასახოს. რაც შეეხება ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმს, 2019 წელს ამ მექანიზმის ფარგლებში ქალთა წარმომადგენლობა 15 პროცენტი იყო, ხოლო 2020-დან 2022 წლამდე გამართულ მოლაპარაკებებში ქალები საერთოდ არ მონაწილეობდნენ (ცხრილი C.33). ამის მიზეზი იყო მონაწილეთა მკაცრი შეზღუდვა პანდემიის გამო, რის შედეგადაც ქალებს საერთოდ არ მიეცათ მოლაპარაკებებში მონაწილეობის შესაძლებლობა. თუმცა, პანდემიის შემდგომ პერიოდში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში შეხვედრების ფიზიკური ფორმატის აღდგენის მიუხედავად, აღნიშნული ტენდენცია კვლავ შენარჩუნებული იყო.¹²

ქალები ასევე არაპროპორციულად ნაკლებად არიან წარმოდგენილი სახალხო დიპლომატიის ინიციატივებში. 2021 და 2022 წლებში ამგვარი ინიციატივების მხოლოდ 16 პროცენტი ხორციელდებოდა ქალთა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ან ქალების საკითხებზე მომუშავე სხვა ორგანიზაციების მიერ. ეს მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე 2018 წლის მონაცემები (27 პროცენტი), მაგრამ მცირედ მეტი, ვიდრე 2020 წლის სტატისტიკა (13 პროცენტი) (ცხრილი C.34).¹³

9.2 ქალთა დაცვა და გაძლიერება

საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი ჯგუფია იძულებით გადაადგილებული პირები. მათი რაოდენობა 2021 წელს იყო 290,257, რომელთაგანაც 53 პროცენტი ქალი იყო. ეს რიცხვები არ შეცვლილა 2018 წლის შემდგომ (დიაგრამა 9.2 და ცხრილი C.35).¹⁴ ამას გარდა, ჯამში 46,620 ადამიანი ცხოვრობს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის მიმდებარედ, საიდანაც 31,017 ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზთან ცხოვრობს, მათ შორის ნახევარი კი (15,480) ქალია.¹⁵

დიაგრამა 9.2: იძულებით გადაადგილებულ პირთა და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრებ პირთა რაოდენობა, სქესის მიხედვით



წყარო: საქსტატი, n.d.-a.; გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2023c.
შენიშვნა: იხ. ცხრილი C.35.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა თავის 2022 წლის სპეციალურ ანგარიშში ხაზი გაუსვა ცენტრალური თუ მუნიციპალური ხელისუფლებების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში იძულებით გადაადგილებული ქალების ჩართულობის მნიშვნელობას და გამოკვეთა, რომ ამ ქალებს არ აქვთ ინფორმაცია მათთვის განკუთვნილი მიმდინარე პროგრამების ან პროექტების თაობაზე. აღნიშნული გამოწვეულია, როგორც მათი ჩართულობის არსებულ შესაძლებლობებზე ინფორმაციის სიმწირით, ასევე სახელმწიფო უწყებების მიერ იძულებით გადაადგილებულ ქალებთან პროაქტიული საინფორმაციო კამპანიის არ-არსებობით.¹⁶

იძულებით გადაადგილებულ ქალთა დამოკიდებულებების შესახებ გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ANOVA-ს 2023 წლის კვლევამ აჩვენა, რომ იგპ ქალების მხოლოდ 24 პროცენტმა იცის კონფლიქტების ტრანსფორმაციისა და სამშვიდობო ინიციატივების შესახებ და 29 პროცენტს სმენია ამ საკითხებში ჩართულ ადამიანებზე, ინიციატივებსა თუ სამთავრობო პროექტებზე. ამას გარდა, კვლევამ გამოავლინა, რომ მონაწილეებს არ აქვთ კონფლიქტების ტრანსფორმაციისა და სამშვიდობო პროცესებში ჩართული ჯგუფების მიმართ ნდობა. ყოველი ოთხი ქალიდან ერთმა აღნიშნა, რომ იძულებით გადაადგილებულ ქალებს იშვიათად ეკითხებიან მოსაზრებას კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე (28 პროცენტი) და რომ იძულებით გადაადგილებულ ქალთა მოსაზრებებს და შეხედულებებს სერიოზულად არ აღიქვამენ (25 პროცენტი).¹⁷

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ იგპ ქალებს ძირითადად აქვთ ინფორმაცია ჯანდაცვის პროგრამების შესახებ, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან ბარიერებს აწყდებიან სრული სამედიცინო მომსახურების მიღებისას, განსაკუთრებით, როდესაც საქმე მათი მკურნალობისა და სამედიცინო ხარჯების დაფარვას ეხება. იძულებით გადაადგილებულ ქალებთან გამართულმა ჯგუფურმა დისკუსიებმა გამოაჩინა, რომ ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემად კვლავ ოჯახში ძალადობა რჩება. მნიშვნელოვან პრობლემურ საკითხებად დასახელდა აგრეთვე, საცხოვრებელი უზრუნველყოფა, უმუშევრობა, ჯანდაცვა და სხვა სირთულეები.¹⁸ 2023 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციამ გამყოფი ხაზის მიმდებარედ მაცხოვრებელი პირების საჭიროებების შეფასების კვლევა ჩაატარა, რომელმაც ამ თემებში ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი გამოავლინა. გარდა ამისა, პრობლემათა შორის ფიზიკური ძალადობა დაასახელა გამყოფი ხაზის მიმდებარედ მაცხოვრებელი ქალების 14 პროცენტმა და იძულებით გადაადგილებულ ქალთა 28 პროცენტმა. საინტერესოა, რომ აღნიშნული შეფასების თანახმად, სექსუალური ძალადობის პრობლემა ბევრად უფრო მწვავედ დგას იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის, ვიდრე გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მაცხოვრებელთა შორის.¹⁹

გამყოფი ხაზის მიმდებარედ მაცხოვრებელი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით, 2021-2022 წლებში იურიდიულ უფლებებზე, მხარდაჭერის მომსახურებებსა და სხვა თემებზე სულ 10 საკონსულტაციო შეხვედრა ჩატარდა, რომელსაც 235 ადამიანი დაესწრო. დამსწრეთა 83 პროცენტი იყო ქალი.²⁰

2022 წელს, ISET პოლიტიკის ინსტიტუტმა (ISET-PI) და გაეროს ქალთა ორგანიზაციამ იძულებით გადაადგილებული პირებისა და ეკომიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის გასაუმჯობესებლად განხორციელებული პროფესიული განათლების მხარდაჭერის პროგრამისა და თვითდასაქმების მხარდამჭერი საგრანტო პროგრამის „გენდერული ზეგავლენის შეფასება“ ჩაატარეს. კვლევამ აჩვენა, რომ პროგრამებმა, დასაქმების უკეთესი შესაძლებლობების შექმნით, გააუმჯობესა სამიზნე ჯგუფების საცხოვრებელი პირობები; ასევე, გაიზარდა რესურსებზე წვდომა, განსაკუთრებით, ქალებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონებში მაცხოვრებელი ქალები მეტ სირთულეებს აწყდებოდნენ პროგრამებში მონაწილეობის კუთხით, პროგრამებმა სასარგებლო გავლენა მოახდინა ქალების მიერ მათი სოციალური სტატუსის აღქმაზე. რეკომენდაციებში შედიოდა გენდერულ ნორმებზე რეაგირება, გენდერული უთანასწორობის ანალიზი და თვითდასაქმების მხარდამჭერ ჯგუფურ პროგრამებში ქალების მონაწილეობის წახალისება.²¹

9.3 მშვიდობის მშენებლობა და კონფლიქტის შემდგომი აღდგენითი პროცესები

2021-2022 წლებში ჯანდაცვის რეფერალური სისტემით ისარგებლა 2,669 პირმა აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან, რომელთაგანაც 51 პროცენტი ქალი იყო (ცხრილი C.36).²² ამავე პერიოდში, 1,057 იძულებით გადაადგილებულმა პირმა 2021 წელს და 1,018 იძულებით გადაადგილებულმა პირმა 2022 წელს, უფასო იურიდიული დახმარების სახელმწიფო მომსახურებებით ისარგებლა. აღნიშნულ საკითხზე სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემები არ არსებობს.²³

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) 2023 წლის ანგარიშის თანახმად, ომის შედეგად საქართველოში 24,000 უკრაინელი ჩამოვიდა.²⁴ კვლევამ აჩვენა, რომ ლტოლვილების, განსაკუთრებით ქალების წინაშე მთელი რიგი გამოწვევები დგას, რომლებიც ძირითადად უკავშირდება დასაქმებას, მიგრაციასა და განათლების ხელმისაწვდომობას, ბავშვზე ზრუნვის მომსახურებებსა და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას. გარდა ამისა, მათ ნაკლებად იციან მათთვის გამოყოფილი დახმარებებისა და მომსახურებების შესახებ.²⁵

2023 წელს CARE International-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ – „სწრაფი გენდერული ანალიზი“ უკრაინელი ქალებისა და გოგონების წინ მდგარი ის გამოწვევები გამოავლინა, რასაც ისინი საქართველოში აწყდებიან, განსაკუთრებით აღსანიშნავია ძალადობისა და ექსპლუატაციის მაღალი რისკი. მონაცემები მიუთითებდა, რომ უკრაინელი ქალების 14 პროცენტმა იცის გენდერული ძალადობის შემთხვევების შესახებ. ამ შემთხვევებს შორის ყველაზე ხშირია ოჯახში ძალადობა, სექსუალური შევიწროება და შეურაცხყოფა, და ეკონომიკური ძალადობა. ამას გარდა, ანალიზმა გამოავლინა, რომ თემში ნაკლებად იციან გენდერულ ძალადობაზე რეაგირების მექანიზმების შესახებ. 56 პროცენტმა განაცხადა, რომ მათი განსახლების ადგილებზე არ არის მხარდაჭერის რამე სერვისები.²⁶ რაც შეეხება იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობას, არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები უკრაინიდან ლტოლვილ პირთა რაოდენობაზე, ვინც მიიღო ამგვარი დახმარება. თუმცა, UNHCR-ის მიერ 2022 წელს ანგარიშში ჩანს, რომ საქართველოში მყოფი დევნილი ქალები სქესის ან ეროვნების საფუძველზე დისკრიმინაციის შემთხვევებში, თავს იკავებენ განცხადებების გაკეთებაზე იურიდიული დახმარების მისაღებად.²⁷

რეკომენდაციები:

- მეტი ძალისხმევის განწევა უსაფრთხოების სექტორში გადაწყვეტილებების მიმღებ პირთა შორის ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად. მიზნობრივი ინიციატივების განხორციელება რეკრუტირების, კადრების შენარჩუნების, დანინაურების და კარიერული წინსვლისთვის, რაც უზრუნველყოფს ქალების მეტად მონაწილეობას ხელმძღვანელ თანამდებობებზე და ზოგადად, უსაფრთხოების სექტორში.
- მეტი ძალისხმევის განწევა, რათა ქალების ხმა ისმოდეს და მათი გამოცდილება გათვალისწინებული იყოს კონფლიქტების გადაწყვეტის პროცესებსა და სამშვიდობო დიალოგებში. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებსა და სხვა სამშვიდობო პროცესებში ქალების სრულფასოვანი და ეფექტიანი მონაწილეობის ხელშეწყობა.
- სახალხო დიპლომატიაზე ფოკუსირებული ქალთა სამოქალაქო ორგანიზაციებისა და ინიციატივების მხარდაჭერის გაძლიერება. დაფინანსების გაზრდა და რესურსების მდგრადობის უზრუნველყოფა ქალთა სამოქალაქო ორგანიზაციების გასაძლიერებლად, რათა მათ უფრო აქტიური როლი შეასრულონ კონფლიქტების მოგვარებასა და სამშვიდობო პროცესებში.

- საინფორმაციო და საკომუნიკაციო სტრატეგიების გაუმჯობესება იმის უზრუნველსაყოფად, რომ იძულებით გადაადგილებულმა და კონფლიქტით დაზარალებულმა ქალებმა გაიგონ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მათი სრულფასოვანი და ეფექტიანი მონაწილეობის ხელშემწყობი პროგრამების, პროექტებისა და შესაძლებლობების შესახებ. სახელმწიფო უწყებებმა ინტენსიური ზომები უნდა გაატარონ ქალთა ამ ჯგუფებთან კომუნიკაციის დასამყარებლად და მათთვის საჭირო ინფორმაციის მისაწოდებლად.
- კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე, სამშვიდობო პროცესსა და შესაბამის ინიციატივებზე ცნობიერების ამაღლების მიზნობრივი კამპანიების შემუშავება კონკრეტულად იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისთვის.
- იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტით დაზარალებული ქალების მიმართ გამოვლენილ ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ყოვლისმომცველი მხარდამჭერი მომსახურებების მიწოდება, რომელიც უნდა მოიცავდეს ფსიქოლოგიურ კონსულტაციებს, იურიდიულ დახმარებას და დაცვის ზომებს; და ამასთან, ამგვარ მომსახურებებზე მათი ინფორმირებულობის დონის გაზრდას.
- გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისთვის და იძულებით გადაადგილებული პირებისთვის სამედიცინო მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება სამედიცინო დაწესებულებების შექმნითა და აფთიაქებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებით.
- მიზნობრივი პროგრამებისა და ინიციატივების შემუშავება უკრაინიდან ლტოლვილი პირების წინაშე მდგარ პრობლემებზე რეაგირებისთვის, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა დასაქმების შესაძლებლობებსა და განათლების, ბავშვზე ზრუნვის მომსახურებებისა და ფსიქოლოგიური მხარდამჭერის სერვისებზე ხელმისაწვდომობას.
- გენდერული ნიშნით ძალადობასა და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის გაძლიერება არსებულ მხარდამჭერ მომსახურებებზე ინფორმირებულობის დონის გაზრდით, ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების მექანიზმების შექმნით და ძალადობაგამოვლილი პირებისთვის აუცილებელი რესურსებისა და სერვისების მიწოდებით.
- მხარდამჭერის მომსახურებების შექმნა იმ დასახლებებში, სადაც არ არის ხელმისაწვდომი იურიდიული დახმარება სქესის ან სხვა ნიშნით დისკრიმინაციის პრობლემის წინაშე მდგარი უკრაინელი ლტოლვილებისთვის და, ამრიგად, მათი მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობისა და უფლებების დაცვის უზრუნველყოფა.

10

ქალები, კლიმატის ცვლილება
და ბუნებრივი კატასტროფები



ძირითადი დასკვნები:

- ▶ კლიმატის ცვლილებისა და ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების ჩარჩო პროგრამებსა და ინიციატივებში არ არის კომპლექსურად გათვალისწინებული ქალებისა და გოგოების კონკრეტული საჭიროებები. ქალთა აქტივობა, ლიდერობა და სრულფასოვანი მონაწილეობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია გენდერული ასპექტის გათვალისწინებით პოლიტიკებისა და ინტერვენციების წარმატებით შემუშავებისა და განხორციელებისთვის, განსაკუთრებით რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე.
- ▶ საქართველო კატასტროფებით გამოწვეული ზარალის შემცირებისთვის თავის ძალისხმევას 2030 წლისთვის „სენდაის სამოქმედო ჩარჩო პროგრამის“ საშუალებით ახორციელებს. თუმცა, ამჟამად, მოგროვებული მონაცემები არ არის ჩაშლილი სქესის, ასაკის ან შეზღუდული შესაძლებლობის მიხედვით. კლიმატის ცვლილებისა და კატასტროფების რისკების გენდერული ხასიათის თვალსაზრისით სანდო ანალიზისა და ანგარიშების არქონა წარმოადგენს გამოწვევას კლიმატის ცვლილებისა და კატასტროფების რისკის შესამცირებლად პოლიტიკის, გეგმებისა და ინტერვენციების შემუშავებისა და განხორციელებისთვის.
- ▶ საქართველოს მოსახლეობა კარგად არის ინფორმირებული კლიმატის ცვლილების შესახებ და მას მნიშვნელოვან გლობალურ გამოწვევად მიიჩნევს. ქალები და 65 წელს გადაცილებული პირები მათი მოწყვლადობისა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული საფრთხეების შესახებ ცნობიერების განსაკუთრებით მაღალი დონით გამოირჩევიან.
- ▶ ქალები წარმოდგენილი არიან საქართველოში კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში. თუმცა, არ არსებობს კომპლექსური კვლევები, რომლითაც შეფასდებოდა ამ საკითხებში მათი სრულფასოვანი მონაწილეობა. ამგვარი კვლევების არარსებობა ხელს უშლის გადაწყვეტილებების მიმღებ ამ სტრუქტურებში ქალების რეალური გავლენისა და წვლილის ნათლად გაგებას.

10.1 კლიმატის ცვლილებებისა და ბუნებრივი კატასტროფების გენდერული განზომილებები

საქართველო არის ბუნებრივი კატასტროფების მაღალი რისკის მქონე ქვეყანა, რასაც ხელსაყრელ პირობებს უქმნის მისი გეოგრაფიული მდებარეობა და მეტეოროლოგიური მდგომარეობა. საქართველოს ტერიტორიის 80 პროცენტზე მეტი მთიანია, საიდანაც დაახლოებით 20 პროცენტი ზღვის დონიდან 2,000 მეტრზე მაღლა მდებარეობს.¹ ეს პირობები ხელს უწყობს წყალდიდობების, გვალვის, ღვარცოფების, მეწყრისა და ზვავის განვითარებას, განსაკუთრებით - მთიან რეგიონებსა და ძირითადი მდინარეების მიმდებარე ტერიტორიებზე.² ამას გარდა, საქართველოში მიწისძვრების რისკებიცაა ქვეყნის ტერიტორიაზე ზედაპირული სეისმურობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ შედარებით იშვიათად ხდება, მიწისძვრები ქვეყნის მოსახლეობასა და ეკონომიკას დიდ საფრთხეს უქმნის.³

კლიმატის ცვლილება საქართველოს რისკებს მნიშვნელოვნად ზრდის. 1960-იანი წლებიდან, ჰაერის საშუალო ტემპერატურამ 0.3°C-ით მოიმატა დასავლეთში და 0.4°-0.5°C-ით – აღმოსავლეთში. ცხელი დღეების მზარდმა რაოდენობამ, განსაკუთრებით ვაკე ადგილებში, მიგვიყვანა გვალვების მომატებულ რისკამდე. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოს მთიან რეგიონებში ნალექის რაოდენობა გაიზარდა, ქვეყნის შუა ნაწილიდან აღმოსავლეთისკენ ნალექმა დაიკლო. ამავე პერიოდში, საქართველოს მცინვარების მასა დაახლოებით 30 პროცენტით შემცირდა.⁴ ამ გრძელვადიანმა ცვლილებებმა გააძლიერა გაუარესებული ამინდის ხანგრძლივობა და ინტენსივობა. პროგნოზის თანახმად, წვიმების რაოდენობა და სიძლიერე მოიმატებს, რაც ქმნის წყალდიდობების, მდინარეების მოვარდნის, ღვარცოფებისა და მეწყრის მეტ რისკს, რასაც თავის მხრივ, მსხვერპლთან და მზარდ ეკონომიკურ ზარალთან მივყავართ.⁵

საქართველოში წყალდიდობების, მეწყრისა და ღვარცოფების ჩამოყალიბების ბევრი ზონა მთიან ადგილებშია და მათთან მისადგომი გზები შეზღუდულია.⁶ აღმოსავლეთში მდებარე კახეთის რეგიონში მომატებული გვალვები საფრთხეს უქმნის ადამიანების საარსებო საშუალებებს, ვინაიდან სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობა დამოკიდებულია სოფლის მეურნეობაზე, როგორც შემოსავლის მთავარ წყაროზე. მტკნარი წყლის მარაგები უმეტესად კონცენტრირებულია საქართველოს დასავლეთ რეგიონებში, რის გამოც, აღმოსავლეთში მცხოვრები ბევრი თემი დამოკიდებულია ჭებსა და ჭაბურღილებზე. ეს კი მათ გვალვისა და გრუნტის წყლების პოტენციური კლების მიმართ კიდევ უფრო მეტად მოწყვლადს ხდის.⁷ მეტიც, გახშირდება სეტყვა და ამინდის სხვა სახის გაუარესება, რაც საფრთხეს შეუქმნის მოსავალს. მოსალოდნელია, რომ კლიმატის ცვლილებამ გავლენა იქონიოს მოსახლეობის ცხოვრების დონეებს შორის არსებულ რეგიონულ განსხვავებებზე, ვინაიდან ჰაერის მომატებული ტემპერატურა და აქედან გამომდინარე მოსავლის შემცირება, სავარაუდოდ, სოფლის მაცხოვრებელთა შემოსავლის შემცირებას გამოიწვევს, რასაც შეუძლია ქვეყნის მასშტაბით გააღრმავოს ეკონომიკური უთანასწორობა და კიდევ უფრო გაზარდოს ემიგრაცია.⁸ მიუხედავად იმისა, რომ კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული გავლენების შესახებ ცოდნა მოგვემატა, საქართველოში დღემდე არ ჩატარებულა ქვეყნის წინ მდგარი ნებისმიერი ჰიდრომეტეოროლოგიური საფრთხეების, რისკებისა და პრობლემების კომპლექსური აღწერა.⁹

ქალები და გოგოები დისპროპორციულად მეტად დგანან კლიმატის ცვლილებისა და ბუნებრივი კატასტროფების მზარდი რისკის წინ. მსოფლიოს მასშტაბით გახმაურებული ფაქტები გვაჩვენებს, რომ უკვე არსებული გენდერული უთანასწორობები, მათ შორის – ზრუნვის შრომის არათანაბარი ვალდებულებები, რესურსებზე არასაკმარისი უფლებები

და წვდომა,¹⁰ ცუდი და საფრთხის შემცველი საცხოვრებელი პირობები, ისევე, როგორც განსხვავებები ალტერნატიული საარსებო საშუალებების მოძიებაში, ზრდის ქალებისა და გოგოების მოწყვლადობას კლიმატის ცვლილებისა და ბუნებრივი კატასტროფების მიმართ.¹¹ ბუნებრივი კატასტროფები კიდევ უფრო აძლიერებს ბევრ სფეროში გამოვლენილ გენდერულ უთანასწორობას. მსოფლიოში სულ უფრო ხშირია ფაქტები და მონაცემები ბუნებრივი კატასტროფების უთანასწოროდ მეტ გავლენაზე ქალებსა და გოგოებზე.¹² ცხოვრების ხანგრძლივობა, განათლება, ჯანდაცვა, ძალადობა, საარსებო საშუალებები და კვება - ეს იმ ჩამონათვალის ნაწილია, რა სფეროებშიც ქალები დისპროპორციულად მეტად ზარალდებიან, განსაკუთრებით, სოფლის დასახლებებისა და ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების წარმომადგენლები.

ქალებსა და ქალთა ორგანიზაციებს შეუძლიათ, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულონ სტიქიური უბედურებებითა და კლიმატით გამოწვეულ რისკებზე რეაგირებისთვის საჭირო ცვლილებების გასატარებლად, მაგრამ მათი შესაძლებლობები ხშირად გამოუყენებელი რჩება. გენდერული ბარიერები ხელს უშლის ქალებს, აქტიური წვლილი შეიტანონ კატასტროფების პრევენციის, მათ მიმართ მზაობის, რეაგირებისა თუ სამაშველო ოპერაციებში. ქალები ასევე აწყდებიან ბარიერებს მწვანე ენერჯიაზე გადასვლაში სრულად მონაწილეობისთვის. ბოლო კვლევები აჩვენებს, რომ ქალების საჭიროებები, პრიორიტეტები, აქტივობა და მონაწილეობა ენერჯის შექმნა-მიწოდების ყველა საფეხურზე კვლავ დისპროპორციულად ნაკლებად არის წარმოდგენილი. ქალების ენერჯეტიკული სიღარიბე შეიძლება გამოვლინდეს, როგორც ეკოლოგიური უთანასწორობის ერთი ასპექტი, რაშიც ასევე შედის ბუნებრივ რესურსებზე წვდომის უთანასწორობა, ეკოლოგიური საფრთხეების განაწილება, რისკებისა და ზედმეტი ტვირთისგან დაცვა, გადაწყვეტილებების მიღებაში მათი ნაკლებად წარმომჩენა და უსამართლობა დახმარებებზე მათ ხელმისაწვდომობაში.¹³

ბოლო პერიოდის კვლევების თანახმად, საქართველოს მოსახლეობა საკმაოდ კარგად არის ინფორმირებული კლიმატის ცვლილების, კლიმატის ცვლილების შედეგად დამდგარი შედეგებისა და შედარებით გრძელვადიანი გავლენის შესახებ. მათ მრავალმხრივი, სწორი და ლოგიკური დამოკიდებულება და სოციალური პასუხისმგებლობის შეგრძნების მაღალი დონე აქვთ.¹⁴ მეტიც, საქართველოს მოსახლეობის 57.9 პროცენტი კლიმატის ცვლილებას გლობალური გამოწვევების რიგში აღიარებს და მას ამჟამად, მსოფლიოს წინაშე მდგარ სამ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევათა შორის მიიჩნევს.¹⁵ ქალები და 65 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობა თავს უფრო მოწყვლადად თვლის კლიმატის ცვლილებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ.¹⁶


10.2 სქესის მიხედვით ჩაშლილი მონაცემები კლიმატისა და ბუნებრივი კატასტროფების რისკების და გავლენის შესახებ

2015-2030 წლების „კატასტროფების რისკის შემცირების მსოფლიო ჩარჩო პროგრამა“ (Sendai Framework for Disaster Risk Reduction) აღიარებს, რომ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკები, ისევე, როგორც სხვა ბუნებრივი სახის რისკები, განსხვავებულ ზემოქმედებას ახდენს ქალებსა და გოგოებზე.¹⁷ მიუხედავად ამისა, კვლავ რჩება გენდერული კუთხით ძალიან მნიშვნელოვანი ჩავარდნები კლიმატისა და კატასტროფების შესახებ მონაცემებში. აღნიშნული ჩარჩო პროგრამის შუალედურმა განხილვამ, რომელიც 2023 წელს ჩატარდა, კრიტიკული ნაკლოვანება გამოავლინა ეროვნულ და სუბ-ეროვნულ დონეებზე სქესის, ასაკისა და შშმ პირის სტატუსის ჭრილებში დისაგრეგირებული მონაცემების (SADDD)

მოგროვების, ანალიზისა და წარდგენის თვალსაზრისით.¹⁸ DesInventar-ის მონაცემთა ბაზის თანახმად,¹⁹ სიკვდილიანობის შესახებ სქესის მიხედვით დისაგრეგირებული მონაცემები 85 ქვეყნიდან მხოლოდ თერთმეტმა წარმოადგინა. მეტიც, ამ 11 ქვეყნიდან მიღებულ მონაცემებში აღრიცხული სიკვდილიანობა დისაგრეგირებული იყო შემთხვევების მხოლოდ 0.65 პროცენტში.²⁰

საქართველო 2017 წლიდან ზომავს და აფასებს მის მიერ განეულ ძალისხმევას 2030 წლამდე კატასტროფებით გამოწვეული სიკვდილიანობის შესამცირებლად. მიღწეული პროგრესის შესახებ მონაცემები ეგზავნება „სენდაის ჩარჩო პროგრამის მონიტორს“ და მათში შედის ინფორმაცია სიკვდილიანობის, დაზარალებულ პირთა რაოდენობის, ეკონომიკური ზარალისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურისადმი მიყენებული ზარალის შესახებ.²¹ გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური აგროვებს სტატისტიკურ მონაცემებს კატასტროფებით გამოწვეულ დანაკარგებსა და ზიანზე. 2022 წელს აღრიცხული იყო სიკვდილის ორი შემთხვევა, ხოლო კატასტროფებით უშუალოდ დაზარალებული პირების რაოდენობამ 11 შეადგინა (დიაგრამა 10.1).²² ვინაიდან, მონაცემები არ არის სქესის მიხედვით დისაგრეგირებული, რთულია ქალებსა და გოგოებზე კლიმატის ცვლილებითა და ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული ზეგავლენის აღწერა. მოსალოდნელია, რომ 2023 წლის სიკვდილიანობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალი იქნება შოკში ჩამოწოლილი მენცრის გამო.²³

დიაგრამა 10.1: ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული სიკვდილისა და უშუალოდ დაზარალებული პირების რაოდენობა (უკავშირდება SDG ინდიკატორს 13.1.1)



წყარო: საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფზე ბუნებრივი კატასტროფების გავლენის შესახებ ჩაშლილი მონაცემების გაანალიზება აუცილებელია არსებული გამოწვევების გამოვლენისა და რისკების პრევენციისთვის. სქესის, ასაკის და შშმ პირის სტატუსის მიხედვით ჩაშლილი მონაცემების (SADDD) მოგროვება, ანალიზი და ანგარიშგება კატასტროფების რისკების შემცირებისა თუ მედეგობის გაზრდისკენ მიმართული სტრატეგიებისთვის, ძალიან იშვიათად ხდება. მონაცემების ნაკლებობა აფერხებს კლიმატის ცვლილებით სხვადასხვა სოციალურ ჯგუფზე გამოწვეული განსხვავებული ზეგავლენის უფრო სიღრმისეულად შესწავლას და ამ ჯგუფებს გამორიცხავს კატასტროფებით გამოწვეული ზიანის შემცირებისა და მათთან ადაპტირების ინტერვენციებიდან. ამას გარდა, არ ხდება კლიმატის ცვლილებაზე რეაგირების საკითხებში ქალთა შესაძლებლობებისა და წვლილის, ასევე, ამ პრობლემისადმი მათი მედეგობის გაძლიერების შესახებ ცოდნის გაზიარება. ეს ხელს უშლის კატასტროფების რისკის შემცირებასა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ქმედებების სანაღმდეგოდ გენდერზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და საშუალებას არ აძლევს მთავრობებსა და პარტნიორებს, ებრძოლონ კლიმატის ცვლილებით ქალებსა და გოგოებზე დისპროპორციულად მაღალი რისკებისა და ზეგავლენების ძირითად მიზეზებს.

10.3 კლიმატის ცვლილებისა და ბუნებრივი კატასტროფების შესახებ გენდერულად მგრძობიარე კანონები, პოლიტიკა, სტრატეგიები და გეგმები

კლიმატის ცვლილებისა და ბუნებრივი კატასტროფების შესახებ გენდერული ფაქტორის გათვალისწინებით შექმნილ კანონებში, პოლიტიკებში, სტრატეგიებსა და გეგმებში თავმოყრილია ქალებისა და გოგოების გამოცდილება, შესაძლებლობები და საჭიროებები. აღნიშნული დოკუმენტები შექმნილია ქალების აქტივობით, ლიდერობითა და სრულფასოვანი მონაწილეობით, კლიმატისა და ბუნებრივი კატასტროფების რისკებით გამოწვეული მონყვლადობის ძირითად მიზეზებზე რეაგირების მიზნით. საქართველოს ვალდებულება აქვს აღებული გაეროს სამი საკვანძო პროგრამის შესრულებაზე – გენდერზე ორიენტირებული, მდგრადი და ნახშირბადისგან თავისუფალი განვითარების უზრუნველსაყოფად. თავისი ხელმოწერით მდგრადი განვითარების მიზნებზე, პარიზის შეთანხმებასა (UNFCCC) და 2015-2030 წლებში კატასტროფების რისკის შემცირების „სენდაის მსოფლიო ჩარჩო პროგრამაზე“, საქართველომ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია დაბალ-ნახშირბადიანი და მდგრადი საზოგადოების შექმნაში. ამას გარდა, ევროკავშირისა და საქართველოს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულებაში ასევე, ხაზგასმულია საქართველოს ვალდებულება კლიმატის ცვლილების ინკლუზიური გზით შემცირებასა და ადაპტირებაზე.

პარიზის ხელშეკრულების ფარგლებში, საქართველოს „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ (NDC) 2021 წელს განახლებული დოკუმენტი აღიარებს კლიმატის ცვლილებების გენდერულ ასპექტებს.²⁴ აღნიშნული დოკუმენტის მე-6 თავში ხაზგასმულია „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ (NDC) თანხვედრა, როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლთან, ასევე საქართველოს კანონთან „გენდერული თანასწორობის შესახებ“, რომლებიც იცავს თანასწორობის უფლებას „გენდერისა და კლიმატის ცვლილების შესახებ 21/CP.22 გადაწყვეტილებასთან“ ერთად. მეტიც, „ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ წვლილში“ მნიშვნელოვან მიზნებად არის დასახული მდგრადი განვითარების მიზნების ამოცანები 5.1-5.6, 5.a და 5.b. ეს მიზნები პირდაპირ უკავშირდება ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების გაძლიერებას და ასახავს ქვეყნის მიერ აღებულ ვალდებულებას კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლით მიაღწიოს გენდერულ თანასწორობას. „ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ წვლილში“ ასევე ხაზგასმულია კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ პროცესებში ქალთა აქტიური მონაწილეობის საჭიროება და აღიარებულია ცვლილების მიღწევაში მათი, როგორც კატალიზატორის როლი.²⁵ ქალების აღიარება ცვლილების გამტარებელ პირებად, ცვლის ქალების შესახებ აღქმას და მათ მონყვლადი ჯგუფიდან საზოგადოების ცხოვრების პროცესებში სრულფასოვანი წვლილის მქონე მნიშვნელოვან აქტორებად აქცევს.²⁶

საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, „2030 წლის კლიმატის ცვლილების სტრატეგიაში“²⁷ ასახულია გენდერული ასპექტები კონკრეტულ პრიორიტეტულ სექტორებში. სტრატეგიის ამოცანაში N7.3 ჩამოყალიბებულია ტყის მართვის სისტემის სტრატეგია, რომელიც ადეკვატურად პასუხობს კლიმატის ცვლილებით დამდგარ გამოწვევებს. მასში მიზნად არის დასახული, რომ დაგეგმილია, ტყის მდგრადი მართვის 50 პროცენტზე მეტი 2030 წლისთვის გენდერული კუთხით სენსიტიური იყოს. „2030 წლის კლიმატის ცვლილების სტრატეგიასთან“ ერთად, ამ საკითხის შესაბამის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმაში ასახულია კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებსა და ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულებას შორის.²⁸ სამოქმედო გეგმა თანხვედრაშია მდგრადი განვითარების გენდერული ასპექტის მქონე ამოცანებთან

კონკრეტული აქტივობების მეშვეობით, რომელთა შორისაც არის საზოგადოების ცნობიერების გაზრდა ისეთ თემებზე, როგორიცაა ენერჯო ეფექტიანობის პროგრამების განხორციელება, ენერჯეტიკის სექტორში ექსპერტების კვალიფიკაცია და აკრედიტაცია, სერტიფიცირების სქემების შექმნა. ამას გარდა, გეგმაში მიზნად დასახულია ენერჯეტიკის სფეროს კონსულტანტების პროფესიული განვითარებისთვის საგანმანათლებლო და ტრენინგ პროგრამების მიწოდება.


ამის მიუხედავად, კლიმატის ცვლილებებზე ეროვნულ კანონმდებლობაში, პოლიტიკაში, სტრატეგიებსა და გეგმებში გენდერული ასპექტების შეტანისა და განხორციელების კუთხით კვლავ არსებობს არსებითი გამოწვევები. კლიმატის ცვლილებასა და ბუნებრივ კატასტროფებზე რეაგირების შესახებ საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოებში გენდერული თანასწორობისა და ქალებისა და გოგოების წინ მდგარი კონკრეტული გამოწვევების საკითხები მხოლოდ მცირედ არის გათვალისწინებული. „საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ“ ფართო ვალდებულებებს აკისრებს მოქალაქეებს, მაგრამ გამოტოვებულია „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნულ გეგმაში“ გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული თემები. საქართველოს „კატასტროფის რისკების შემცირების ეროვნულ სტრატეგიაში“ და 2017-2020 წლების სამოქმედო გეგმაში საუბარია კატასტროფებისადმი ქალების მონაცვლადობაზე.²⁹ თუმცა, გენდერული ასპექტები კონკრეტულ ქმედებებში სრულად გათვალისწინებული არ არის.

10.4 სამოქალაქო ჩართულობა, ქალთა აქტივობა და ლიდერობა კლიმატთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში

ქალთა აქტივობა და ლიდერობა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებაში ორგანიზაციებში უმნიშვნელოვანესია კლიმატთან დაკავშირებული იმგვარი ეფექტიანი ქმედებების განსახორციელებლად, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები და რომლებიც რეაგირებას მოახდენს ყველა დაინტერესებული მხარის საჭიროებაზე, ხელს შეუწყობს გენდერულ თანასწორობას და წვლილს შეიტანს მდგრადი და ძლიერი მომავლის შექმნაში. საქართველოში არ ჩატარებულა რამე კვლევა, სადაც გაიზომებოდა კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში ქალთა მონაწილეობა. თუმცა, რამდენიმე კვლევაში შეფასებულია სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკების შექმნაში და გამოკვეთილია პროცესებში მათი სრულფასოვანი მონაწილეობისთვის არსებული ბარიერები.³⁰ ამ ბარიერებს შორის არის ინკლუზიურობისა და გამჭვირვალობის ნაკლებობა, განსაკუთრებით - შედარებით მცირე ზომის და შედარებით ახალი სამოქალაქო ორგანიზაციების მიმართ; რთული და ტექნიკური ენის გამოყენება, რის გამოც საზოგადოებას უჭირს თემის გაგება; უკუკავშირის მისაღებად დადგენილი არაადეკვატური დრო, რაც ხელს უშლის სრულფასოვან მონაწილეობას; და გადაწყვეტილების მიღების საბოლოო პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მოსაზრებებისა და კომენტარების გათვალისწინების სიხშირის დაბალი მაჩვენებელი.³¹ იმის გათვალისწინებით, რომ ქალები არიან ძირითადი მომვლელი და დიდ დროს ხარჯავენ აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომაზე,³² ეს ოჯახური ვალდებულებები, სავარაუდოდ, დამატებით ბარიერს ქმნის ქალთა მონაწილეობისთვის.

ქალები ადეკვატურად არიან წარმოდგენილნი მაღალი რანგის თანამდებობებზე საქართველოში კლიმატთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიმღებ ორგანოებში, როგორცაა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი, გარემოს ეროვნული სააგენტო, საგანგებო საქმეთა მართვის სამსახური, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი (დიაგრამა 10.2 და ცხრილი C.37). თუმცა, შესამჩნევია, რომ არ არსებობს დეტალური კვლევები, რომელთა საშუალებითაც გაიზომებოდა და შეფასდებოდა გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში ქალთა სრულფასოვანი მონაწილეობა და პროცესებზე მათი ზეგავლენა. კომპლექსური კვლევის არარსებობა სირთულეს ქმნის სამთავრობო ორგანოებში ქალთა გავლენისა და წვლილის მასშტაბის სრულად გასააზრებლად.

დიაგრამა 10.2: ქალებისა და კაცების რაოდენობა კლიმატის ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში, 2023 წელს



წყარო: სამთავრობო სააგენტოების ვებგვერდები.
შენიშვნა: იხ. ცხრილი C.37.

10.5 გენდერი და კლიმატის ცვლილების საპასუხო ქმედებები

